

მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული თარგმანი

(ტექსტის ისტორიისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები)

ანა ხარანაული, თამარ მაგრაქველიძე, ლალი ვაშაყმაძე, თინათინ ჯიქურაშვილი, მარიამ
თხინვალელი, ნინო გიორგაძე

*კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით [FR-21-3104] / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia
(SRNSFG) [FR-21-3104].*

ნაწილი პირველი
მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანის
ტექსტის ისტორია

სარჩევი

მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანები	5
ქართული თარგმანის ტექსტის ისტორია.....	7
ძველი თარგმანის (OGeo) რეცენზიები (წყაროთა ურთიერთმიმართება)	7
ბიბლიის ხელნაწერები.....	7
ტექსტის ისტორია ქართულ და უცხოენოვან წყაროებთან მიმართებაში	28
ლექციონარები	31
ბიბლიის ტექსტი ლექციონარის ხელნაწერებში.....	32
მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები დიდი პარასკევის განგებაში	34
მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები ყველიერის კვირის განგებაში.....	41
საწინასწარმეტყველოები	74
გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების მეთოდი	74
წყაროები გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ	77
გიორგი მთაწმინდელის ქართული წყაროები საწინასწარმეტყველოზე მუშაობისას	80
გიორგი მთაწმინდელის წყარო – ომკური თუ იერუსალიმური ტიპის ხელნაწერი?	81
რა ადგილი უჭირავს ლექციონარს საწინასწარმეტყველოს ტექსტის სწორებისას?	90
პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების მიმართება ბერძნულთან ..	94
განსხვავებები საწინასწარმეტყველოს ხელნაწერებს შორის –რეცენზიული თუ ტრანსმისიის ვარიანტები?	115
გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი ფსალმუნის გალობასა და საწინასწარმეტყველოში (შეპირისპირებითი დახასიათება)	129
გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი სახარებასა და საწინასწარმეტყველოში (შეპირისპირებითი დახასიათება)	135
მცირე წინასწარმეტყველთა გამეორებული საკითხავები პროფეტოლოგიონში	140
დასკვნები.....	148
გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები: თარგმანი თუ რეცენზია? (რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე).....	150
ხელნაწერთა პირობითი აღნიშვნები:	165
პირობითი ნიშნების ნუსხა:	165
ბიბლიოგრაფია:	166

მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანები

ჩვენამდე მოღწეული წყაროები მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ოთხ ქართულ თარგმანს შეიცავენ:

1. ძველი თარგმანი (OGeo). თარგმანის დროისა და ადგილის დანამდვილებით განსაზღვრა რთულია მყარი, მატერიალური არგუმენტების, წყაროების უქონელობის გამო. მხოლოდ თარგმანის ხასიათი და ტექსტის ტიპი გვაპარაუდებინებს, რომ ეს თარგმანი IV-V საუკუნეებს არ უნდა გადასცდეს.
 - 1.1 თარგმანის ყველაზე ადრეული ფორმა მეტ-ნაკლებად სრული სახით ოშკის (O) ბიბლიასა და იერუსალიმის (J) ბიბლიის კოდექსებში, და ფრაგმენტულად (მიქეას და იონას ფრაგმენტები) - სომხური ოთხთავის ხელნაწერის საცავ ფურცელზე შემორჩენილ ფრაგმენტებშია დაცული. იგივე თარგმანი გამოყენებულია ლიტურგიკულ კრებულებში: ორ მეტაფრასულ (M) კრებულში და ლექციონარების (L) ხელნაწერებში.
 - 1.2 ადრეული თარგმანის მიზანმიმართული ცვლილების - რევიზიის - ჩვენთვის ცნობილი პირველი მაგალითია გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილ საწინასწარმეტყველოებში ბერძნული წყაროების მიხედვით შეტანილი ცვლილებები.
2. ახალი თარგმანი (L²) ჩნდება ლექციონარების სხვადასხვა ნაწილში. დანამდვილებით რთული სათქმელია, ეს თარგმანი (თუ თარგმანები) დღეს დაკარგული ქართული თარგმანიდან გადმოიღო ლექციონარის რედაქტორმა თუ თავად თარგმნა ბერძნულ ლექციონარებთან შედარებით ნაკლები საკითხავები იმის გამო, რომ ადგილზე ძველი აღთქმის შემცველი ხელნაწერი არ ჰქონდა.
3. მესამე თარგმანი (G) XII ს-ით უნდა დათარიღდეს. იგი გელათის კატენებიანი ბიბლიის ხელნაწერის (A 1108) წინასწარმეტყველთა ნაწილშია ჩართული. სწორედ ამ ხელნაწერის გადამწერია მისი ავტორი თუ საბოლოო ფორმის მიმცემი. გელათური თარგმანი ძველ

თარგმანს ეყრდნობა, მაგრამ ისეა გადამუშავებული, რომ სრულიად ახალ თარგმანს კმნის.

3.1. თარგმანის რეცენზია (სწორება როგორც ჩანს, სომხურის მიხედვით) და რედაქცია (თაგებად და მუხლებად დაყოფა) თბილისის სტამბაში დაბეჭდილ და მცხეთურ ბიბლიაში (A 51) ჩართულ გვერდებზე და ბაქარის ბიბლიის ეგზემპლარებშია დაცული. ავტორი სულხან-საბა ორბელიანია, რომლის ხელით არის შეტანილი შესწორებები A 1108-ში და შემდეგ, საკმაო სიზუსტით გადატანილი ბეჭდურ გამოცემაში.

4. ორ მეტაფრასულ კრებულშია (M) დაცული კიდევ ერთი, სრულიად განსხვავებული თარგმანი, რომელიც ასევე, გელათის სკოლას უნდა მივაკუთვნოთ. თარგმანი წარმოადგენს თეოდორიტე კვირელის განმარტების განსამარტ (ლემა) ტექსტს.

ქართული თარგმანის ტექსტის ისტორია

ძველი თარგმანის (OGeo) რეცენზიები (წყაროთა ურთიერთმიმართება)

ბიბლიის ხელნაწერები

ეჭვგარეშეა, რომ ოშკისა და იერუსალიმური ხელნაწერები წინასწარმეტყველთა ერთსადაიმავე თარგმანს შეიცავენ. კონსენსუსია იმასთან დაკავშირებით, რომ იერუსალიმის ხელნაწერი, მიუხედავად იმისა, რომ ოშკის კოდექსზე ერთი საუკუნით გვიანდელია, უფრო ადრეული ტექსტს შეიცავს: უფრო არქაულია ლექსიკური და გრამატიკული ფორმების თვალსაზრისით და უფრო იცავს ძველ ორთოგრაფიულ ნორმებს.¹ იერუსალიმური ნუსხის ენის ხასიათის მიხედვით კეკელიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი „არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნის“, ანდა უფრო ადრინდელ თარგმანს შეიცავს.² ბლეიკი, რომელიც თავის გამოცემაში იერუსალიმურ ხელნაწერს ეყრდნობა და, შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებს ოშკის კოდექსის ტექსტთან მიმართებით, შენიშნავს, რომ J შეიცავს მეორად იკითხვისებსაც - არქეტიპიდან მომდინარესაც და გადამწერისეულსაც, ისევე, როგორც კომპილაციური ხასიათის ვარიანტებს.³

განსხვავებული აზრია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განისაზღვროს ამ ხელნაწერებში დაცული ტექსტების ხასიათი ერთმანეთთან მიმართებით: ბლეიკი აღნიშნავს ამ ხელნაწერების მჭიდრო სიახლოვეს ერთმანეთთან⁴ თ. ცქიტიშვილიც თვლის, რომ ისინი ერთი რედაქციის ნუსხებია,⁵ მათგან განსხვავებით, კ. დანელია მიიჩნევს, რომ ეს ორი „ისტორიულად ერთი რედაქციის ორი ნუსხაა, მაგრამ საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა სალიტერატურო წრეში სხვადასხვა დროსა და სტილის რედაქტორ-შემჯერებელთა მიერ ეს

¹ კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, 418; ეზეკიელი 195-203; იერემია 280.

² კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, 418;

³ Prolegomena, 29.2. XVII.

⁴ Prolegomena, 29.2. XVII.

⁵ ეზეკიელი, 202

ორი ნუსხა დამოუკიდებელ რედაქციებად ჩამოყალიბებულა.“⁶ მოკლედ, ყველა მკვლევარი ამ ორი ხელნაწერის ტექსტს თარგმანის ტექსტის ტრანსმისიის სხვადასხვა შტოს მიეკუთვნებს, მაგრამ სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს თავად ტექსტის ფორმას.

თ. ცქიტიშვილის მართებული შენიშვნით, ხელნაწერთა ტექსტების შეფასება თავად 'რედაქციის' დეფინიციასთან არის დაკავშირებული. რედაქციას მკვლევარი ტექსტის 'გააზრებულ', 'სტილებრივ ან იდეურ' გადამუშავებად მიიჩნევს საპირისპიროდ იმგვარი ტექსტუალური ფორმისა, რომელიც გადამწერის გაუაზრებელი ცვლილებების შედეგია.⁷ საინტერესოა, რომ თ. ცქიტიშვილი და კ. დანელია ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერთა ლექსიკურ, გრამატიკულ, კვანტიტატიურ სხვაობებს, ისევე, როგორც სხვაობას სიტყვებისა და ფრაზების მიმდევრობაში, განსხვავებულად აფასებენ: თ. ცქიტიშვილი ამ ვარიანტებს ძირითადად გადამწერებს მიაწერს, დანელია - უფრო მეტად გამიზნულ სწორებას უცხო წყაროს, სომხურის მიხედვით. ამ ხასიათის სწორებები, მისი აზრით, ხან იერუსალიმურ ნუსხაში ჩნდება და ხან ოშკურში. თ. ცქიტიშვილიცა და კ. დანელიაც ხელნაწერთა კითხვასხვაობების შეფასებისას საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ მათ მიმართებაზე უცხო წყაროებთან. მაგრამ, რადგანაც არც ერთ ამ მკვლევარს საშუალება არ ჰქონია ქართული მასალა წინასწარმეტყველთა ციგლერისეული გამოცემებისთვის ედარებინა, მათ დასკვნებსაც არგუმენტაცია აკლია.

პირველი, ვინც მცირე წინასწარმეტყველთა წიგნები ბერძნულ, სირიულ და სომხური მასალასთან მიმართებით შეისწავლა მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები და ოშკისა და იერუსალიმის კოდექსები სიტყვასიტყვით შეადარა და გააანალიზა, იყო იულიუს ასფალგი. მისი დასკვნით, ამ ორი ხელნაწერის ტექსტები ერთსადაიმავე თარგმანის ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდგომ ტექსტუალურ ფორმებს შეიცავენ, რომლებიც მხოლოდ მცირედით დაშორდნენ ერთმანეთს: ტექსტის 85% მათ ერთი აქვთ. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს მსგავსება თავისუფალი სტილით შესრულებულ იკითხვისების საფუძველზე, რომლებიც

⁶ იერემია, 280. სხვა ტერმინს - 'ვერსიას' ხმარობს ამ ხელნაწერების დასახასიათებლად საბოლოო დასკვნაში: "დროთა განმავლობაში ამ თარგმანის ნისხები სხვადასხვა ლიტერატურული სტილის შემჯერებელთა მოღვაწეობის შედეგად საგრძნობლად დაშორებულან ერთმანეთს და დამოუკიდებელ ვერსიებად ჩამოყალიბებულან" (დანელია, 284).

⁷ ეზეკიელი, 196-197.

ორივე ხელნაწერში დასტურდება. რაც შეეხება მცირეოდენ განსხვავებებს, მათ ერთ-ერთ მიზეზად ასფალგი (რომელიც თარგმანს სომხურიდან შსრულებულად მიიჩნევს) სეკტუაგინტას ხელნაწერებთან შედარებას ასახელებს.⁸

მცირე წინასწარმეტყველთა ჩვენეულმა კვლევამ, განსაკუთრებით დედნისგან სხვადასხვა თვალსაზრისით გადახვევის მაგალითებმა დაადასტურა, რომ იერუსალიმისა და ოშკის ხელაწერებს და, ამათთან ერთად, f-ს ერთი თარგმანი უდევთ საფუძვლად, მაგ. ისინი შეიცავენ ერთნაირ გადახრებს დედნისგან:

სიტყვათა წყობა

მიქ. 1:4 *ὑποκάτῃ* ქუემჭ ფერკთა JO

მიქ. 1:4 *ἀνυπόδετος καὶ γυμνή*] შიშუელი და უკამური JO

მიქ. 4:5 *πορεύσονται ἕκαστος* qნააგენ ἰῆრაჟანჰიქიქ] tr კაცად კაცადი ვილოდეს (-ის k) JO k

მიქ. 4:11 *ἐπόψονται ἐπὶ Σιών οἱ ὀφθαλμοὶ ἡμῶν*] იხილონ თუალთა ჩუენთა სიონი JOp

მიქ. 4:13 *τὰ κέρατά σου θήσομαι σιδηρᾶ* რქანი შენნი შეგასხნე რკინისანი p] რქანი შეგასხნე შენ რკინისანი JO

ლექსიკა

იონა 1:4 *ἐκινδύνευσεν* სუნტრიβჷნაი ἡ ქთანაჲი კაყი ἡ ἰουρთასქიქ: მიახლებულ იყო შემუსრვად (ლექციონარები სხვადასხვანაირად თარგმნიან)

ბერძნულის ნიადაგზე შექმნილი დუბლეტი:

მიქ. 1:13 *ἀπὸ* ესე GeoJO Tht] -της W A''-764 c (αυτης|αυτης 538) Ach Sa^p Aeth Arab; Pr მისისაჲ (dupl)

მიქ. ἰσχυρόν 943 Iust.] *δυνατον* W B-68 (δυνατος)-239 86^{mg} დიდად და ძლიერად

⁸ 364-365

იონა 1:9 *σέβειμαι*] *φοβούμαι* Sc-V C'-239* Clem. Cyr.F: cf. Is. 6614; მეშინის და ვჰმსახურებ J და მეშინის მე და ვჰმსახურებ მას O

მეტიც, მათ J-სა და O-ს საერთო არქეტიპული ხელნაწერი აქვთ, რის არგუმენტად ბერძნული დედნიდან მომდინარე თუ ქართულში გაჩენილი **ჰომოიოტელევტონები** (იონა 1:8 *ἡμῖν 1² B-S-V 711-49 c-239 Geo JOk*) და სხვა შცდომები შეიძლება მოვიყვანოთ.

ვარიანტული იკითხვისების არსებობის შემთხვევაში, იერუსალიმის ხელნაწერის იკითხვისები მართლაც უფრო ახლოს დგას თავდაპირველ ტექსტთან: აქ ნაკლებია გადამწერის შეცდომები, და ენაც უფრო არქაულ ფორმებს გვიჩვენებს. მაგრამ, ამავე დროს, არც ეს ხელნაწერია უშეცდომო. მაგალითების სიმრავლის გამო სადემონსტრაციოდ მოვიტანთ მხოლოდ მიქეას პირველი ოთხი თავისა და იონას 1-2 თავებიდან ამოღებულ მასალას, სადაც საკონტროლო წყაროდ f ფრაგმენტის არსებობა დასკვნებს უფრო სარწმუნოდ აქცევს.

იერუსალიმის ხელნაწერის მეორადი იკითხვისები

კვანტიტატიური ცვლილებები

იერუსალიმური ხელნაწერის კლება-მატებას სტილისტური ხასიათი აქვს, თუმცა სპორადული ხასიათის გამო რეცენზიულ ნიშნად ვერ ჩავთვლით.

მატება

მიქ. 1:10 *init*] *pr აწ* J

მიქ. 2:3 *ჟამი ბოროტი არს*] *+და მოიწიოს* J

მიქ. 1:3 *შევიდა O*] *+ იგი* J

კლება

მიქ. 2:4 *უბადრუკებით უბადრუკ*] *om უბადრუკებით* J

მიქ. 2:7 *საქმენი მისნი ესე არიან*] *om მისნი* J

ლექსიკა

ლექსიკური ცვლილებები ერთი ნაწილი გადამწერის მექანიკური შცდომების შედეგია:

მიქ. 4:1 ἐπὶ τὰς κορυφὰς (τῶν ὀρέων) თხემსა (ზედა მთათასა) Ok GS] თ{ა}ვსა (err) (ზედა მთათასა)

] , შდრ. იოელ. 2:5 თხემთა ზ{ედ}ა მთათასა

მიქ. 2:11 ამის ერისა] ამიერისა (err)]

მიქ. 2:12 შეკრებით (შეკრბეს) O f] შეკერბით (err)]

მიქ. 2:8 განჰჰადეს] განჰჰდეს]

მიქ. 3:3 ასოეულად განაგეს (განაგდეს (err)])

ლექსიკურ შენაცვლებათა მეორე ნაწილი სინონიმურ შენაცვლებათაზე მოდის და პირველადი იკითხვის დადგენა მთარგმნელისთვის ჩვეული იკითხვისების მიხედვით ხდება:

მიქ. 4:13 ჭლაკნი O] ჭლიკნი] შდრ. Ps. 68:32 ὄπλας ჭლაკნი. ABCDEF ჭლიკნი. GHL

მიქ. 3:3 სიაგსა შინა O; სიაგსა შიდა]

იონა 2:7 φθιρὰ განჯრწნისაგან O L] განჯრუნისაგან]

მიქ. 2:12 განხლდენ] განვლდენ] Joel 2:5 ἐξέλθουσιν αἰσῶν, ხლდებოდინ JO
ვლდებოდინ SB; amb. 1:8 ხლდებოდინ JO; ვლდებოდინ SB

მიქ. 4:12 მჭელეულები] მჭელები Op

იონ.1:6 ὁ πρῶτος ნავის მხერვალი (მხერვალი c2); იგი მენავჭ იგი Ok ἡσπασῆσιν,

არის სხვა ტიპის ცვლილებებიც:

მიქ. 4:10 ჩუნთა O] ჩემთა]

მიქ. 4:12 მისნი O p] მათნი]

იონა 2:7 ἀναβήτω აღმოვედინ O] გამოვედინ

გრამატიკა

გრამატიკული ხასიათის ვარიანტები გადამწერისგან მომდინარეობს და ან მეზობელი სიტყვის ფორმების ზეგავლენით არის შექმნილი, ან ენის ისტორიაში შესულ სიახლეებს ასახავს:

ოშკის ხელნაწერის ჰაემეტ ფორმებს ცვლის:

იონ.1:6 ῥέγχεις] ჰხურინავ O] ხურინავ J

იონ.1:6 ჰხადოდე (ღმერთსა) O] ხადოდე JL

მიქ.3:7 რომელნი ჰხედვიდეს O] ხედვიდეს Jf

მიქ. 1:4 ცვლი] ცვლნი J (ex praec)

მიქ. 4:1 (მოვედით და) აღვიდეთ Ok] აღვედით J

მიქ. 3:1 ჰრეი თქუას J; ჰრეუა O

მიქ. 2:7 განარისხა] განრისხნა J

მიქ. 1:1 მიქეაძს] -აძსა J

მიქ. 4:13 ἄλσα (praes. imperat.) ლეწევდ Op] ლეწევდი J

იონ. 1:5 ზღუად O] ზღვად J;

იონ.1:9 შექმნა O f] შექმნა J

ზმნისწინების, წინდებულების გამარტივება

მიქ. 1:9 -ადმდე] იუდააძამდე J

მიქ. 1:9 ზქეთადმდე] ზქეთამდე J

მიქ.4:10 ბაბილონადმდე O] ბაბილონდმდე J

მიქ. 2:3 აღიპყრნეთ] აიპყრნეთ J

იონ. 1:3 სანავჯ O] სანავე J

გრამატიკული ცვლილებების ერთი ნაწილი სტილისტური ხასიათისაა:

მიქ. 1:5 ვინ] ვინაჲ J (კითხვ. წინ)

მიქ. 2:8 სასოებაჲ] სასოებისა J

მიქ. 2:8 შემუსრვაჲ ბრძოლისაჲ] შემუსრვად ბრძოლისა J

მიქ. 2:11 ღვწოდ მთრვალობაჲ] ღვწოდ მთრვალობისა (lec. fac) J f1

მიქ. 3:7 (τοῦ ἀπαγγεῖλαι)] (მითხრობითა) იაკობსაO] (მითხრობად) იაკობისა J cf τῷ Ἰσραῆλ
ისრაჴლსა JOf

მიქ. 4:13 Κατατήξει დააწულილნე Op] დაამწულილნე J

იონ.1:4 ზღუასა ზედა J ზღუასა მას ზედა O

იონ.1:4 ზღუასა შინა J ზღუასა მას შინა O

მიქ. 3:3 τὰς σάρκας ჯორცნი O] ჯორცი J cf ზემოთაც მხოლობითია ყველა რეცენზიაში.
მხოლობითია ტყავი, მრავლ. ძვალნი, დრონეულნი,

იონ.1:5 ἀπ'αὐτῶν(რაფთა აღუმცირონ) მათგან O] მათ (sup lin)

სიტყვების მიმდევრობა

მიქ. 4:5 ყოველი ერი O] ერი ყოველი J

იერუსალიმური ხელნაწერის ცალკეული მეორადი ვარიანტების ხასიათი არ მეტყველებს იმაზე, რომ ხელნაწერის დედანი დაზიანებული იყო (არც მოტანილი მაგალითები და სხვა წიგნების მასალა არ ავლენს ამოკითხვის შეცდომებს) და არც იმაზე, რომ გადამწერი უყურადღებოდ მუშაობდა (განსხვავებით ბლეიკის მიერ გამოთქმული აზრისა), თუმცა, ცხადია, თითოეორთა ამგვარი მაგალითიც გვხვდება ხელნაწერში. ცვლილებები არც იერუსალიმის ხელნაწერის გადამწერის რაიმე გამოკვეთილ მახასიათებელს გვაძლევს: ცვლილებების უმრავლესობა სპორადულია და შიგადაშიგ ტექსტის სტილისტური გამართვის სურვილითა და ენაში მიმდინარე ცვლილებების გავლენით აიხსნება.

ოშკის ხელნაწერის მეორადი იკითხვისები

კვანტიტატიური ცვლილებები

მატება

უმეტესად სტილისტური ხასიათისაა:

მიქ. 1:4 დადნენ] +ქუეშჳ მისსა (ex praec) O

მიქ. 1:9 ვიდრე] pr და O

მიქ. 3:5 ამას იტყვს] pr ამისთვის O

მიქ. 3:7 οἱ κατάλοιποι ნეშტთა] +მათგან (მაგათ (err) O)

მიქ. 4:1 აღმაღლდეს] +იგი O

მიქ. 4:2 ვიდოდით JO] + ჩუენ O

მიქ. 4:6 შემუსრვილნი] + იგი J; + ერისა ჩემისანი O

მიქ. 4:12 არა (არცა O) გულისხმა ყვნეს

იონ. 2:4 init რამეთუ O

იონ 2:7 init შთავჳედი] pr. და O

კლება

გამოტოვებები უმეტესად მექანიკურია (მსგავსი კიდურწერილობა, ჰაპლოგრაფია, პარაბლესისი), თუმცა სტილისტური კლებებიც გვაქვს, რომელიც ქართულის შესაბამისად ამარტივებს სტრუქტურას:

მიქ. 2:1 და²] >(hapl.) O

მიქ. 4:3 და³] >(hapl.) O

მიქ. 4:3 და¹] >(hapl.) O

მიქ. 3:7 om ძლიერებითა Jf] > (parabl) O

მიქ. 3:1 om და ნეშტთა სახლისა ისრაჳლისათა (homoiot) O

მიქ. 3:3 შინა 3ი4 O

მიქ. 3:5 რომელნი 3ი4 O

მიქ. 4:13 ოჯგლისა 1⁰ი2⁰ O

მიქ. 1:1 და 2] > O

მიქ. 1:4 პირსა ცეცხლისასა] ცეცხლსა O (ex Ps. 67:3)

მიქ. 1:4 გარდამომავალი] > O

მიქ. 1: 11 დამკვდრებული 2] > (lec. fac.) O

მიქ. 2:4 მოიღოს იგავი ესე თქუენ ზედა] om თქუენ ზედა O

მიქ. 2:11 ნაწუეთისა მისგან Jf] om მისგან O

მიქ. ხოლო აწ (> O) უფალი

მიქ. 3:5 მათ (obj) J] >O

მიქ.2:1 საწოლთა მათთა ზედა] om მათთა O

მიქ.3:6 მათ ზედა J] >O

ლექსიკა

ლექსიკური განსხვავებები სხვადასხვა ტიპისაა და არ ავლენს რაიმე პრინციპს. უმეტესი მათგანი ამოკითხვის ან დამახსოვრების შეცდომებია. უფრო ანგარიშგასაწევი ცვლილებები სტილისტური და სინონიმური შენაცვლებებია, ანდა სემანტიკური ცვლილება და პარალელური ადგილების ზეგავლენით გამოწვეული ლექსიკური ცვლილება:

იონა 1:14 $\mu\eta$ $\delta\acute{\alpha}\zeta$ ($\alpha\acute{\nu}\mu\alpha$) ნუ გუცემ სისხლსა J f] მოაწევ O მიქ.1:3 უფალი = S Tdt] ღმერთი O

მიქ. 1:8 იგლოვდეს] გოდებდეს O^{rest}

მიქ.4:6 შევიწყნარნე] შევიწყალნე O

მიქ.2:12 სამწყსოდ] სამწყული O

მიქ.3:10 $\acute{\epsilon}\nu$ $\acute{\alpha}\delta\iota\chi\lambda\alpha\iota\varsigma$ უშჯულოებითა O] სიცრუვითა J (მიქეაში უფრო უშჯ. სხვა წიგნებში - სიცრუვე);

მიქ.3:4 $\sigma\acute{\upsilon}\tau\alpha\varsigma$ (init) ეგრეთ J] ეგრე O

მიქ. 2:12 ლოდებით მოველოდი J Arm] მოლოდებით მოელოდენ O

მიქ.3:10 $\sigma\acute{\iota}$ $\sigma\iota\chi\omicron\delta\omicron\mu\omicron\upsilon\tau\epsilon\varsigma$ რომელნი აშენებთ] აღაშენებთ O)

მიქ.1:2 მისით] თვსით O

მიქ.4:2 (მიჩუენოს ჩუენ გზად) მისი J GS M1] თვსი Ok

მიქ.3:10 მისნი J] თქუენნი O

მიქ.1:7 დავსხნე] (კერპნი...) დალეწნენ (err) O

მიქ.2:5 შენდა მომდებელ] შთამომდებელ (err?) O

მიქ.1:8 უჩხულთაჲ (err) O

მიქ.4:10 რამეთუ] რომელი (err) O

მიქ.3:5 ὅτι ἔδωκεν ἄρα μοι ἡ γῆ] ἄρα მოექცა (err) O

იონა 1:11 უფროდსდა] უფროდდა (err) O

მიქ.3:4 გარწმიაქციოს J; გარემიიქციოს O

მიქ.4:10 მიერ J] მერმწ (err)O

იონა 1:10 ὅτι რამეთუ J] ვითარმედ O L GS

მიქ.1:16 აწ] და O

მიქ.3:7 πάντες ἀπτοί ყოველნი იგი Of] ყოველნივე იგი J

მიქ.4:3 εἰς δρέπανα(pl) მანგლებად მანგლად O ნამგლად k

მიქ.4:9 ნუუკულ მუფუწ არა გესუა J p] ნუ მეფუწ არა გესუა O

Jon 3:5 ἐκήρξαεν νηστείαν πᾶσιν ἡμέραις ἕως ἡμερῶν J k s S] მიაწვეს მარხვაჲ O P ქადაგი ჳმობდა lp

გრამატიკა

ბრუნვისა და წინდებულის ფუნქციები

იონ.1:5 τὸν ἐν τῷ πλοίῳ (გარდაჰყრიდეს ჭურჭერსა) ნავით J lp] (გარდაჰყრიდეს ჭურჭელსა) ნავისასა OP

მიქ.3:7 τοῦ ἀπαγγεῖλαι მითხრობად Jf] მითხრობითა O;

მიქ.2:1 მოქმედ ბოროტისა] მოქმედ ბოროტის O

მიქ. 1:7 სასყიდელთაგან] სასყიდლისაგან O (cf infra ex praec)

მიქ.3:1 სამართალისა] სამართლისა O

ზმნა

ყველა ტიპის ცვლილებაა - რიცხვში, პირში, დრო-კილოში.

იონ.1:7 ჰრქუა J] თქუა O

იონ.1:7 განაგდეს J f განიგდეს O

მიქ.2:1 იქმნეს] იქმნეს O

მიქ.2:2 უთქუმიდა] -იდეს O

მიქ. 2:2 მძლავრობდეს] ჰმძლავრობდეს O

მიქ. 2:5 იყოს] იყო O

მიქ.1:8 იტყებდეს] ეტყებდეს O v. იოელ 1:13; ზაქ. 7:5; 12:12 |

მიქ.1:8 ყოს] ყონ O

მიქ. 2:12 ლოდებით მოველოდი J f] მოლოდებით მოელოდენ O

მიქ.3:5 τὸς δάκνιοντας უკბენენ J; რომელნი უკბენდეს O

მიქ.3:10 ἔσται იქმნეს J; იქმნას O

იონა 1:2 ἀήρξον ქადაგებდ J ქადაგებდი O

იონა 2:3 გესმა] ესმა O

მიქ. 1:16 აღიპარსე] -სჭ O

სახელი

მიქ.4:8 ποιμαῖος სამწყსოდსაო Jp] სამწყსო O

მიქ. 2:7 რომელ თქუას] რომელმან თქუას O

იონა 1:3 თარშიდ] თარშით O (bis)

იონა 2:1 ἐκ τῆς κοιλίας მუცელსა O +შიდა J

იონა 2:3 (ღაღადებისა) ჩემისა] ჩემისაჲ O

რიცხვი

იონ.2:6 ἄβυσσος ἐκἀκλασέν με ἐσχάτη უფსკრულმან მომიცვა მე დასასრულისამან J]

უფსკრულთა მომიცვეს მე დასასრულისათა O

ნაწევრის ხმარება

იონ.1:7 წილი იგი J წილი O

იონა 1:14 სულისათვის J სულისა ამისთვის O

იონა 1:14 ზღუად Jf] ზღუად იგი O

იონა 2:1 ვეშაპსა J ვეშაპსა მას O

სიტყვათა წყობა

მიქ. 4:3 შჯიდეს შორის ერსა მრავალსა J] შჯიდეს ერსა შორის მრავალსა O cf შჯიდეს ერსა მრავალსა

მიქ. 4:4 კაცადი ქუეშჳ (>k) ვენაცსა თვსსა და კაცად კაცადი ქუეშე ლელუსა თვსსა J] კაცად კაცადი ვენაცსა თვსსა ქუეშჳ და კაცადკაცადი ლელოვანსა თვსსა ქუეშჳ

მიქ. 4:7 მეუფებდეს უფალი მათ ზედა J] მეუფებდეს მათ ზედა უფალი O p

მიქ. 4:13 τὰς ὀπλὰς σου θήσομαι χαλκᾶς ქლიკნი/ შ[ექნნი შეგადგნე რვალისანი] ჭლაკნი შენნი რვალისანი ვყვნე O

ტექსტის ისტორიის სხვადასხვა ეტაპი ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერებში

საინტერესოა ისეთი მაგალითები, სადაც ტექსტის ცვლილების სხვადასხვა ეტაპია აღბეჭდილი. მაგ., შემდეგ შემთხვევაში J-ში სიტყვათა წყობა მეორადია, ლექსიკა - პირველადი:

მიქ.3 :11 სასყიდლით სიტყუასა მიუთხრობდეს J] სიტყუასა სასყიდლით მიუგებდეს O იხ.

მიქ. 6:3 მომიგე მე სიტყუად JOL (მაგრამ - მიქ.6:5 მიუგო)

შიდაქართული წარმომავლობის დუბლეტების წევრების განსხვავებული რიგი შეიძლება ხელნაწერთა ურთიერთმეჯერების სხვადასხვა ეტაპზე მეტყველებდეს:

იონა 1:2 ἀνέβη ἡ κραυγὴ τῆς κακίας αὐτῆς πρὸς μὲ] აღმალდა და მოიწევს ღალადებად უკეთურებისა მისისაჲ ჩემდამო J; აღმალდა და მოიწევს უკეთურებად ღალადებისა

მათისაჲ ჩემდა მომართ O; შდრ. ამაღლდა უკეთურებაჲ დაღადებისა მათისაჲ ჩემდა მომართ P⁵⁹; ამაღლდა დაღადებაჲ უკეთურებისა მათისაჲ ჩემდა მომართ Jer 59; აღმაღლდა (აღმოცდა I) დაღადებაჲ უკეთურებისა მათისაჲ წინაშე ჩემსა k s; ამაღლდა დაღადებაჲ უკეთურებისა მათისაჲ p; აღმოვიდა დაღადებ(ა)ჲ უკეთურებისა მისისაჲ ჩემდამო GS

იონა 1:2-ში იერუსალიმი და ოშკი, განსხვავებით ლიტურგიკული ხელნაწერებისაგან, შიდაქართული წარმომავლობის დუბლეტს ადასტურებს, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისგან წინადადების წევრთა წყობითა და ნაცვალსახელების გრამატიკული ფორმით. ისიც საინტერესოა, რომ თუ სიტყვათა რიგი და მხოლობითი რიცხვი (მისისაჲ) იერუსალიმში ბერძნულს მისდევს და პირველადია, ჩემდამო ჩემდა მომართ -ს მეორად ფორმას წარმოადგენს. ლექციონარები კიდევ უფრო ართულებენ ტექსტის განვითარების სურათს - ხან ერთი ხელნაწერის იკითხვისებს მიჰყვებიან და ხან მეორისას: ძირითად ადასტურებენ რა პირველად იკითხვისებს, აბრჳ -ის შსატყვისად ოშკური ხელნაწერის მეორად მათისაჲ-ს შეიცავენ.

შიდაქართული დუბლეტი (თუ აღწერითი თარგმანი), ოღონდ სხვადასხვა ფორმით დასტურდება შემდეგ შემთხვევაშიც:

იონა 1:3 (ἀέσθη Ἰωνᾶς) τὸν φυεῖν ψαῖψυ (აღდგა იონა) სივლტოლად და წარსლვად J და წარვიდა სივლტოლით Ok dubl (შდრ. იონა 4:2 τὸν φυεῖν სივლტოლად J სივლტოლად O)

f - საცავი ფურცლების ფრაგმენტები

სომხური ხელნაწერის ფრაგმენტები (f) (შეიცავს შემდეგ ფრაგმენტებს: იონას 1:7-2,6; 4:7-11; მიქ. 1:1-13; 2:9-11) აქამდე გამოუკვლეველი იყო. მისი ტექსტი⁹ ძველია, მიუხედავად იმისა, რომ თავად ხელნაწერი შედარებით გვიანდელია (XIV-XV ს). თუ ხელნაწერი სწორედაა დათარიღებული, მისი ტექსტი ძველი თარგმანის პოპულარობაზე უნდა მეტყველებდეს პოსტგელათურ ხანაში - მიუხედავად გელათური თარგმანებისა, როგორც ჩანს, გამოყენებაში სწორედ ეს ტექსტი იყო. იერუსალიმური და ოშკური ხელნაწერების

⁹ბ. უტიეს მიერ მოწოდებული ფოტოებიდან ტექსტი გადმოწერა თ. მაგრაქველიძემ.

ევალუაციისას f კარგად ასრულებს საკონტროლო წყაროს როლს: ის უმეტესად იერუსალიმურ ხელნაწერთან ერთად დგას,¹⁰ თუმცა ზოგი იკითხვისი ოშკისას ემთხვევა და მის პირველადობას ადასტურებს.

მართო f პირველადი:

მხოლოდ f შეიცავს თავადაპირველ თარგმანში ბერძნულის კვალად გამეორებულ ნაცვალსახელებს:

იონა 1:12 ἀρατέ με και ἐμβάλετέ με] აღმიღეთ მე (>O sp) და შთამაგდეთ მე (>JOks) ზღ[უა]სა f]O L

მხოლოდ f-ს აქვს დაცული ზმნის ძველი ფორმა:

მიქ.3:7 იყუნენ f] იყვნენ JO

მეორად იკითხვისებს შორის არის წერის მექანიკური შეცდომები, გვიანდელი გრამატიკული ფორმები:

იონა 1:12 ἔτι ვითარმედ] რამეთუ f

მიქ. 3:6 დღჳ Geo] მზე (err)

მიქ.3:6 მზჳ JO] მზე f

მიქ.3:6 მისნობისაგან JO] -ისგან f

მიქ.3:6 ჰრცხუნოდის JO] ჰრცხუწნოდის f

მიქ.3:6 მათ ზედა J] მას ზედა f; >O

მიქ. 3:6 om და (hapl)

f=J

ფრაგმენტი მისდევს იერუსალიმის ხელნაწერის თავადაპირველ და მეორეულ იკითხვისებს:

¹⁰ შდრ. უტიე - ოშკურთანო (13), თუმცა აქ შეიძლება ოშკურ ტიპს გულისხმობს და არა ოშკის ხელნაწერს.

იონ. 2:3 (მუცლით გამო) ჯოჯობეთისადთ J f] ჯოჯობეთისა O

მიქ.3:7 ჰხედვიდეს O] ხედვიდეს Jf

იონ. 1:16 *μεγάλη* დიდითა O] +ფრიად J f

იონ. 2:4 მე O] > J f

იონა 1:8 ანუ რომლისა სოფლისაჲ ანუ რომლისა ერისაჲ ხარ შენ] om ანუ რომლისა ერისაჲ J f

f=O

ფრაგმენტი მისდევს ოშკის ხელნაწერის პირველად და მეორეულ იკითხვისებს:

იონ. 1:15 თვისისა Of] თვისა J

იონ.1:12 მიცნობიეს მე] om მე O f

იონ.2:5 ვთქუ მე J] om მე O f

მოზრდილი ტექსტუალური ცვლილებები

იერუსალიმისა და ოშკის ხელნაწერების ურთიერთგანსხვავება ოშკის ხელნაწერის დაზიანებული დედნით/არქექტიპით შეიძლება აიხსნას, რომელსაც გადამწერი სტილისტურად გამართავს.

იონა 1:9 *καὶ εἶπε πρὸς αὐτούς Δοῦλος κυρίου ἐγὼ εἶμι καὶ τὸν κύριον θεὸν τοῦ οὐρανοῦ ἐγὼ σέβομαι* (σέβομαι] φοβουμαι Sc-V C²-239* Clem. Cyr.F: cf. Is. 66:14;), *ὅς ἐποίησε τὴν θάλασσαν καὶ τὴν ξηρὰν.*

1:9 Ասէ ցնոսա. ^[6]Մառայ Տեսան` եմ ես, եւ զՏէր Աստուած երկնից պաշտեմ որ արար զծով եւ զ ցամաք:

J **1:9** მონაჲ უფლისაჲ ვარი მე და უფლისა ღმრთისა ცათაჲსა მე მეშინის, და ვჰმსახურებ, რომელმან შექმნა ზღუაჲ და ჰმელი

F მონად უფლისად ვარი მე და [ო{ჯფლ}]ისა [ღ{მრ}თისა ცა]თადსა მეშ[ინის მე] და [ვ]ჰმს[ახურებ რ{ომელმან შექმნა] ზღუაჲ და ჳმელი

O 1:9 მონად ვარი მე უფლისა ღმრთისა ცათადსად, და მეშინის მე და ვჰმსახურებ მას, რომელმან შექმნა ზღუაჲ და ჳმელი

K მონად უფლისად ვარი მე და უფალსა ღ{მერ}თისა ცათასა ვმსახოჯ/რებ რ{ომელმან} ქმნა ზლოჯად დაჯ/მელი

L^{Sin371} 1:9 მონად ვარი მე ღმრთისად და უფალსა ღმერთსა ვჰმსახოჯრებ (ვჰმსახოჯრებდ s) მე, რომელმან შექმნა (ქმნა l) (+ ცად და ქ{უე}ყ{ანად p) ზლოჯად და ჳმელად

G 1:9. და თქ(უ)ა მ(ა)თდა მ(იმა)რთ : მონად ო(ჯფლ)ისად ვარ მე . / და ღ(მერ)თისა ცისასა ვეშიშვი მე : რ(ომელმან) შექმნა ზღ(უ)აჲ და ჳმელი :-

ოშკის ხელნაწერის იკითხვისი იერუსალიმის ტიპის დაზიანებული ტექსტია: სამივეგან დუბლეტი გვაქვს (რომელიც არაა არცერთ ლექციონარში, მათ შორის, არც იერუსალიმთან ახლოს მდგომ კალაში). J და f მიჰყვებიან ბერძნულს, ოღონდ დუბლეტურად წარმოდგენილ შემასმენლებს შორის და კავშირს სვამენ და სხვადასხვა ობიექტს შეუსაბამებენ. ხოლო ოშკი გამოტოვებს უფლისად-ს, და გადააღაგებს წინადადებების წევრთა ურთიერთმიმართებებს: უფლისა ღმრთისა ცათადსად-ს უკავშირებს ვარი-სთან, ხოლო სხვა შემასმენლების - დუბლეტის ორივე წევრის - დამატებად დამოკიდებული წინადადებითა წარმოდგენილი.

მეორადი ტექსტი უნდა იყოს ოშკში შემდეგ შემთხვევებშიც, სადაც ოშკის ვარიანტები სტილისტურ ცვლილებებად უნდა ჩაითვალოს:

იონა 1:12 Καὶ εἶπεν Ἰωάνης πρὸς αὐτοὺς Ἄρατέ με (με2 W Hil.] > V A-Q*-49-407-956 36-51-II-87*-490-c-68-239e Chr. II 311 Cyr. Tht. Thph. Bas.N. Geo^{Oks}) καὶ ἐμβάλετέ με εἰς τὴν θάλασσαν, καὶ κοπάσει ἢ θάλασσα ἀφ' ὑμῶν· διότι ἔγνωκα ἐγὼ ὅτι δι' ἐμὲ ὁ κλύδων ὁ μέγας οὖτος (ὁ μέγας/οὖτος] tr. 26 407-534 Cyr.p Th. Thph. GeoJf ; om. ὁ W*) ἐφ' ὑμᾶς ἐστι.

J 1:12 და ჰრქუა მათ იონა: აღმიღეთ მე (=k) და შთამაგდეთ ზღუასა, და დასცხრეს ზღუად თქუენ ზედა(=slp), რამეთუ მიცნობიეს მე ვითარმედ ჩემთვის არს ღელვად ესე დიდი თქუენ ზედა

F და ჰ[რ]ქ[უ]ა მ[ა]თ იონა [აღ]მიღეთ მე და შთამაგდეთ მე [ზღ[უ]ას]ა, და დასცხრეს ზღ[უ]ად [თქ[უ]ენ ზ[ედ]ა] რ[ამეთუ] მიცნობიეს, რ[ამეთუ] [ჩ[ემ]თვის ა]რს ღ[ელ]ვად ესე [დიდი თქ[უ]ენ ზ[ედ]ა]

O და ჰრქუა მათ იონა: აღმიღეთ და შთამაგდეთ ზღუასა, და დასცხრეს ზღუად ესე (=L P) თქუენგან (=kL): რამეთუ მიცნობიეს, ვითარმედ ჩემთვის არს დიდი ესე ღელვად თქუენ ზედა.

იონა 2:5 *καὶ ἐῖπα ἀπ᾿σμαι ἐξ ὀφθαλμῶν σου ἄρα προσήσω τοῦ ἐπιβλέψαι πρὸς ναὸν τὸν ἄγιόν σου*

J და მე ვთქუ: გან-მე-გდებულ ვარა პირისაგან თუალთა შენთადას: შე-მე-ლა-ვსძინოა მიხედვად ტამარსა წმიდასა შენსა

O და ვთქუ: გან-მე-გდებულ ვარ მე პირისაგან თუალთა შენთადას ანუ შე-ლა-მე-ვსძინოა აწ მიხედვად ტამარსა წმიდასა შენ სა:.

Jon. 2:6 *περιεχύθη ὑδῶρ μοι ἕως ψυχῆς ἄβυσσος ἐκάλωσέν με ἐσχάτη ἔδῃ (3 act aor) ἢ κεφαλῆ μου εἰς σχισμάς ὀρέων*

J 2:6 გარდამეცნეს წყალნი ვიდრე სულად ჩემდამდე და უფსკრულმ[ა]ნ მომიცვა მე დასასრულისა. მან შთაჲდა თავი ჩემი ნაპრაღსა მთათასა

O 2:6 გარდამეცნეს წყალნი ვიდრე სულად ჩემდამდე და უფსკრულთა მომიცვეს მე აღსასრულისათა. შთაჲდა თავი ჩემი ნაპრაღსა მთათასა

განსაკუთრებით აღსანიშნავია ოშკის სინტაქსური ცვლილება (მიმღეობის დამოკიდებული წინადადებით გადმოტანა) იონას გალიბის შემდეგ მუხლში:

იონა 2:9 *φυλασσομένοι μάταια καὶ ψευδῆ ἔλεος αὐτῶν ἐγκατέλιπον*

J მცველთა მათ უშჯულოებისათა და სიცრუისათა წყალობად მათი დაუტევეს

○ რ[ომე]ლთა დაიცვეს ამაოებად სიცრუვისაჲ, მათ წყალობაჲ შენი დაუტევეს

იერუსალიმის და ოშკის ხელნაწერები განსაკუთრებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან **მალ. 2:6-10-ში**. იონას წინასწარმეტყველების ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებით, აქ J-ს ტექსტი უნდა იყოს მეორადი, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში იერუსალიმის ხელნაწერის იკითხვისიც პირველადად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ოშკის ვარიანტული იკითხვისების საპირისპიროდ.

2:6

νόμος ἀληθείας ἦν ἐν τῷ στόματι αὐτοῦ καὶ ἀδικία οὐχ εὑρέθη ἐν χεῖλεσιν αὐτοῦ. ἐν εἰρήνῃ κατεσθῆσεν ἔπορεύθη μετ' ἐμοῦ καὶ πολλοὺς ἐπέστρεψεν ἀπὸ ἀδικίας

J 2:6 რამეთუ რჩული და ჭემმარიტებაჲ იყო პირსა შინა მისსა და სიცრუვე არა იპოვა ზაგეთა მისთა. მშჯდობით წარმართებულად ვიდოდინ იგინი ჩემთანა და მრავალნი მოაქცინა გზისაგ[ან] სიცრუისაჲ:/ სა

L-1 რ[ამეთოჯ] შჯული და ჭემმარიტებაჲ იყოს პირსა მისსა და სიცრუე არა იპოა ზაგეთა მისთა, მშოჯიდობით წარემ/არ თა (lac)

Op 2:6 შჯული ჭემმარიტებისაჲ იყოს პირსა მისსა და სიცრუვჴ არა იპოვა (იპოოს p) ზაგეთა მისთა (მის თანა და p). მშჯდობით და მართლ ვიდოდა ჩემთანა და მრავალნი მოაქცინა სიცრუვისაგან :

L-p და შჯული ჭ[ემ]მარიტ[ე]ბი საჲ/ იყოს პირსა მისსა. და სი/ცრუვჴ არა იპოოს მის თანა. და მშჯდობით წარემართოს გზაჲ მისი წ[ინა]შე ჩემ/სა. და მრავალნი მოაქცი//ნეს გზისაგ[ან] სიცრუვისა

ოშკის ტექსტი პირველადაჲ. ლატალის ლექციონარი მისდევს იერუსალიმურს, პარიზი - ოშკურს ეყრდნობა, მაგრამ სტილისტურად ასწორებს მას.

⁷ ὅτι χεῖλη ἱερέως φυλάσσεται γυνῶσιν καὶ νόμον ἐκζητήσουσιν ἐκ στόματος αὐτοῦ διότι ἄγγελος κυρίου παντοκράτορός ἐστιν

J 2:7 რამეთუ ბაგეთა მღდელისათა დაიმარხიან გონიერებაჲ და შჯულსა ეძიებედ პირისაგან მისისა: რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოვლისა მპყრობელისაჲ არს იგი .

Op 2:7 რამეთუ ბაგეთა მღდელისათა დაიცვან (დაიცვიან p) სამართალი და შჯული გამოიძიონ პირისაგან მისისა: რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოვლისა მპყრობელისაჲ არს იგი *φυσλάξετα* ორივე შესატყვისი გამოიყენება: 2:7 დაცვა Op; დამარხვა J; **პირიქით**: 1:9 *ἐφυσλάξασθε* დაიცვენით J; იმარხავთ O 2:15, 16; 3:14 დაცვა; 3:7 დამარხვა;

სამართალი და შჯული Lect. Fac. In O

ამ მუხლში იერუსალიმის ოშკისაგან განსხვავებული იკითხვისი *γνώσιον* - გონიერებაჲ პირველადაჲ.

⁸ *ὁ μείζ δὲ ἐξεκλίνατε ἐκ τῆς ὁδοῦ καὶ πολλοὺς ἠσθενήσατε ἐν νόμῳ διεφθείρατε τὴν διαθήκην τοῦ Λευι λέγει κύριος παντοκράτωρ*

J2:8 ხოლო თქუენ გარდააქციეთ გზისაგან და მოაუძღურენით მრავალნი შჯულისაგან და განაქარვეთ. აღთქუმაჲ იგი ლევისი თქუა უფალმან ყოვლისა მპყრობელმან:

O2:8 ხოლო თქუენ გარდააქციეთ გზისაგან და მოაუძღურენით მრავალნი შჯულითა განპყუენით აღთქუმაჲ ლევისი. იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი

განაქარვეთ - იერუსალიმში კორექტირებული ფორმაჲ - ქა ჩამატებულია, როგოც ჩანს, ამასაც ოშკის განპყ. ჰქონდა. შჯულითა - მოქ, ბრუნვა ბერძნულ *ἐν-ს* შეესაბამება, *λέγει* -ს იტყვს აწმყო.

ოშკის იკითხვისეგი ისევ პირველადად უნა იქნას მიჩნეული

2:9 *καὶ γὰρ δὲ δὴ καὶ ὁ μείζ ἐξουθενώμενους καὶ παρειμένους εἰς πάντα τὰ ἔθνη ἀπὸ ᾧ ὁ μείζ οὐκ ἐφυσλάξασθε τὰς ὁδοὺς μου ἀλλὰ ἐλαμβάνετε πρόσωπα ἐν νόμῳ*

2:9 და აწ მე მიგცნე თქუენ დატეობილად და შეურაცხად ყოველთა შორის წარმართთა, მის წილ, რამეთუ არა დაიცვენით გზანი ჩემნი: არამედ თუალთაღებდით უშჯულ[ო]თა

O2:9 მერმე მიგცნე თქვენ შეურაცხად და დაცხნილად წარმართთა შორის ყოველთა ამისთვის: რამეთუ თქვენ არა იმარხავთ გზათა ჩემთა, ა[რამედ თუალალებდით პირ/თა შჯულსა შინა:

O პირველადია: *ἔξισθεν. mal. 1:7 bis, 12* შეურაცხი J შეურაცხ O *sof. 3:16* დაჰქსნდებიედ; ამისთვის - *ἀνθ' ἑαυτοῦ*: მის წილ გელათურშია, იხ, ამოს 1:3; იერ, აკლებს სმეწ თქვენ

O ა[რამედ თუალალებდით პირთა შჯულსა შინა:

Lect. Fac. არამედ თუალთალებდით უშჯულ[ო]თა J

J პირველადია სიტყვათა წყობა: წარმართთა შ[ორის]ს ყ[ოველ]თა

რთულია განვსაზღვროთ რომელი იკითხვისია პირველადი: არა დაიცვენით J არა იმარხავთ O

2:10 *οὐχὶ θεὸς εἶς ἔκτισεν ἑμᾶς οὐχὶ πατὴρ εἶς πάντων ἡμῶν; τί ὅτι ἐγκατελίπετε ἕκαστος τὸν ἀδελφὸν αὐτοῦ τοῦ βεβηλῶσαι τὴν διαθήκην τῶν πατέρων ἡμῶν*

2:10 აწ არამე ერთ არსა მამად თქვენ ყოველთაჲ? ანუ არამე ერთ არსა ღმერთი რომელმან დაგბადნა თქვენ? და დაუტევეთ კაცად კაცადმან ძმად თვისი შეგინებად აღთქუმისა მის შჯულისა მამათა თქვენთაჲ სა

2:10 ანუ არა მამად თქუენი ერთი იყო ყოველთაჲ? ანუ არა ერთმან ღმერთმან დაგბადნა თქუენ? რადსათვის დაუტევეთ კაცად კაცადმან ძმად თვისი შეგინებად და აღთქუმაჲ მამათა თქუენაჲ O

οὐχὶ θεὸς εἶς ἔκτισεν ἑμᾶς/ οὐχὶ πατὴρ εἶς πάντων ἡμῶν W-palBo Cypr. Ir.^{lat}] tr. S^{ca} C' -⁵³⁸-239 Syh Arm GeoJO Tht. Hi. = MT ; ἡμῶν1 Rahlfs] ἡμῶν Ziegler = M ἡμᾶς] ἡμᾶς Ziegler = M

οὐχὶ πατὴρ εἶς πάντων ἡμῶν აწ არამე ერთ არსა მამად თქვენ ყოველთაჲ? J ანუ არა მამად თქუენი ერთი იყო ყოველთაჲ? O: ძნელია თვალი გაადევნო ცვლილებების თანამიმდევრობას.

οὐχὶ θεὸς εἶς ἔκτισεν ἑμᾶς ანუ არა ერთმან ღმერთმან დაგბადნა თქვენ? O; ანუ არამე ერთ არსა ღმერთი რომელმან დაგბადნა თქვენ? J: მგონია, რომ J გვიანდელი იკითხვისს შეიცავს.

ჩი ზი რადსათჳს O; და J: O-ს იკითხვისი პირველადია.

ტექსტის ისტორია ქართულ და უცხოენოვან წყაროებთან მიმართებაში

რთული სათქმელია, რამდენად არის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტის ისტორია დაკავშირებული ბერძნულ ან სომხურ დედნების მიხედვით ტექსტის სწორებასთან.

ასფალგი ვარაუდობს, რომ სომხურიდან შესრულებულ ძველი თარგმანს ბერძნულის მიხედვით განუცდია რეცენზირება.

არაა გამორიცხული, რომ თარგმანი უცხოენოვან წყაროებს შუდარდა. მაგრამ კითხვაა, ამ შედარებას სისტემატური სახე ჰქონდა და ტექსტის ერთჯერად, სისტემატურ სწორებაში გამოიხატება თუ შედარებას არასისტემური და არაერთჯერადი ხასიათი ჰქონდა: განსხვავებების მარგინალიებზე აღნიშნავდნენ და აქედან განსხვავებული იკითხვისები შემდგომში ტექსტში გადადიოდა, როგორც კორექტურები. ხელნაწერებში დადასტურებული დუბლეტები ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

სომხური და ბერძნული ვარიანტებისგან შემდგარი დუბლეტი

მაგ., ზაქ. 12:7, სადაც მიღებული: *ἔπαρσις* *huyarunoxin* აღმადლება (აღამადლება M4) ამპარტავანებისად JM შდრ. სილაღე S

ბერძნულის მიხედვით შექმნილი დუბლეტები:

იონა 1:16 τῷ κυρίῳ] τὰ θεῶν V III (86*; του θεου 46*)] ღმრთისა Jkp ოვფლისა O

შიდაქართული დუბლეტები

დუბლეტები შესაძლოა მოწმობენ ასევე ტექსტის ჩვენამდე არმოღწეულ ქართულ წყაროსთან მიმართებაზე

იონა 1:2 ἀπέβη ἐκ ἀδμηλλδα k s p P (აღმოცდა err l) P აღმოვიდა GS] აღმაღლდა და მოიწვევის (ღაღადებაჲ)¹¹ JO

იონ. 1:3 ἀπέστη ...τοῦ φυγεῖν სივლტოლად p PGS; ილტოდა l] (აღდგა) სივლტოლად და წარსლვად J; (აღდგა) და წარვიდა სივლტოლით O k s;

O და J განსხვავებული დედნები

იმის სასარგებლოდ, რომ ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერების სახით წარმოდგენილი ტექსტუალური ტრადიციის ორი შტო ბერძნული ხელნაწერების მიხედვით სწორდებოდა, მეტყველებს იკითხვისები, რომლებიც სხვადასხვა ბერძნულ ტექსტუალურ ტრადიციას მისდევენ:

იონა1:2 κραυγή τῆς κακίας ღაღადებაჲ უკეთურებისა J] κακια της κραυγης III უკეთურებაღაღადებისა O

იონა 1:12 δι' ἐμὲ ὁ κλῆδων ὁ μέγας οὐτος ἐφ' ἑμαῖς ἐστί. ჩემთვის არს ღელვად ესე დიდი თქუენ ზედა J f k; οὐτος ὁ μέγας 26 407□ 534□ Cyr.p Th. Thph. ჩემთვის არს დიდი ესე ღელვად თქუენ ზედა O

დასკვნა

მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანის ისტორია, მისი ტექსტის ტიპიდან თუ ამოვალთ, IV საუკუნეში უნდა დაწყებულიყო და, ცხადია, რომ იმ ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზე, სანამ ამ ტექსტის ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ, ლექციონარებისა და ოშკის კოდექსში გადაიწერებოდა, გარკვეული ცვლილებები უნდა განეცადა. ეს ცვლილებები, ორგვარია:

¹¹ მოიწიოს - ამოს. 9:10; მიქ.1:15; 4:8; ამბ. 1:9; ზაქ. 14:5; იოვ. 1:15

1. ტექსტუალური. ა). პირველ რიგში, გადამწერისთვის ტიპიური, უნებლიე ცვლილებებია, გამოწვეული პარაბლეჰსისის, მსგავსი თავ-კიდურწერილობის, ასოთა გამოტოვების, დიტო-და ჰაპლოგრაფიის, ამოკითხვისა და დამახსოვრების, პარალელური ადგილების ზეგავლენისა და სხვა ამგვარი მიზეზების გამო. ბ). დაზიანებული დედნის გამო, რაც ამოკითხვის შეცდომების გარდა, ტექსტის სტილისტურ ცვლილებებსაც იწვევს გაუგებარი ტექსტის გასწორების მიზნით. დაზიანებულმა დედანმა შეიძლება ტექსტუალური მონაკვეთების აღდგენის მიზნით ახალი თარგმანიც მოითხოვოს. გ). გაუგებარი ტექსტის გასწორების მიზნით ხდება ე.წ. lectio difficilior-ების lectio faciliior-ით შეცვლაც. დ). მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტუალური ცვლილებების ერთი ნაწილი სხვა - ქართულ და უცხოენოვან წყაროებთან შედარების შედეგად შეიძლება იყოს, რომელსაც გადამწერის გარდა, ტექსტის ეგზეგეტიკისა ან ხელნაწერის გამომყენებელისგან შეიძლება მომდინარეობდეს.

2. ენობრივი. ცვლილებების სხვა ტიპი ენის განვითარებასთან და ორთოგრაფიული ნორმების ცვლილებებთან არის დაკავშირებული: გადამწერები ცოცხალი ენობრივი ფორმების გავლენას განიცდიან და სხვადასხვა დოზით ცვლიან ტექსტს: ხელნაწერებში არათანმიმდევრულად არის გამოხატული ზოგიერთი პირის ნიშნის მოშლის, დაღმავალი დიფთონგების მოშლის, საკუთარ სახელთა საზოგადო სახელებთან გათანაბრებისა და სხვა, ენაში მიმდინარე, ცნობილი ტენდენციები. ამავე დროს, ხელნაწერებში აქა-იქ შემორჩენილია ჰაემეტი ფორმები.

მთლიანობაში, იერუსალიმისა და ოშკის ხელნაწერები საკმაოდ მყარ ტექსტს იძლევიან თავდაპირველი თარგმანის აღსადგენად და ტექსტის განვითარების საკმაოდ კონსერვატულ პროცესზე მიაწინებენ. ბიბლიის კოდექსების ტექსტის კონსერვატულობა განსაკუთრებით კარგად ჩანს მათი ლექციონარის ხელნაწერებთან მიმართებაში განხილვის დროს: ლიტურგიკული ტექსტები გაცილებით ფლუიდური ხასიათისაა და ცვლილებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ლექციონარები

პრველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ არ არსებობს ზოგადად, 'ლექციონარის ტექსტი' ან 'ლექციონარის რეცენზია'. ლექციონარების ხელნაწერები სხვადასხვა წიგნში და სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ტიპის ტექსტს ინახავენ - იმას, რაც ძველ თარგმანს ეყრდნობა და განსხვავებულსაც. განსხვავებულ თარგმანს წარმოადგენს შემდეგი პერიკოპები, რომლებიც ლექციონარის შევსების დროს უნდა შექმნილიყო არსებული ბიბლიის თარგმანების გაუთვალისწინებლად, მათ შორის, იმ საკითხავების თარგმანებისა, რომლებიც ლექციონარში უკვე იყო ჩართული:

იონა 1:1-4: პარიზის, ლატალისა და სინის ლექციონარში.

მალაქია 2:3-7: პარიზის და ლატალის ლექციონარში.

მალაქია 3:1-6: პარიზის ლექციონარში.

მალაქია 3:18-4:3: პარიზის ლექციონარში.

ზაქარია 11:11-14: პარიზის ლექციონარში.

ზაქარია 14:5b-11: სინის ლექციონარში.

იოელი: 2:15-18 პარიზის ლექციონარში.

ამოსი 4:2-5:3 პარიზის ლექციონარში.

ტექსტუალური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან ის პერიკოპებიც, რომლებიც ერთსადაიმავე კალენდარულ თარიღთან დაკავშირებით შეტანილი არიან ლექციონარის სხვადასხვა ხელნაწერში. ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ ყველა ლექციონარს განვითარების თავისი გზა აქვს და მათი ტექსტიც სხვადასხვა დოზითა და მიმართულებით შორდება თავის არქეტიპს - ბიბლიის ტექსტს.

თამარ მაგრაქველიძე

ბიბლიის ტექსტი ლექციონარის ხელნაწერებში

ძველი აღთქმის ქართული თარგმანის ტექსტს ბიბლიის ხელნაწერების გარდა ლიტურგიკული წყაროებიც შეიცავს, რომელთა ჩვენამდე მოღწეული რაოდენობაც ბიბლიის ხელნაწერებისას გაცილებით აღემატება. რაც იმით აიხსნება, რომ პრაქტიკული საჭიროების გამო ლიტურგიკული ხელნაწერების ქონა აუცილებელი იყო ყველა ეკლესიისთვის, ბიბლიის კოდექსებისა კი არა. შესაბამისად, დიდი რაოდენობით შემორჩა ის ხელნაწერები, რომელთა რიცხვიც დიდი იყო.

როგორც ცნობილია, ქართული წყაროები ინახავს ღმრთისმსახურების როგორც იერუსალიმურ, ისე კონსტანტინეპოლურ პრაქტიკას. კრებული, რომლის შესახებაც დღეს უნდა ვისაუბროთ არის ლექციონარი, რომელიც ასახავს მე-5 მე-8 საუკუნის იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის ღვთისმსახურების წესს. ქართული ლექციონარის ხელნაწერები მეტ-ნაკლებად სრული სახით სულ რამდენიმე შემოგვრჩა, ხოლო ფრაგმენტულად კი - დიდძალი მასალა პალიმფსესტური ფურცლების ქვედა ფენების სახით, რომელთა ნაწილიც ჯერ კიდევ გასაშიფრია. ლექციონარის სტრუქტურა ასეთია: მთელი წლის კალენდარი, თითოეულ დღეს ღმრთისმსახურებაზე წასაკითხი ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების ტექსტებით, საგალობლების, მათ შორის ფსალმუნების დასაწყისების მითითებითა და წმინდანთა ხსენებებით. ლექციონარის კალენდარი თანდათან ივსებოდა, ემატებოდა ახალი დღესასწაულები და შესაბამისად, სტრუქტურაც თანდათან ყალიბდებოდა. ჯერ კიდევ ღია საკითხი ქართული ლექციონარის თარგმანის დროისა და მისი დედნის როგორობის შესახებ. გასარკვევია უკვე შევსებული ბერძნული ლექციონარიდან ითარგმნა თუ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მის განვითარებას. საკითხის გარკვევას ართულებს ის, რომ ბერძნული ლექციონარის წყაროები შემორჩენილი არ არის.

ფაქტია, რომ ქართულად ბიბლიის თარგმნა წინ უსწრებს ლექციონარის თარგმანს, რასაც ცხადჰყოფს ლექციონარის ტექსტის ბიბლიის ტექსტთან მიმართება და ის ფაქტი, რომ ქართული ბიბლიის ხელნაწერები ლიტურგიაში გამოიყენებოდა, რასაც მოწმობს ბიბლიის

ომკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებში ლიტურგიკული ნიშნების არსებობა. ლიტურგიისას წასაკითხი საკითხავების დასაწყისების და ზოგ შემთხვევაში დასასრულების მონიშვნა.

შესაძლოა, ლექციონარის ტიპიკონური ნაწილის, განსაკუთრებით დიდი დღესასწაულების რიტუალის აღწერის ტექსტუალური ფიქსაცია გვიან მოხდა და ამასთან, სხვადასხვა სამონასტრო-ლიტერატურულ წრეში, რადგან ამ ნაწილში ლექციონარის ხელნაწერები სხვაობენ. არ არის გამორიცხული, რომ ადრეულ ეტაპზე არსებობდა კალენდარული და ტიპიკონური მითითებების ბერძნული მოდელი/ჩონჩხი, რომლის ზეპირ თარგმანსაც ქრისტიანი ერები ბიბლიის საკუთარი თარგმანის ტექსტებით ავსებდნენ. მათ შორის ქართველებიც. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ, ერთსა და იმავე დღესასწაულზე, ერთი და იმავე წიგნიდან, სხვადასხვა მოცულობის მონაკვეთის საკითხავია განწესებული, არამარტო სხვადასხვა ქვეყნის ლიტურგიკულ ტრადიციაში, არამედ ერთმანეთთან ტერიტორიულად დაშორებულ სამწიგნობრო ცენტრების კუთვნილ ლექციონარის ქართულ ხელნაწერებშიც კი. შესაბამისად, ლექციონარის ხელნაწერებში ბიბლიის ტექსტი ადგილობრივი ხელნაწერებიდან უნდა შეეტანათ.

ქართველი მთარგმნელები ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებოდნენ ორიგინალის შერჩევას და სათარგმნად თუ რევიზირებისთვის ყოველთვის საუკეთესოს ირჩევდნენ. ბიბლიის ციტატებსაც კი ზუსტად ისე თარგმნიდნენ, როგორც დედანში ჰქონდათ, ან უკვე არსებულ თარგმანს მცირედ ცვლიდნენ იმ ტექსტის შესაბამისად, რომელსაც თარგმნიდნენ, უფრო მეტად ვრცელი ციტატების ან განსამარტი ლემების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ლექციონარის განვითარების ადრეულ ეტაპზე რომ ლექციონარის თარგმნის აუცილებელი მოთხოვნა არსებულებო, ბუნებრივია, ბიბლიის ტექსტიც ლექციონარიდან იქნებოდა თარგმნილი, თუმცა, შესაძლოა, ლექციონარის ბიბლიის ტექსტის ხელახალი თარგმანის საჭიროება არ იდგა იმის გამოც, რომ ქართული ბიბლიის დედანი და ბერძნულ ლექციონარში შემავალი ბიბლიის ტექსტი ერთი ტექსტუალური ტიპის ტექსტები იყო.

მეტი რომ არ გავაგრძელოთ, ნათარგმნი ძეგლის შესწავლა დედანთან შედარების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ როცა დედანი აღარ არსებობს თვითონ თარგმანი ასრულებს

ორიგინალის ფუნქციას. ქართული ეკლესიისთვის ავტორიტეტული იყო ბიბლიის ქართული თარგმანი, ის შეიტანა ლიტურგიკულ ხელნაწერებში და იყენებდა ღმრთისმსახურებაში მე-11 საუკუნის შუა წლების ჩათვლით.

ქართული ლექციონარის ბიბლიის ტექსტის ისტორია ორ ეტაპად შეგვიძლია გავყოთ - პირველი ეტაპის პლასტი შეიცავს ბიბლიის ხელნაწერებიდან ამოღებულ ტექსტს, მეორე, შევსების ეტაპზე კი ან ახლიდან თარგმნილს, ან არსებული თარგმანის რევიზიას, რომელიც შესაძლოა ხორციელდებოდა ლოკალურადაც კი. მაგალითად ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო ლექციონარში ყველიერის კვირის მასალის შეტანა და დიდი შაბათის იონას წინასწარმეტყველების საკითხავის ტექსტის რევიზია, რადგან მათი თარგმანის ენა, ლექსიკური ეკვივალენტები, მხატვრული სახეები ერთნაირია.

შთაბეჭდილებები ლექციონარის ბიბლიის ტექსტის შესახებ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ტექსტის შესწავლას ეფუძნება. თითოეულ საკითხავს თითოეული ხელნაწერის თითოეული დღის განგებაში საკუთარი ისტორია აქვს და შესაბამისად, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად უნდა განვიხილოთ.

თამარ მაგრაქველიძე

მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები დიდი პარასკევის განგებაში

ითვლება, რომ ლექციონარის მასალის უძველეს ფენას დიდმარხვისა და ვნების კვირის განგებების საკითხავები წარმოადგენს. მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები კალენდრის ამ ნაწილში, ყველა ხელნაწერში ერთგვაროვანი არ არის. მაგ. დიდი პარასკევის განგებაში 1-ელ საკითხავად განწესებულია **ზაქარია 11:11-14**. ამ საკითხავს ლექციონარის ყველა ხელნაწერი შეიცავს. კალის, ლატალისა და სინას ლექციონარის ტექსტი ერთად დგას, რადგან შეიცავენ ტექსტის გავრცელების პროცესში შეძენილ ერთგვაროვან ცვლილებებს, რითიც უპირისპირდებიან ბიბლიის იერუსალიმური ხელნაწერის ტექსტს. ოშკის ბიბლიის

Zech. 14:10 τοῦ βασιλέως ἰσραηλῆν: მეფისა J M4 O; შარავანდეთა მათ s

Zech. 14:10 τοῦ πύργου გაუთარასკინ გოდლადმდე J M4 O; ბჭედმდე s

Zech. 14:11 ἀνάθεμα შეჩუენება (-უწნება M4) J O; წყევამ

Zech. 14:10 κυχλῶν ყათსქი გარემო J M4 O; იქცეოდის s

დუბლეტები:

Zech. 14:11 πεποιθῶτας კიუსქ სსსოებით J M4 O; მშჯდობით და სსსოებით s

Zech. 14:10 κυχλῶν πᾶσαν τῆν γῆν ყათსქი ყამნნაყნ სრქქი, გარემო ყოველსა ქუეყანასა (ქუწ- M4) JO M4; იქცეოდის ყოველსა ქოვეყანასა ზედა +დაიცვეს ყოველი ქოვეყანა s

დამატება:

Zech. 14:10 τῆν ἔρημον ყანსაყათსქი` უდაბნოდ J M4 O] +და შწნი s

მისდევს ბერძნულ წყაროს

Zech. 14:10 ἕως τοῦ τόπου τῆς πύλης მინჯქს ἡ σκηνῆς ἰσραηλῆν ვიდრე ადგილადმდე ბჭისა J] om. τ. τόπου W A²-Q²-49²-198-233²-393-449²-534-919 51c-711* Sa Bo Aeth Arab Cyr. Tht. Bas.N. Hi.; მიბჭედმდე s

Zech. 14:10 Ραμα δὲ ἐπὶ τόπου μενεΐ სქ ჳნამ ἡ σκηνῆς ἰσραηλῆν ყაყგქ`ხოლო რამა ადგილობანს ეგოს J M4 O] και σψαθησεται και II-86^{mg}; ამალდე და მოჯნთქოვევე (err) ადგილი დაიპყრას

Zech. 14:10 ἀπὸ Γαβεῆ ἡ Φαρψαΐ` გაბჭთგან J O გაბეთგან M4] Γαλααδ 68 palBo (γαλαατ)გალადითგან s

თორმეტი მცირე წინასწარმეტყველის წიგნიდან ქართულ ლექციონარში თერთმეტის საკითხავია შესული სხვადასხვა მოცულობით. არ არის შეტანილი აბდიას წინასწარმეტყველება. თავიდან ბოლომდე მხოლოდ იონას წინასწარმეტყველება იკითხება დიდი შაბათის მწუხრზე. იოველის წიგნიდან საკითხავების კითხვა დაწესებულია დიდმარხვის ოთხშაბათობით 1-ელიდან მე-5 ოთხშაბათის ჩათვლით. ასეთი მიმდევრობა ქმნის განგრძობითი კითხვის შთაბეჭდილებას, შენარჩუნებულია თავების მიმდევრობა, მაგრამ 1, 2 და 3 ოთხშაბათს იოველის საკითხავი არ გრძელდება წინა ოთხშაბათს შეწყვეტილი მუხლიდან. მონაკვეთები დანარჩენი წიგნებიდან კი შერჩეულია დღესასწაულის შინაარსიდან გამომდინარე. სავარაუდოდ, წინასწარმეტყველთა ტექსტები ღმრთისმსახურების განვითარების არცერთ ადრეულ ეტაპზე არ იქნებოდა წაკითხული უწყვეტად, რადგან მათში გადმოცემულია კონკრეტული მოვლენების შესახებ წინასწარმეტყველება და სწორედ ეს მოკლე, საკვანძო მონაკვეთებია საკითხავად განწესებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრავალთავებში შესულ მამათა თხზულებებშიც ციტატები საკითხავი მონაკვეთებიდან არის აღებული. იონას წინასწარმეტყველება კი, რომელიც არის წინასახე ქრისტეს სამ დღე დაფლვისა და აღდგომისა, გადმოცემულია როგორც ამბავი, რომელსაც აქვს სიუჟეტი და არ აქვს ერთი კონკრეტული ეპიზოდი, ამიტომ არის მისი კითხვა განწესებული მთლიანად.

ეს არის ზოგადი სურათი ლექციონარის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტის ისტორიისა, მაგრამ ტექსტოლოგია არ კმაყოფილდება შედეგით, მას აინტერესებს არამარტო თავდაპირველი ტექსტი არამედ ტექსტის განვითარების მთელი პროცესი. ამიტომ ტექსტების ურთიერთშედარების შედეგად გამოვყოფთ იმ ცვლილებებს, რომლებიც ტექსტებმა განიცადეს გავრცელების პროცესში, ესენია როგორც გადამწერის უნებლიე შეცდომები ან ნებსით ცვლილებები, რისკენაც მას შესაძლოა დაზიანებული დედანი ან საკუთარი მეხსიერება უბიძგებდეს, ისე რევიზორული ცვლილებები.

არც ერთი გადაწერილი ტექსტი არ არის დაზღვეული შეცდომებისგან, განსაკუთრებით ისეთი ტექსტები, რომლებიც ვრცელ კრებულებშია შესული და რომლებსაც ერთი გადამწერი ჰყავს, რომლებიც სწრაფად იწერება საჭიროებიდან გამომდინარე. ლექციონარის

ტექსტები სხვადასხვა ტიპის შეცდომებს შეიცავს, შეცდომათა ტიპები კი სხვადასხვა ინტენსივობითაა დამახასიათებელი ლექციონარის თითოეული ხელნაწერისთვის.

ცხადია, ლექციონარის ხელნაწერები შეიცავს ისეთ შეცდომებს, რომელთა ამოცნობაც პარალელურ ტექსტებთან ან უცხოურ წყაროსთან შედარების გარეშეც მარტივია. ამ კუთხით გამოირჩევა ლატალის ხელნაწერი. გადამწერი სისტემატურად არღვევს ძველი ქართული ენის ორთოგრაფიის წესებს. ხმოვნების შემდეგ იოტას ნაცვლად წერს სრულ ი-ს, ჯ ნაცვლად ხმარობს ხანს და პირიქით, ჳ მერვეს წერს ედ დიფთონგით, ჯ-ს წერს უი გრაფემებით. ხშირად ავიწყდება, რომ უ ორი გრაფემით იწერება, ამიტომ ხან ჯ წერს მხოლოდ და ხანაც ო-ს. ხშირად აკლდება ასო ან სიტყვა, როცა შემდეგ სტრიქონზე გადადის და პირიქით, იმეორებს მარცვლებს ან სიტყვებს. ახასიათებს დიტოგრაფიები და ასოთა გამოტოვება. პარალელურ წყაროებთან შედარების შედეგად კი ჩანს, რომ ჰაპლოგრაფიების შემთხვევები, აგრეთვე სტრიქონზე თვალის გადახტომის მიზეზით გამოწვეული შეცდომები. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა თანდებულებს გადააქცევს ზმნისწინად, და პირიქით ან ბრუნვის დაბოლოებას აქცევს ნაცვალსახელად

Amos 9:6 τῆς ἐπαγγελίας quasiuḥu აღთქუმასა JO აღოჯთქოჯა + მას (err) L-1

გვაქვს გრაფიკულ ნიადაგზე წარმოქმნილი შეცდომებიც, რომლებიც გადამწერს ინტერპრეტაციისკენ უბიძგებენ და ცვლიან კონტექსტის შინაარსს.

მაგ. **Joel 3:3** καὶ τὰ κοράσια ἐπ᾿ ἄλυσιν ἀντὶ οἴνου καὶ ἔπινον და ქალებსა გ[ა]ნჰყ/იდდეს ღჯნოდ და სუმი/დეს O

და ქალებსა/ გ[ა]ნწყოჯნიდეს და სოჯმ/იდეს ღოჯინოსა:-/ L-1

ლექციონარის ხელნაწერებისთვის აგრეთვე დამახასიათებელია სახარებისა და სამოციქულოს თარგმანებში არსებული მცირე წინასწარმეტყველთა ციტატების ტექსტების გავლენა. პარალელური ადგილების მიხედვით ლექსიკური ეკვივალენტების შეცვლა და დამატებები. დიდი მონაკვეთების კლებები, რომლებიც არ ემსახურებიან საკითხავის ტექსტის განგებ შემოკლებას. ადრეული პლასტის საკითხავებში ეს ტენდენცია არ ვლინდება, თითოეულ ასეთ დიდ კლებას ახსნა ეძებნება ან გადამწერის ინდივიდუალური

შეცდომით ან დაზიანებული წყაროდან გადაწერით. რაც შეეხება გვიანდელ პლასტში საკითხავების განგებ შემოკლებას, შესამჩნევია, რომ მექანიკურად არ მოკლდება. არის შემთხვევები, როცა ემატება ფრაზა „ ამას იტყვის უფალი“ , ან ორი სხვადასხვა თავის რამდენიმე მუხლის შეერთება ხდება.

კიდევ ერთი თვალშისაცემი ცვლილება, რომელიც ლექციონარის ხელნაწერებში იჩენს თავს არის, საკუთარ სახელთა ფორმების დაწერილობა. განსაკუთრებით ვარიაციულობით ხასიათდება ისეთი ანთროპონიმები ან ტოპონიმები, რომლებიც იშვიათად იხმარება ტექსტებში.

თამარ მაგრაქველიძე

მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები ყველიერის კვირის განგებაში

ლექციონარის განვითარება, ერთი მხრივ, მისი კალენდრის გაფართოებას, ხოლო მეორე მხრივ, მის ძველი და ახალი აღთქმის საკითხავებით შევსებას გულისხმობს. მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების გაწყობა მთელი წლის კალენდარზე, (განსაკუთრებით დიდმარხვის პერიოდი, მოყოლებული ყველიერის კვირიდან აღდგომის დღესასწაულის ჩათვლით, დიდი საუფლო დღესასწაულები, ლიტანიის, ეკლესიის სატფურის, ეკლესიის საფუძვლის დადების ზოგადი განგებები, მცირე წინასწარმეტყველთა თუ სხვა წმინდანთა ხსენების დღეები) კარგად აჩვენებს ქართული ლექციონარის თავდაპირველ და შემდგომ პლასტებს.

ერთ-ერთი ასეთი გვიანდელი ფენა ყველიერის კვირის მასალა უნდა იყოს, რომელსაც სრულად ჩვენამდე მოღწეული მხოლოდ პარიზის ლექციონარი (BnF #3) შეიცავს. კალას ლექციონარში (Q 1653) ხელნაწერის ფიზიკური დაზიანების გამო, საკითხავები დიდი მარხვის პირველი კვირის პარასკევის მე-5 საკითხავის ესაია 40:1-8-ის ნაწილით ესაია 40:4b *აღმოივსოს*-ით იწყება. ლატალის ლექციონარის ხელნაწერიც (M 51) ამ ნაწილში საკმაოდ

დაზიანებულია, მაგრამ დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ხელნაწერი ყველიერის კვირის მასალას შეიცავდა თუ არა, ან უფრო მეტიც, ისეთივე სახით შეიცავდა, როგორც პარიზის ლექციონარი შეიცავს, შესაძლებელი არ არის. ე. წ. ბაღვაშების ლექციონარის (Q 1376) ხელნაწერიც ფრაგმენტულადაა მოღწეული, აქა-იქ შეიცავს ტრიოდულ ნაწილსა და ზოგად განგებებს. სინური ლექციონარი (Sin. 37) დიდი კანონიდან გამოკრებილ მცირე კანონს წარმოადგენს და მასში ყველიერის კვირის მასალა შესული არ არის.

როგორც შენიშნულია, რედაქციულად პარიზის ლექციონართან ყველაზე ახლოს ლატალის ლექციონარი დგას. ლატალის ლექციონარის ხელნაწერი ისევე როგორც პარიზისა შეიცავს ხორცის ადების კვირიაკის საკითხავებს. დაზიანების გამო აკლია მხოლოდ ბოლო საკითხავის, მათეს სახარების ნაწილი, ხელთაბანისა და სიწმინდის საგალობლების მითითება, მწუხრის ფსალმუნ-დასდებელი. წარმოვადგენთა საკითხავთა შესაბამისობის ცხრილს:

ცხრილი # 1

	L-l	L-p
283	20va დღესა კ[კ]რ[ია]კ[ე]სა კ[ო]რცი/თა აღებასა:	16vb წ[მი]დასა : კ[კ]რ[ია]კ[ე]სა : დღესა :/ კორცთა აღებასა
	20va ფსალმოკნი ა გოჯერდი/ აღავსე პირი ჩემი ქებითა/ რადთა ოკგ:	16vb ფსალმოკნი/ კ[მა]დ ა გოჯერდი/ აღავსე პირი ჩ[უ]ენი / ქ[ე]ებითა ო[კ]ფალო ვ[ი]დრე შეუნიერება/სა შ[ე]ენსა
	20va დასდებელი: შ[ე]ენ ო[კ]ფალო/ გესავ ნოკ მრცვენ/	16vb და[ს]დებელი: შ[ე]ენ ო[კ]ფალო/ გესავ

284	<p>20va ს[აკ]ცი[თ]ხ[ა]ვი იერემია წინაწარმეტყველისა/ ესრე იტყვის ოცვალი ძალთაჲ/ ღმერთი ისრაჲლისაჲ რამეთუჯ თქოდი/ანსიტყვანი ესე 20vb აღშენებად და დანერგვ/ად იტყვის ოცვალი</p>	<p>17vb ა: ს[აკ]ცი[თ]ხ[ა]ვი : იერემია: წინაწარმეტყველისაჲ:/ ესრე თქუა ოცვალმან ძალთამ[ა]ნ ღმერთმან/ ისრაჲლისამ[ა]ნ მრმე თქუა/და სიტყუად ესე ქ[უ]ეყ[ა]ნა სა/...17ra აღშენებად/ და დანერგვა იტყვს ოცვალ: /</p>
285	<p>:ბ:/ ს[აკ]ცი[თ]ხ[ა]ვი პ[ა]ვლე ჰრომ[ა]ელთაჲ/ ვიცი და მრწამს ოცვლისა მიერ... 21rb ქრისტე იესოჲს მიერ რომლისაჲ/ არს დ[ი]დებ[ა]ჲ ოცკოვნითი ოცკოვნისამდე ა[მ]ინ/</p>	<p>17ra ბ : ს[აკ]ცი[თ]ხ[ა]ვი: პ[ა]ვლ[ე] : ჰრომ[ა]ელთაჲ :/ ვიცი და მრწამს ოცვლისა ჩუენი/სა მიერ... 17va ქრისტე იესოჲს მიერ რომლისაჲ არს/ დ[ი]დებ[ა]ჲ ოცკოვნითი ოცკოვნისამდე ა[მ]ინ :</p>
	<p>აღილოვიაჲ კ[მა]ჲ ბ: ღ[ა]ღ[ა]დ[ე]ბ[დ]ით ღმრთი/სა ყოველი ქოვეყანაჲ</p>	<p>17va აღილოვიაჲ :/ კ[მა]ჲ ა გუერდი: ღ[ა]ღ[ა]დ[ე]ბ[დ]ით ღმრთისა/ ყოველი ქ ვიდრე მისა :</p>
286	<p>ს[ა]ხ[არ]ე[ბ]აჲ მათეს თ[ა]ვისაჲ/21va ნოჯ ზროვნოვთ ხვალისა...21vb იწროისაგ[ა]ნ ბჰისა რამეთუჯ ფარ //Lac.</p>	<p>17va ს[ა]ხ[არ]ე[ბ]აჲ : მათეს : თ[ა]ვისაჲ : ნუ ჰზრუნავთ ხვალი/სა თვს...18rb რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩე/მისაჲ. რომელ არს ცათა შ[ი]ნა :/</p>

287	Lac.	18rb კვლთაზანისაჲ კმაჲ ა: წინასწარ/განვიწმიდნეთ
288	Lac.	18rb სიწმიდისაჲ : ა გუერდი:/ კრებული მთავარ ანგელოზთაჲ:/
289	Lac.	მწუხრი : ფსალმუნი კმაჲ ბ: აუარე/ბდით ღმერთსა წყალ ვიდრე კეთილითა :/
	Lac.	დასადებელი აუარებდით ოჯვალსა რამეთუ კე:/

ხორცის აღების კვირა დღის შემდეგ პარიზის ლექციონარის ხელნაწერში ყველიერის კვირის მასალა მოდის. კვირის თითოეულ დღეს ძველი აღთქმიდან ორი საკითხავის კითხვაა განწესებული, მხოლოდ პარასკევსა და კვირას არის სამი. ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით პირველ საკითხავად დადებულია შესაქმე, ხოლო მეორე საკითხავად რომელიმე წინასწარმეტყველი. წარმოვადგენთ სქემას და თითოეულის შემთხვევაში მივუთითებთ წინასწარი, ზედაპირული დაკვირვებით გამოტანილ დასკვნებს საკითხავების თარგმანის ბიბლიის ტექსტთან მიმართების შესახებ, თუმცა ნ. მელიქიშვილს თავის დისერტაციაში (მელიქიშვილი 1974:40-49) და ნ. მიროტაძეს გამოუქვეყნებელ ნაშრომში¹³ დადგენილი აქვთ ყველიერის დღეების დაბადებისა და 1-ელი მეფეთას საკითხავების მიმართება ბიბლიის ომკური ვერსიისა და ბერძნულ ტექსტთან. მაშ, ყველიერის შაბათის დანიელის, კვირის ზაქარიას, სამშაბათის დაბადების საკითხავები ომკური ტიპის თარგმანია. ორშაბათის დაბადებისა და კვირის ესაიას საკითხავები გარკვეულ მონაკვეთებში განსხვავებულია და წყაროსთან შედარების შთაბეჭდილებას ტოვებს. იგავთას, ესაიას, 1-ელი მეფეთას, დაბადების, მცირე წინასწარმეტყველთა

¹³ მაძლოზას ვუხდით ავტორს დაუბეჭდავი ნაშრომის მოწოდებისთვის. ნაშრომში განხილულია 1 მეფეთას 28:1-29:11; 31:1-13 (303) საკითხავის ტექსტის წარმომავლობის საკითხი და დაგენილია, რომ იგი განსხვავდება ბიბლიის ვერსიისგან და მკვეთრად მისდევს L ტიპის ბერძნულ დედანს. იზიარებს მის მნიშვნელოვან ცვლილებათაგან უმეტესს.

საკითხავები ბიბლიის ვერსიისგან გასხვავებული თარგმანია. ამასთან, ერთი ტიპის. მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებზე დაწვრილებით ნაშრომის მეორე ნაწილში ვიმსჯელებთ.

ორშაბათი

1. პირველი : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : დ[ა]ბ[ა]დ[ე]ბ[ი]ს[ა] : 18rb-20ra 13:14-14:24
2. ბ: ს[აკ]კ[ით]ხ[ავი]: ამოს წინაწარმეტყველის[ა]:/
Inc. და მიჩუნა მე ღმერთმა დაა/ჰა ე ჰპოო ივნისა: იზ : 20ra

სამშაბათი

1. პირველი : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : დ[ა]ბ[ა]დ[ე]ბ[ი]ს[ა] : 20ra-20vb 17:1-19
2. ბ: ს[აკ]კ[ით]ხ[ავი]: მეფეთაა:/
Inc. სიტყუა იოჯღლისა იყო მესამესა/ წელსა : ჰპოო ივნისა: კბ : 20vb

ოთხშაბათი

1. პირველი : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : დ[ა]ბ[ა]დ[ე]ბ[ი]ს[ა] : 21ra-22ra 20:1-21:8
2. ბ: ს[აკ]კ[ით]ხ[ავი]: ესაია:/ წინაწარმეტყველის[ა]:
Inc. ვერ ნუ შემდ/ლებელ არს კელი იოჯღლისა ჰპოო :/ ლ[ი]ტ[ა]ნი[ი]სათა : ით :
ს[აკ]კ[ით]ხ[ავ]სა შ[ი]ნა : 22ra

ხუთშაბათი

1. პირველი : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : დ[ა]ბ[ა]დ[ე]ბ[ი]ს[ა] : 22rb-24vb 24:2-38, 49-54, 59-67¹⁴
განსხვავებული თარგმანია
2. ბ: ს[აკ]კ[ით]ხ[ავი]: ა/მოს : წინაწარმეტყველის[ა] :/ 24vb-25va 4:2-5:3

პარასკევი

1. პირველი : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : მ[ე]ფ[ე]თ[ა] : 25va-28ra 1 სამ. 28:1-29:11; 31:1-13
2. ბ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : მ[ე]ფ[ე]თ[ა] : ბ : თ[ა]ვის[ა] : 28ra-28vb 2 სამ. 1:1-17
3. გ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : იოველ (err ესაია) წინაწარმეტყველის[ა] : 28vb-29ra 2:15-18

¹⁴ საკითხავთა ამგვარი გამოკრებილი შედგენილობაც მათ გვიანდელობაზე უნდა მიანიშნებზე.

შაბათი

1. ა : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : ეზეკიელ : წინაწარმეტყუელი/ს[ა]დ/:
Inc. და იყო ჩემ ზედსა კელი ჰპ[ო]ო/ დიდსა შ[ა]ბ[ა]თსა : 29ra
2. ბ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : და/ნიელ : წინაწარმეტყუელი/ს[ა]დ : 29ra-rb 12:1-3

კვირა

1. პირველი : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : იგ[ავ]თ[ა]დ : 31vb-32ra 8:33-36
2. ბ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : ზ[ა]ქ[არ]ია წინაწარმეტყუელი/ს[ა]დ/ : 32ra-rb 8:14-19
3. გ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : ესა/ია წინაწარმეტყუელი/ს[ა]დ/ 32rb-33ra 58:1-14

ლატალის ხელნაწერში საკთხავები გრძელდება ყველის აღების კვირიაკის მე-3 საკითხავის ესაია - 58:5-ის (კაცთად) ნაწილიდან:

ცხრილი #2

	L-1	L-p
	Lac.	31vb წ[მი]დასა კ[კ]რი[ა]კ[ჴ]სა : დღესა ყველითა აღებ[ა]სა :
	Lac.	31vb ფსალმუნი კ[მა]დ დ გ[უ]ერდი :/ ილოცეთ და მიეცით დ[ი]დე[ბ]ა[დ] ო[კ]ფალსა:/ დ[ა]სდ[ე]ბ[ე]ლი გ[ა]ნცხ[ა]დ[ე]ბ[უ]ლ არს ჰუ:/

	Lac.	31vb პირველი ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : იგ[ავ]თ[ა]დ : 31vb ისმინეთ სიბრძნე და მეც/ნიერიქმენით...
323	Lac.	ბ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი]: ზ[ა]ქ[არ]ია: წ[ინა]წ[არ]მეტყუელი:/ს[ა]დ/ 8:14-20a 32ra-rb Inc. ამას იტყვს ო[ზ]ვალთა ყოველისა მპყრობელი. ვითარცა იგი გ[ან]ვიზრა/ხე ბოროტისყოფად... Des. 32rb იტყვს ო[ზ]ვალთა ყოველისამპყრობელი.
	22ra კ[ა]ცთ[ა]დ ვითარ იგი შეიდრიკიან/ მოვლნი მათნი სახილ/ველად კ[ა]ცთა:-/ 22va და შჰამო შეენ ნაწილი/ იაკობის მ[ა]მისა შეენისა/ რ[ა]მეთოჯ პირი ო[ჯ]იფლისად იტყოდა ამას//	32rb გ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] : ესა/ია : წ[ინა]წ[არ]მეტყუელისად :/ ესრე იტყვს ო[ზ]ვალთა . აწ ღ[ა]ღ[ა]დყ[ა]ვ/ მალლითა ჳმითა...33ra და გაჰამოს შეენ ნაწილი ი/აკობისი მ[ა]მისა შეენისად რ[ა]მეთუ/ პირი ო[ჯ]იფლისად იტყოდა ამას :/
	22vb ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] პ[ა]ვლე კ[ო]რ[ინ]თ[ელ]თ[ა]დ/ რ[ა]მეთოჯ აწ არს ჟამი იგი შეწყნ/არებისად 23ra ვითარცა არარად მაქოჯს და ყოველივე გოჯაქს:/	33ra დ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] პ[ა]ვლ[ა]დ : კ[ო]რ[ინ]თ[ელ]თ[ა]დ :/ რ[ა]მეთუ აწ არს ჟამი იგი შეწყნ/არებისად... 33va ვითარცა არარად/ მაქუს და ყოველივე მაქუს/ ჩ[უ]ენ
	ალ[ელ]ოჯია: ჳ[მა]დ ბ: ეკრძალენით ერი ჩე/	33va ალ[ელ]ოჯია: ჳ[მა]დ : ბ: ეკრძალ/ეთ ერი ჩე

ს[ა]ხ[არ]ე[ბ]ა მათეს თ[ავისა]დ/ ეკრძალენით ქ[ოველის] საქმ[ესა] თქ[ოვე]ნსა 24va ხ[ოლო] თქ[ოვე]ნ ეძიებდით პირ/ველ[ა]დ სასოფეველსა ღმრ[თის]სა დასიმართლესა/ მისსა ესე ყ[ოველი] შეგეძინოს თქ[ოვე]ნ	33va ს[ა]ხ[არ]ე[ბ]ა : მ[ა]თ[ეს] თ[ავისა]დ :/ ეკრძალენით ქველის სა/ქმესა თქ[ოვე]ნსა... 34vb ხ[ოლო] თქ[ოვე]ნ ეძიებდით პირველ[ა]დ/ სასოფეველსა ღმრ[თის]სა/ დასიმართლესა მისსა./ და ესე ყ[ოველი] შეგეძინოს თქ[ოვე]ნ./
კ[ველთა] ბ[ანის]სა კ[მა]დ გ/ ვიწყოთ ერნო ოზბიწო:/	კ[ველთა] ბ[ანის]სა კ[მა]დ გ გ[უერდი] : ვიწყოთ/ ერნო უბიწოსა
სიწ[მი]დ[ის]სა : რ[ომელ]ნი ქერაბინ// 24vb თა სადოკმოლოსა ვემს/	სიწ[მი]დ[ის]სა კ[მა]დ ბ :/ ყ[ოველთა] : კ[კრ]იაკ[ჭ]თა : ვიდრე ზოზამდე/ ესე სთქ[უ]ა რ[ომელ]ნი ქერ[უ]ბ[ი]ნთა საიდ:/
	ერისგანტ[ვე]ბ[ა] კ[მა]დ დ გ[უერდი] : განვიშორ/ნეთ ს[ა]ქმ[ენი] ბნელისანი და:/
მწ[ოვ]ხრი კ[კრ]იაკ[კეს]ა:	მწოხრი : ოხ[ითა] კ[მა]დ დ გ[უერდი] ყ[ოველთა] კ[კრ]იაკ[ჭ]თა სთქ[უ]ა : ვისწრაფოთ/ ერნო წინაგ[ან]საზღვრებად:/
ფ[სალ]მოკნი: კ[მა]დ: გ/ ჟამსა შეწყნარების[ა]სა ღმერთო მრა/ვლითა მოწყალებითა შე/	ფ[სალ]მოკნი კ[მა]დ გ ჟამსა შეწყნარების[ა]სა:/ ვიდრე შ[ენის]სა[დ]თა
დასდე[ბ]ელი: ისმინე ოკვალო რ[ამეთოვ] ტკბილ:/	დასდე[ბ]ელი ისმინე ჩე/მი ოკვალო რ[ამეთოვ] ტკბილ არს წყა:/

როგორც ვხედავთ, ყველის ალების კვირა დღის განგება ლატალის ლექციონარში ნაკლულობის მიუხედავად, პარიზული ხელნაწერის მსგავსია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი კვირის რეკონსტრუირება შეუძლებელია. თავდაპირველად, ვეცდებით, აღვადგინოთ ყველიერის შაბათი.

პარიზისა და ლატალის ლექციონარის ხელნაწერებში **დანელი 12:1-3**-ის კითხვა ორ სხვადასხვა დღესაა დაწესებული. პარიზის ლექციონარში (L-p 29ra-b) ყველიერის შაბათს, სულთა ხსენების დღეს, მე-2 საკითხავად, ხოლო ლატალის ლექციონარში (L-1 324rb-va) კი დაწესებულია ზოგად განგებებში შეტანილი ყოველი ერის ხსენების დღეს (უძველესი იადგარი 1980: 736), რომელზედაც ასევე იკითხება: პავლე კორინთელთა მიმართ (), ალილუია, ლუკას სახარება () და ამას მოსდევს სახსენებელი სულთაჲ, რომლის რუბრიკაც ორჯერაა გამეორებული 325ra-სა და 326va-ზე. როგორც წესი, ლექციონარში ერთი და იმავე საკითხავის ტექსტი, განწესებული სხვადასხვა დღეს წასაკითხად, არ მეორდება, მაგრამ კორნელი დანელია (დანელია 1987: 528) უთითებს ერთ მაგალითს იერ. 31:23-28, რომელიც ხორცის ალების კვირიაკესა (L-p 16v-17r) და ლიტანიის ზოგად განგებაში (L-p 332v) სრულადაა მოტანილი. თვითონ დღესასწაულის, თუნდაც სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში მყოფისა და უკვე ჩამოყალიბებულის გამეორება ერთ ხელნაწერში შეუძლებელია, თუ ეს ხელნაწერი ორი სხვადასხვა ხელნაწერის მექანიკურ შეერთებას არ წარმოადგენს. ამდენად, უფრო სარწმუნოა, რომ ლატალის ლექციონარის გადაწერის დროს ყველიერის შაბათი იმ შედგენილობით როგორც პარიზის ლექციონარშია ჯერ კიდევ არ არსებობს.

კარგად არის ცნობილი, რომ ლექციონარის კალენდრის გაფართოებამ გამოიწვია მსგავსი დღესასწაულებისთვის ერთი და იმავე საკითხავის დაწესება, მაგრამ ეკონომიის მიზნით, საკითხავის ტექსტი რომ არ გამეორებულიყო, შეიქმნა მითითების სისტემა (უძველესი იადგარი 1980: 677), უთითებდნენ საპოვნელი საკითხავის წიგნის სახელს, საკითხავის დასაწყის ფრაზას, კალენდარს და დღის განგებაში საკითხავის რიგითობას, თუ სრულად უნდა წაკითხულიყო ტექსტი, ხოლო თუ ნაწილობრივ, ეთითებოდა ზემოდასახელებული ინფორმაცია და ემატებოდა „საკითხავსა შინა“. მითითებული დღის განგებაში მოტანილ ტექსტში, სხვა დღეს წასაკითხი მონაკვეთი კი გამოიყოფოდა სინგურით დაწერილი სათაო ასოთი, რომელსაც ზოგჯერ ახლდა სხვადასხვა სახის ასტერისკი. ეს

პრაქტიკული სისტემა, რომელიც აწესრიგებდა კრებულის სტრუქტურას, კარგი სამუალებათა ლექციონარის პლასტებზე დაკვირვებისთვისაც.

ყველიერის კვირა საკითხავებს სესხულობს დიდი შაბათიდან და აგრეთვე, გვიან დაწესებული დღეების განგებებიდანაც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, არის თუ არა ლექციონარის რომელიმე ხსენებაში მითითება, რომელიმე საკითხავის ყველიერის კვირის განგებებში პოვნის შესახებ. ასეთი სამი შემთხვევა დასტურდება პარიზის ლექციონარში. განსაკუთრებით საყურადღებოა 22 აგვისტოს ისაკისა და იაკობის ხსენების დღე (1168), სადაც პირველ საკითხავად დადგენილია დაბადების 17:1-19 (1169) მონაკვეთის კითხვა, რომლის პოვნა შესაძლებელია ყველიერის სამშაბათს. ეს ხსენება ლატალის ლექციონარშიც არის, მაგრამ აქ პირველ საკითხავად პავლე გალატელთა მიმართ არს დადებული (L-1 262va). პარიზის ლექციონარში, ამავე დღის განგებაში, ლუკას სახარებიდან საკითხავის პოვნა მითითებულია ყველიერის სულის შაბათს (1171), ლატალის ლექციონარის მიხედვით (263ra) კი მათეს სახარების საკითხავია განწესებული, რომლის ნახვაც შესაძლებელია 17 ივნისს. მესამე კი არის ლიტანიის ესაიას 58:1-14 მე-18 საკითხავი (1579), რომელიც ყველის აღების კვირიაკეს უნდა იპოოს მკითხველმა. ყველის აკრეფის კვირა დღის განგება როგორც ვნახეთ, ლატალის ლექციონარშიცაა წარმოდგენილი, მაგრამ ამ ხელნაწერში არ არის ლიტანიის საკითხავები, თუ რატომ, ამის გარკვევა ახლა ჩვენს ინტერესში არ შედის, ამიტომ ამაზე მეტს აღარ გავაგრძელებთ. ერთი რამ კი ნამდვილად გვინტერესებს, რა მიმართებაა პარიზის ლექციონარის ლიტანიის მცირე წინასწარმეტყველთა კორპუსსა და კანონის დანარჩენ ნაწილს შორის, მოწესრიგებულია მიმართება თუ ქაოსური, რადგან გვაქვს ყველიერის პარასკევისა და ლიტანიის საზიარო საკითხავი მონაკვეთის ტექსტი იოველ. 2:15-18(19) ორივე დღის განგებაში სრულად წარმოდგენილი. პარიზის ლექციონარში ყველიერის პარასკევის საკითხავს შეცდომით «ესაია» აწერია ნაცვლად იოველისა, შესაძლოა, ეს გამხდარიყო კანონში საკითხავის ვერმოდებნისა და საკითხავის ხელახლა დაწერის მიზეზი.

ცხრილი #3

L-p

საკციითხავნი: ათორმეტა წინაწარმეტყუელთანი: 339rb	დღესა : პარასკევსა: [ყველი/ერისასა 18rb] კრებამ/ სიონს 25va
ე: საკციითხავი: იო/ველ : წინაწარმეტყუელისად :/ 2:15-19 339vb-340ra	გ: საკციითხავი :/ (err ესაია:) იოველ: წინაწარმეტყუელი:სამ / 2:15-18 28vb-29ra

როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის პარიზის ლექციონარის ე.წ. დანართი, რომელსაც სათაურად აქვს საკციითხავნი: ათორმეტა წინაწარმეტყუელთანი: (339rb) ლექციონარის სრულ ხელნაწერებშიც ამ შედგენილობით შედიოდა თუ არა, მაგრამ ლექციონარის ხელნაწერი Q 1376, რომელიც ჩვენამდე ფრაგმენტულადაა მოღწეული, შეიცავს როგორც ჩანს, ამგვარივე ზოგად განგებას, სადაც მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები მიმდევრობითაა წარმოდგენილი, თუმცა სხვა შედგენილობით. აქაც, ისევე როგორც პარიზის ლექციონარში მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები მოსდევს იერემიას წინასწარმეტყველების საკითხავებს, მასთან და ესაიას წინასწარმეტყველების საკითხავებთან ერთად წარმოადგენს ლიტანიის საკითხავებს, მაგრამ მისგან სათაურით გამოყოფილი არ არის, მხოლოდ ქანწილია დასმული. წარმოვადგენთ პარიზის ლექციონარისა და ე.წ. „ბაღვაშების ლექციონარის“ ამ ნაწილის შესაბამისობის ცხრილს.

ცხრილი #4

L-p	Q 1376
(1611) საკციითხავნი: ათორმეტა წინაწარმეტყუელთანი: 339rb	om
(1611) ა: საკციითხავი: ა/მოს : წინაწარმეტყუელისამ : რამეთუ ამას/	ა საკციითხავი ამოს წინაწარმეტყუელისამ

<p>იტყვს ოჯგვალის სახლსა: ჰპოო:/ მარხვათა :გ: ორშაბათსა:/ 5:4-15 339rb</p>	<p>ოჯგვალმან რომელმან ყვის მაღალ/თა შინა განკითხვად // ჰპოო ივნისა იზ 28ra-b</p>
<p>(1612) ბ: საკითხავი: ამოს : წინაწარმეტყულისაჲ :/ მას დღესა შინა ავჰმარ:/ ჰპოო: ივნისა: იზ: 9:11-15 339rb</p>	<p>ბ საკითხავი ამოს წინაწარმეტყულისაჲ / Inc. აჰა ესერა თუალნი/ ოჯგვლისა ღმრთისანი მეთქეთა/...Des. თქუა ოჯგვალმან რომელმან ყვის/ ესე ყოველი 9:8-12 28rb-28va</p>
<p>(1613) გ საკითხავი: / იოველ : წინაწარმეტყულისაჲ :/ 1:1-13 339rb-vb</p>	<p>om</p>
<p>(1614) დ: საკითხავი: / იოველ წინაწარმეტყულისაჲ:/ და აწ ამას იტყვს ოჯგვალის ღმერთი:/ ჰპოო : მარხვათა: ბ: ოთხ/შაბათსა: 2:12-14 339vb</p>	<p>om</p>
<p>(1615) ე: საკითხავი: იოველ : წინაწარმეტყულისაჲ :/ 2:15-19 339vb-340ra</p>	<p>om</p>
<p>(1616) ვ: საკითხავი: / იოველ : წინაწარმეტყულისაჲ:/ საჲ ნუ გემინინ ქუეყანაო გიხაროდენ:/ ჰპოო: მარხვათა. გ. ოთ/შაბათსა:2:21-27 340ra</p>	<p>საკითხავი იოველ წინაწარმეტყულისაჲ / ნუ გემინინ ქუეყანაო/ ჰპოო მარხვათა/ მე ე სა ოთხშაბათსა/ 2:21-27 28va</p>
<p>(1617) ზ: საკითხავი: იოველ:/ წინაწარმეტყულისაჲ:/ და იყოს/ ამის</p>	<p>om</p>

შემდგომად: ჰპოო: მარხ/ვათა: დ: ოთხშაბათსა: 2:28- 3:8 340ra	
(1618) : ზ : საკვითხავი: მიქა : წინაწარმეტყველ[ის]საჲ :/ 4:6-13 340ra-340va	om
(1619) თ: საკვითხავი: მიქ/ია : წინაწარმეტყველ[ის]საჲ: ისმინე/თ/ ესე რასა ოჯგალთი იტყო: ჰპო:/ მარხვათა :გ: სამშაბათსა:/ 6:1-9a 340va	საკვითხავი მიქია წინაწარმეტყველისაჲ / ისმინეთ სიტყუაჲ ოჯგლისაჲ აღდ/ეგ და იშჯოდე ჰპო/ო მარხვათა მე გ/ სა სამშაბათსა 6:1-9a 28va
(1620) ი: საკვითხავი: მიქია : წინაწარმეტყველისაჲ: / ხოლო მე ოჯგალსა ვესვიდე: ჰპოო:/ მარხვათა: გ: ორშაბათსა:/ 7:7-20 340va	საკვითხავი მიქიასი/ აგრამედ მე ოჯგალსა ვესვიდე/ ჰპოო მარხვათა/ მე გ სა ორშაბათსა/ 7:7-20
(1621) ია: საკვითხავი: მიქია : წინაწარმეტყველი/საჲ / და იყოს უკუანადსკნე:/ ჰპოო: მარხვათა: ბ: ოთხშაბათსა: 4:1-5 340va	om
	საკვითხავი მიქიასი/ ამას იტყვს ოჯგალთი უზ/უენო მათ ჰპო//ო განცხადებასა მეზდედ საკითხავად ¹⁵ / 7:15b-20
(1622) იბ საკვითხავი : იონა : წინაწარმეტყველისაჲ : და იყო სიტყუაჲ	საკვითხავი იონასი წინაწარმეტყველისაჲ/ და იყო

¹⁵ **L-p (83)** თთუესა იანვარსა :ვ: განცხადებ[ის]საჲ : წინა:/ დლით 381va

(96) შოლამითგან იწყონ და/სდეხელთა ამათ. და საკვითხავ/თა კითხვად: 361va

(103) ზ : საკვითხავი: / მიქა : წინაწარმეტყველისაჲ : უზუენო/ მათ საკვრველი იხი ჰპოო:/
მარხვათა :ვ: ორშაბათსა. საკვითხავსა შინა: **7:15b-20** 363vb

ოჯგლისაჲ/ იონა : ჰჰოო: დიდსა შჰაბჰათს:/ა/ 1:1-4:11 340va	სიტყუაჲ ოჯგლისაჲ იო/ნადსა ჰჰოო შაბა/თსა დიდსა სჰაკითხავად
(1623) იგ: სჰაკითხჰავი: ნაუმ : წინაწარმეტყუელი:/საჲ: ტკბილარს ოჯგალთი მოთმინ:/ ჰჰოო: მჰარხვჰათა :ა: სამ/შჰაბჰათსა: : სჰაკითხჰავსა შჰინა: 1:7-2:2a 340va-vb	om
(1624) იდ:/ სჰაკითხჰავი: ამბაკუმ: წინაწარმეტყუელი საჲ:/1:1-14 340vb-341rb	om
(1625) იე: სჰაკითხჰავი: სოფონი/ა : წინაწარმეტყუელისაჲ :/ გარნა გე/შინოდენ ჩე:/ ჰჰოო აღვსებად: სჰაკითხჰავსა შჰინა: 3:7- 13 341rb	სჰაკითხჰავი სოფონიადს/ წინაწარმეტყუელისაჲ : გიხაროდენ ფრიად ა/სულო სიონისაო/ ჰჰოო ბზობასა დღესა/ 3:14-17
(1626) ივ:/ სჰაკითხჰავი: ანგეა : წინაწარმეტყუელისაჲ :/ და თქუა ანგეა ანგელოზ:/ ჰჰოო: ეკლესიისა სატ/ფურსა: 1:13-2:9 341rb	სჰაკითხჰავი ანგეადს წინაწარმეტყუელი/ისაჲ/ განძლიერდენ ყოველი ერ/ი ქუეყანისაჲ ჰჰოო/ ეკლესიისა კურთხევაჰსა/ მეხუთესა საკითხ/ავსაშჰინა/ 2:4-9
(1627) იზ : სჰაკითხჰავი : ზა/ქარია: წინაწარმეტყუელისაჲ :/ 1:1-6 341rb-341vb	om
(1628) იწ : სჰაკითხჰავი : ზა/ქარია: წინაწარმეტყუელისაჲ :/ 1:12-15-2:8-9 341vb -342ra	om
(1629) ით : სჰაკითხჰავი : ზა/ქარია: წინაწარმეტყუელი საჲ :/ გიხაროდენ და მხიარუ:/ ჰჰოო : ხჰარეჰჰასა : 2:10-13 342ra	om

<p>(1630) კ : სსკ(ით)ხ(ა)ვი : ზაქარია: წინაწარმეტყუელის(ა)დ :/ 7:4-12a 342ra-rb</p>	<p>სსკ(ით)ხ(ა)ვი ზაქარია წინაწარმეტყუელის(ა)დ/ Inc. და იყო ს(ი)ტყუა(დ) ო(ჯ)ვლის(ა)დ ზაქარია(დ)სა ესრეთ/...Des. ნუ დაიდებთ მოყუ// Lac. 7:8-10</p>
<p>(1631) კა :/ სსკ(ით)ხ(ა)ვი : ზაქარია: წინაწარმეტყუელის(ა)დ :/ 8:3-8 342rb- vb</p>	<p>Lac.</p>
<p>(1632) კბ : სსკ(ით)ხ(ა)ვი :/ ზაქარია: წინაწარმეტყუელის(ა)დ :/ ამას იტყვს ო(ჯ)ვალ(ი) ყ(ო)ვლის(ა) მ:/ ჰ(ო)ლო: ენკენიასა: 1:16-2:5 342vb</p>	
<p>(1633) კგ : სსკ(ით)ხ(ა)ვი : ზაქარია: წინაწარმეტყუელის(ა)დ :/ 9:16-10:7 342vb-343vb</p>	
<p>(1634) კდ : სსკ(ით)ხ(ა)ვი:/ მალაქია : წინაწარმეტყუელის(ა)დ :/ 1:9-11 343rb</p>	
<p>(1635) კე : სსკ(ით)ხ(ა)ვი:/ მალაქია : წინაწარმეტყუელის(ა)დ :/ (b) 3:1-6 343va-vb</p>	
<p>(1636) კვ : / სსკ(ით)ხ(ა)ვი:/ მალაქია : წინაწარმეტყუელის(ა)დ : მოიქცით ჩემ/და და მე: ჰ(ო)ლო: მარხ/ვათა: ე:ხოთმაბ(ა)თსა: / 3:7b-12 343vb</p>	
<p>(1637) კზ : / სსკ(ით)ხ(ა)ვი:/ მალაქია : / წინაწარმეტყუელი სად : 3:18-4:3 343vb-344ra</p>	

როგორც ვხედავთ, პარიზის ლექციონარის ლიტანიის მცირე წინასწარმეტყველთა 27 საკითხავიდან "საკუთარი" ტექსტი მხოლოდ 12-ს აქვს, დანარჩენი საკითხავების ტექსტს იზიარებს სხვადასხვა დღის განგებიდან, უმეტესად დიდმარხვისა და დიდი

დღესასწაულების მსახურებიდან, ე.ი. კალენდრის იმ ნაწილიდან, რომელიც კანონში მანამ იყო შესული. შესაბამისად, ყველიერის კვირის განგება მასზე ადრე რომ ჩამოყალიბებულიყო, საკითხავის ტექსტი აღარ გამეორდებოდა.

საინტერესო სურათს იძლევა Q 1376-ის ლიტანიის საკითხავების შედგენილობა, რომელიც პარიზულ ხელნაწერთან შედარებით რაოდენობრივად ნაკლებია და იოველ 2:15-18 არ შეიცავს. შესაბამისად, დაშვება იმისა, რომ ყველიერის კვირაზე მითითება შეიძლებოდა ყოფილიყო, არ გამართლდა. დასახელებულ ხელნაწერში ყველიერის კვირის არსებობაზე მსჯელობა მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების მიხედვით შეუძლებელია.

ზემოთ უკვე შევხეთ ლექციონარში საკითხავთა ტექსტის გამეორების თავიდან ასაცილებლად შექმნილ მითითების სისტემას და ვაჩვენეთ ისიც, რომ პარიზის ლექციონარის ხელნაწერი ინახავს დიდმარხვის შვიდკვირიანი პერიოდიდან რვაკვირიანზე გადასვლის ეტაპს. აგრეთვე, წარმოვადგინეთ ისიც, რომ ყველიერის კვირის მასალა კრებულის დანარჩენ მასალასთან არ არის ჰარმონიზებული. აღვნიშნეთ ისიც, რომ ყველიერის კვირის დღეებში იკითხება ოთხი საკითხავი მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან. ჩვენი მიზანია, ლექციონარის ყველიერის კვირის მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ბიბლიის ომკურ-იერუსალიმური ვერსიის ტექსტთან მიმართების გარკვევა; გამეორებული მონაკვეთების შემთხვევაში კი ლექციონარისა ტექსტის ურთიერთმიმართებების დადგენაც.

ამოსი 7:4-17 საკითხავის კითხვა დაწესებულია ყველიერის ორშაბათს, მეორე საკითხავად. ეს მონაკვეთი საზიარო საკითხავია, ტექსტი სრულად მოტანილია 17 ივნისის ამოსის ხსენების განგებაში, ხოლო ყველიერის ორშაბათს მხოლოდ მითითებაა.

ცხრილი #5

L-p	
(290) დღესა ორშაბათსა ყველი/ერისასა 18rb	(1036) თ{თუეს}ა ივნისა იზ ანასტა/სიას. კსენებაჲ ა/მოს წ{ინა}წ{არმე}ტყ{უე}ლისაჲ 254va

(292) ბ: ს[აკ]კ[ით]ხ[ავი]: ამოს : წინაწარმეტყუელის[ა]დ :/	(1038) ბ: ს[აკ]კ[ით]ხ[ავი] ამოს წინაწარმეტყუელის[ა]დ : 256ra-256va
და მიჩუნა მე ღმერთმაქნ და ა/ჰაე ჰპ[ო]ო ივნისსა :იზ:/ 20ra	Inc. და მიჩუნამე ოჯვალმაქნ და/ აჰა ესერა... Des. ხლოლო ისრაქლი ტყუედ წარიყვანონ/ ქსუეყანით მისით :რამეთუ ესრ/ეთ მიჩუნა მე ოჯვალმაქნ :
7:4-17	

ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, არაფერს ვიტყვით აღნიშნული საკითხავის ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ტექსტთან მიმართების შესახებ, მაგრამ მითითებაში მოტანილი ფრაზასა და საკითხავის შესაბამის მონაკვეთს შევადარებთ ერთმანეთს. როგორც ვხედავთ, მათ შორის არის განსხვავება:

Amos 7:4 Κύριος Στή ოჯვალმაქნ **L-p (1038)**] + ο θεος A'' Hi. (= V) ღმერთმაქნ L-p

(292); + κυριος O C-68-613 +Στή Arm: + ოჯვალმაქნ JO GS cf. MT et 1;

პარიზის ლექციონარის 17 ივნისის საკითხავის ტექსტის იკითხვისი მისდევს სეპტუაგინტას, ოშკური ვერსია, ისევე როგორც სომხური ტექსტი იზიარებს ორიგენესა და კატენური ჯგუფის ხელნაწერებში არსებულ დამატებას, ხოლო ყველიერის ორშაბათის განგებაში მოტანილი საკითხავის დამწყები ფრაზა არ იზიარებს არცერთს, უფალს ენაცვლება ღმერთი, რაც წყაროსგან დამოუკიდებლად შეიძლება მოხდეს, თუმცა ალექსანდრინუსში არსებული დამატება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს ტექსტში არსებული შენაცვლება ამ საკითხავის დედანშიც უნდა ყოფილიყო.

ზაქარია 8:14-20a ყველის აღების კვირის განგებაში მე-2 საკითხავადაა განწესებული: **L-p (320)** წ[მი]დასა კ[ვ]რი[აკ]ჭსა: დღესა ყველითა აღებ[ას]ა: 31vb (323) ბ : ს[აკ]კ[ით]ხ[ავი]: ზ[ა]ქ[არ]ია: წინაწარმეტყუელი:ს[ა]დ/ **8:14-20a** 32ra-rb **Inc.** ამას იტყვს ოჯვალქი ყლოკლისა მჰყ/რობელი. ვ[ითარც]ა იგი გ[ან]წვიზრა/ხე ბოროტისყოფად...**Des.** იტყვს ოჯვალქი ყლოკლისამჰ/ყრობელი.

მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ლექციონარის პარიზული ხელნაწერ ზაქარია **8:14-20a** -ის იმავე თარგმანს შეიცავს, რასაც ბიბლიის ქართული ხელნაწერები, მცირე ცვლილებებით. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ მონაკვეთის შემცველი ბერძნული წყაროებიც ტექსტის სიმყარეს ავლენენ, ამიტომ დიდი ცვლილებები ტექსტში მოსალოდნელი არ არის.

განსაკუთრებით საინტერესოა **იოველის 2:15-18** მონაკვეთი, რომელიც ორჯერ არის პარიზის ლექციონარში წარმოდგენილი. ერთი ზოგად განგებაში (იხ. ზემოთ), ლიტანიის ათორმეტ საკითხავთა შორის მე-5 საკითხავში 2:15-19-ის ნაწილად, ხოლო მეორე კი, ყველიერის კვირის პარასკევის განგებაში მე-3 საკითხავად.

ვნახოთ ტექსტუალურად რა მიმართებაშია ყველიერის კვირის საკითხავი ლიტანიის საკითხავთან, ორივე კი ბიბლიის ძველქართულ თარგმანთან. ლიტანიის საკითხავს აღვნიშნავთ L-p (a), ხოლო ყველიერის პარასკევისას L-p (b)-თი. წინდაწინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარიზის ლექციონარის ლიტანიის იოვ. 2:15-19 ბიბლიის ხელნაწერებში არსებული თარგმანია და სხვაობები არ სცილდება ტექსტის გადაწერისას წარმოშობილ ცვლილებებს.

ყველიერის კვირის იოვ. 2:14-18 ტექსტში თვალშისაცემია ლექსიკური განსხვავებები, რითაც იგი უპირისპირდება როგორც ოშკური ვერსიის, ისე ლექციონარის ტექსტს.

ლექსიკურ შენაცვლებებს შორის ერთ-ერთი წონიანი მაგალითია Joel 2:16 $\epsilon\kappa\delta\epsilon\chi\alpha\sigma\theta\epsilon$ 86^{ms} Cyr. შეიწყნარებდით L-p (b) = *MT*] $\epsilon\kappa\lambda\epsilon\chi\alpha\sigma\theta\epsilon$ (- $\lambda\epsilon\chi\alpha\tau\epsilon$ 130'544) rel. (Rahlfs): $\Delta \rightarrow \Lambda$ $\rho\lambda\sigma\tau\epsilon\gamma\epsilon\chi\epsilon$ გამოირჩეინით O GS; გამოარჩეინით L-p(a), რომელიც აჩვენებს, რომ ქართული წყაროები ასახავენ ბერძნულის მაიუსკულის გრაფიკულ ნიადაგზე წარმოშობილ ცვლილებას $\Delta \rightarrow \Lambda$. L-p (b) მისდევს სეპტუაგინტას ვარიანტს, რითაც უპირისპირდება დანარჩენ ქართულ ვერსიებს, რომლებსაც ბერძნულ დედანში მცდარი იკითხვისი $\epsilon\kappa\lambda\epsilon\gamma\alpha$ აქვთ. იგი, როგორც წესი, ქართულ თარგმანში მყარი შესატყვისით გადმოდის. მაგ., Zech. 3:2 $\acute{o} \epsilon\kappa\lambda\epsilon\chi\acute{\alpha}\mu\epsilon\nu\omicron\varsigma \eta\pi\epsilon\lambda\lambda\alpha\sigma\tau\epsilon\alpha\varsigma$ რომელმან გამოირჩია J M4 O; გამომრჩეველმან GS

ბერძნულ წყაროებს შორის არსებული განსხვავებების ამსახველია ქართული წყაროები შემდეგ შემთხვევაშიც: Joel 2:16 $\epsilon\kappa \tau\omicron\upsilon\tilde{\nu} \pi\alpha\sigma\tau\omicron\upsilon\tilde{\nu} \epsilon\upsilon\theta\omicron\omicron\tau$ L-p(b)] $\nu\mu\phi\alpha\nu\omicron\varsigma$ 86^{ms} $\chi\alpha\eta\alpha\gamma\alpha\sigma\tau\epsilon$ სასძლოდთ O L-p(a); სასძლოდაგან G. მოცემულ სიტყვათაგან არცერთი არ არის

ხშირად ხმარებული. **σμῦλον, ὄνος, ὀ** იხმარება ტობის წიგნში და მისი შესატყვისი ოშკურ თარგმანში არის **სასძლო**. **Tbs. 6:14** καὶ ἀπέθαιον ἐν τοῖς σμυφῶσι **σμυφῶσι** და მოსწყვდნა იგინი **სასძლოსა** შინა **O**; **Tbs. 6:17** εἰσέλθης εἰς τὸν σμυφῶνα **σμυφῶνα** და შეხვდე მისა **სასძლოსა** **O**, ხოლო **παστός**, ὀ გამოყენებულია ფსალმუნში და მის ძველქართულ თარგმანში გადმოტანილია **ეზოა** შესატყვისით **Ps. 18:6** ἄς σμυφίος ἐκπορευόμενος ἐκ παστοῦ (**σμυφῶσι**) **აბთჲ** ვითარცა სიძე რაჲ გამოვალნ **ეზოად** **თვსით ABCDEF**. როგორ ჩანს, სომხურ თარგმანს ამ სინონიმებისთვის ერთი შესატყვისი აქვს.

Joel 2:16 ἐκ τοῦ **κοιτώνος** **ი** **ახნსქქ** სასუენებელით **O L-p(a)**; სასუენებლისაგან **GS**; სენაკოსით **L-p(b)** . როგორც ვხედავთ, ლექციონარის საკითხავის მეორე თარგმანსა და სომხურს აქვთ საერთო ნასესხობა ბერძნული **κοιτών, ὄνος, ὀ** -ის შესატყვისად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართულს აქვს **-ოს** დაბოლოებით. **κοιτών, ὄνος, ὀ** ქართულად ითარგმნება როგორც **საწოლი JO** (Ezek. 8:12), მაგრამ მისი ძირითადი შესატყვისი ოშკური ვერსიის ძველი აღთქმის ტექსტში არის **სასუენებელი** (Jdt. 13:3, 4; Jdt. 14:15; Jda. 3:24), მათ შორის სომხურიდან მომდინარედ მიჩნეულ აპოკრიფული ეზრას თარგმანშიც (1 Es. 3:3,3). **სენაკ-**ი მეფეთა წიგნებში შეესატყვისება ბერძნულ **ταμείον, ὄს, ὀ** -ს

ზემოთ მოტანილი მაგალითებისგან განსხვავებით, გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა ლექციონარის ორივე საკითხავის ტექსტი ერთად დგას და უპირისპირდება ოშკურ ვერსიას. მაგ., **Joel 2:17** τῆς **κρηπίδος** **σμοιχῶσι** ხარისხსა **OG**; აღსავალსა **L-p (ab)**. ბიბლიის ტექტში **κρηπίς, ὄδος, ὀ** (generally, a groundwork, foundation, basement of a temple or altar. **Liddell-Scott, Greek Lexicon**) ხუთჯერ იხმარება ისო ნავესისა და 1-ელი ნემტას ისეთ ტექსტუალურ ფორმაში, რომლებიც ქართულში არ გვაქვს და 1 და 2 მაკაბელებში, რომელთა თარგმანიც გვიანდელია, რაც ეკვივალენტის დასადგენად არ გამოდგება. თუ ბიბლიის ქართულ თარგმანში ვნახავთ პარალელურ კონტექსტებს მაგ. Exod. 20:26 ἐν ἀναβῆμισιν ἐπὶ τὸ **μσισαστήριον** **აღსავალთა** საკურთხეველისა **OB**, ასევე Deut. 12:27; Lev. 1:15 τῆς **βάσις** τοῦ **μσισαστήριου** (სულ 10 შემთხვევა) **ხარისხსა** მას საკურთხეველისასა **OAKSB**. როგორც ჩანს, ეს ორი ეკვივალენტი ერთმანეთს ენაცვლება მსგავს კონტექსტებში.

შემდეგი მაგალითებიც აჩვენებს, რომ სინონიმები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან. მაგ., **Joel 2:15** *θεραπείαν* *απαηαυαυαυα*: მსახურებასა O; მსახურებად p(a) G; კურნებასა L-p (b). მეორე თარგმანი უპირისპირდება ერთად მდგომ პირველი თარგმანისა და ოშკური ხელნაწერის ვარიანტს. პარალელურ ადგილას კი პირიქითაა, ლექციონარის წყაროები ერთად დგანან და ბიბლიის ხელნაწერებს უპირისპირდებიან:

Joel 1:14 *θεραπείαν* *απαηαυαυαυα* კურნებასა JO; კურნებად S; მსახურებად L-p L-l.

Joel 2:18 *ἐφείσατο* *ἰηναυαυαυα* ჰრიდა O G] > L-p (a); შეიწყალა L-p (b)

Joel 2:17 *φεῖσαι* *ἰηναυαυα* ულხინე Geo'

Jon. 4:10 *ἐφείσω* *ἰηναυαυαυα* ერიდები და სწყალობ JO; შეგეწყალა L-p

Jon. 4:11 *ὁ φείσομαι* *η' ἰηναυαυαυα* არა ვერიდო J L-k] შევიწყალო O; არა

მეწყალოდა L-p

Joel 2:18 *κύριος* *στῆ* ოჯვალმან O L-p (a) GS] ღმერთსა L-p (b)

Joel 2:17 *τοῦ* (μῆ L⁻³⁶-86^{ms} Th. Gild.) *κατάρξαι* *υἱηηηη* რადთა არა ჰმთავრობდენ O; ვითარმცა ჰმთავრობდეს G] > L-p (a)] რადთა არა უფლებდენ L-p (b);

ზემოთ გვქონდა მაგალითები, რომლებიც აჩვენებდნენ წყაროზე დამოკიდებულებას ან შიდაქართულ სინონიმურ მონაცვლეობას. შემდეგი მაგალითები კი აჩვენებენ, რომ ყველიერის საკითხავის ტექსტში ეკვივალენტები შერჩეულია ისეთ წყაროზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ და სომხურ წყაროთა შორის არ არის.

Joel 2:17 *τῆν κληρονομίαν* *αἰαυαυαυαυαυα* სამკვდრებელსა OG L-p (a); ნაწილსა L-p (b)

Joel 2:15 *σαλπίσατε* *σάλπιγγι* *Φηη* *ηαηηηη* დაჰბერეთ ნესტუსა JO L-p (a); დაჰნესტუფთ ნესტუსა GS; აღამაღლეთ ნესტუ L-p (b)

შდრ. 2 Chr. 5:13 *ἤψασαν* *φασηη* *ἐν* *σάλπιγγιν* აღამაღლეს ჳმაღ ნესტუთა DFIS

Joel 2:15 *ἀγιάσατε* *νηστείαν* *υἱηηηηηη* *αυαηηηη*, წმიდა ყავთ მარხვად JO L-p (a) G] მარხვად მიაწიეთ L-p (b)

კლება:

Joel 2:17 ἐν τοῖς ἔθνεσιν ἢ ἡεραῖνουσ ἄρმართთა O GS] > 710* L-p (a b).

Joel 2:17 τοῖν κατάρξαι ἀπὸν ἔθνη ὄπας μὴ εἴπωσιν ἐν τοῖς ἔθνεσιν რ{ადთ}ა არა უფ/ლებდენ მათ ზ{ედ}ა წარმა/რთნი. და რ{ადთ}ა არა თქ{უა}ნ. L-p (b)

თუ შევხედავთ კონტექსტს, მარტივად ავხსნით კლების მიზეზს. ფრაზაში გამეორებულია ერთი და იგივე სიტყვა **ἔθνος, οὐς, τὸ**, რომელთაგან მეორეს სავარაუდოდ გადამწერი აკლებს და სტილისტურად ასწორებს ტექსტს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სტილისტური ცვლილება ბერძნულ წყაროშიც გვხვდება, ლექციონარის ტექსტში ასახული სტილისტური ცვლილებების შესახებ საბოლოო დასკვნას მხოლოდ მაშინ გამოვიტანთ, როცა ქართული ტექსტი ამ წყაროსთან (710 ხელნაწერთან) სხვა მსგავსებებსაც გამოავლენს, თუმცა ამგვარი სტილისტური ცვლილებები წყაროებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება შეგვხვდეს.

შემდეგი შემთხვევაც მსგავსია. კონტექსტში ორჯერ არის კუთვნილებითი ნაცვალსახელი **ὁ** ὄξυς, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველია გამოტოვებული **Joel 2:16** ἀπὸν ἡεραῖν, თვსით O L-p(a); მისისა GS] om. ἀπὸν Q^{ext} > L-p (b)

მიმღობის გადმოტანა:

ცნობილია, რომ ბერძნული მიმღობა ქართულ თარგმანში, ერთსა და იმავე ტექსტში ან დამოკიდებული წინადადებით გადმოდის ან მიმღობით, შესაბამისად, საკითხავის ტექსტშიც შიდაქართული ცვლილება გვაქვს.

Joel 2:17 οἱ λειτουργοῖντες ἡεραῖουσ pr. ἡ. რომელნი ჰმსახურებენ O pr. და

GS; რომელნი მსახურებთ L-p (a); მსახურნი pr. და L-p (b)

იოველ 2:15-16 ციტატა მოხმობილია იოვანე ბოლნელის დიდმარხვის მესამე კვირიაკის ქადაგებაში (იხ. მაგალობლიშვილი 1991: 204, მაისურაძე 1999: 207). ბოლნელი ნაწილობრივ ზუსტად ციტირებს პარიზის ლექციონარის ყველიერის პარასკევის საკითხავის ტექსტს, ნაწილის კი ცვლის რიტორიკული სტილის შესაბამისად. საზოგადოდ,

ბიბლიის ტექსტის დადგენისას ჰომილეტიკურ წყაროებში ციტირებული მონაკვეთები არ არის სანდო, მაგრამ ამ შემთხვევაში, შესაძლებელია დავეყრდნოთ, რადგან ორიგინალური მწერლობის ნიმუშია და თან ნაკლებად გავრცელებული. სავარაუდოდ, იოანე ბოლნელი მისი მოღვაწეობის დროს მიმოქცევაში არსებულ ტექსტს ციტირებს.

პარიზის ლექციონარი	ათონის მრავალთავი Ath.11
<p>L-p (b) (28vb) 2:15 ნესტვ აღამალეთ სიონ/ს/ შინა <u>მარხვად მიაწიეთ/</u> კურნებასა ქ[ა]დ[ა]გ[ე]ბდით./</p> <p>2:16 ერი <u>შემოკერბით</u> წ[მი]და ყვენიტ ეკლესიანი შეიწ/ყნარებდით მოხუცებ/ულთა. შემოჰკრებდით ძუძუძს მწოვართა ნი/ნევთა: / <u>გამოვედინ სიძღ</u> <u>სენაკე/ოსით</u>¹⁶ და <u>სძალი ეზოდით/ თჯსით.</u></p>	<p>2:15 <u>მარხვად მიაწიეთ ქადაგებდით/</u> კურნებასა: <u>შემოკერბით</u> მოხუ/ცებულნი ყ[ოველ]ნი: სახლსა შ[ინ]ა ღმრთისასა. რაისათვის ვიტყვ მოხუცებ[უ]ლთა/ ოდენ: ა[რამე]დ დიდნი და მცირენიცა/ <u>გამოვედინ სიძღ ეზოდსაგან/ თჯ/სისა:</u> და <u>სძალი სასძლოდსაგან/ თჯსისა:</u>¹⁷ და ყ[ოველ]ი სიმრავლე ერის[ა]დ/ შემოკერბით</p>

წარმოდგენილი მაგალითები ნათლად აჩვენებს, რომ ხელთ გვაქვს **იოვ. 2:15-18**-ის ორი თარგმანი ლექციონარში, რომელიც ერთი და იმავე ბერძნული ტექსტუალური ტიპიდან მომდინარეობს. ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანსა და ლექციონარში საკითხავად შესულ ტექსტს შორის განსხვავებების მეტი წილი ლექსიკის გადმოტანაზე მოდის. ლექციონარის ტექსტი უფრო მეტადაა სტილისტურად შეცვლილი. მოცემულ მონაკვეთში სომხურ ტექსტს არ აქვს რაიმე სპეციფიური მახასიათებელი და არც სომხურიდან თარგმნის კრიტერიუმებია ისე კარგად შესწავლილი, რომ რაიმე ვთქვათ თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ. ერთი კი ცხადია, რომ ყველიერის კვირის საკითხავის თარგმანი უფრო თავისუფალია, სტილი გამსუბუქებულია და რიტმულად გამართულია, რაც

¹⁶ ლექციონარის ძველი აღთქმის ტექსტების გამომცემელი კორნელი დანელია გამოცემაში კვადრატულ ფრჩხილებში აღადგენს [სასუენებელით] ფორმას პარალელური ტექსტის მიხედვით, სქოლიოში კი უთითებს სენ[...]. ეოსით ფორმას. როგორც ჩანს, ამ ადგილის დალაქავების გამო ვერ იქნა ამოკითხული სწორი იკითხვისი. ფერადი ფოტოპირიდან ამოკითხვა სირთულეს არ წარმოადგენს.

¹⁷ შდრ. ფსალ. 18:6 სიძე რად გამოვალნ ეზოდთ თჯსით. ABCDEF

ვლინდება სეგმანტთა გადაადგილებებში, შემასმენლებისა და ქვემდებარე-ობიექტების რიცხვის ცვლილებაში, ლექსიკის გადმოტანაში, მაგრამ გადაადგილებები შეიძლება ტექსტის ტრანსმისიის პროცესს ასახავდეს და არა თავდაპირველ თარგმანს. ბიბლიის ტექსტის სტილი კი მკაცრად ნორმილებულია.

ყველიერის ხუთშაბათის მეორე საკითხავად განწესებულია ამოს 4:2-5:3-ის კითხვა. საინტერესო ის არის, რომ ფერისცვალების საკითხავი ამოს 4:12-13 სრულადაა ფერისცვალების განგებაში მოტანილი და არ არის მითითება, რომ ამ მონაკვეთის წაკითხვა შესაძლებელი ყველიერის ხუთშაბათის მეორე საკითხავში, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამახასიათებელი მოვლენაა ლექციონარისთვის.

L-p	
(299) დღესა ხუთშ[ა]ბ[ა]ტსა.[ყველი/ერისასა 18rb] კრებ[ა]დ//გოლგოთას 22ra-rb	(1126) თ[თუეს]ა აგვსტოსა ვ ხატისაცვ/ალებად მაცხოვრისა/დ/ რ[ომელ]იყო მთასა ზ[ედ]ა თაბო/რსა მწო[ჯ]ხრი 266ra
(301) ბ: ს[ა]კ[ით]ხ[ა]ვი: ა/მოს : წ[ინა]წ[არმე]ტყ[უე]ლის[ა]დ : 4:2-5:3 24vb-25va	(1128) ა: ს[ა]კ[ით]ხ[ა]ვი: ა/მოს : წ[ინა]წ[არმე]ტყ[უე]ლის[ა]დ : 4:12-13 266ra
Inc. ფუცა ო[ჯ]ფალმან სიწმიდითა თვ/სითა . და თქ[უ]ა:... Des. მუნ დაშთეს ათი/ სახლსა ი[სრა]ჴლისასა: /	Inc. ამის თვს ესრე გიყო შ[ენ]/ ი[სრა]ჴლ... Des. ღ[მერთ]ი ყ[ოვ]ლისა მპყრობ/ელ არს ს[ა]ხ[ე]ლი მისი:

ზემოთ, იოველის საკითხავის ტექსტის განხილვისას გამოვეყავით ყველიერის კვირის საკითხავისთვის დამახასიათებელი ცვლილებების ჯგუფები. ამ შემთხვევაშიც, ამოს 4:2-5:3-ის განხილვისასაც, იმავე პრინციპს გამოვიყენებთ, მაგრამ დაწვრილებით აღარ განვიხილავთ მათ, მხოლოდ აღვნიშნავთ და მხოლოდ განსხვავებულ შემთხვევებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მაგალითები რომლებიც აჩვენებენ ბერძნულ წყაროსთან მიმართებას:

დამატება გვხვდება მხოლოდ საკითხავის ტექსტში.

Amos 4:3 *γση* Qmg b (?) = *MT* ↓] *γσμαι* B-V A²-Q-49²-198-410 *L*²⁷³⁶ C-68-239-534-

538

Ziegler Rahlfs; *γμσοι* 26-233 36-III- 407 130² Cyr.p Th. Tht.; *γση και ανηρ*

538; *ΝΖΟΟΥΤ F^z ΝΕΖΙΜΕ* (≈ *ανδρες και γυναικες*) Sa ; + *γση και* (+ o L-407 Th.)

ανηρ αυτης (> *III*/Syh Th. Tht.) L²-407 Syh Cyr.p Th. Tht.: dupl. ex hebr. *מַעַרְבֵי*

შიშუელნი JO GS; + მამები და დედები L-p;

ყველიერის საკითხავის ტექსტს აქვს დამატება, რომელიც არის სომხურშიც

Amos 4:12 *τοῦ ἐπικαλεῖσθαι* *կարդալ* ხადიდ JO; ხადად L-p (b) L-1] + *գանուն* +

სახელსა L-p (a)

ყველიერის საკითხავის ტექსტს აქვს დამატება, რომელიც არცერთ წყაროში არ არის

კონტექსტის მიხედვით აღდგენილია გამოტოვებული შემასმენელი.

Amos 4:13 *και ὁμίχλη* *ել մեզ*, და ნისლი JO L-p (b) L-1] და + დაადგინის ნისლი L-

p(a)

Amos 4:13 *ποιῶν ῥοθρον και ὁμίχλη* *սոնէ* *սոսաւոս* *ել մեզ* შევქმენ ცისკარი და

ნისლი JO L-1 L-p (b)] გამოაბრწყინვის ცისკარი და დაადგინის ნისლი L-p(a)

დიდი დამატებები, რომელიც მხოლოდ ყველიერის საკითხავის ტექსტშია:

1. დამატება მომდინარეობს პარალელური ადგილიდან, კერძოდ, წინა 4:8 მუხლიდან.

Amos 4:9 *καὶ ἔτι* და] + ეგრეც არა მოიქცეთ ჩემდა თქუა ოჯვალმან

2. კონტექსტუალური დამატებით დაპირისპირებაა შექმნილი, შინაარსობრივი სიცხადეა მუხლში შეტანილი, რადგან გახმობა ემუქრება იმ ნაწილს, რომელიც არ დასველდება.

Amos 4:7 *μὲν μὴ βραχίσειται*, ნაწილი ერთი დაილტოდის J დაილტოს O] *μή ψήνας* *ἰσχυγ*; ერთი ნაწილი შეისოვლოს+და ერთი ნაწილი არა შეისოვლოს

მნიშვნელოვანი სტილისტური ცვლილება:

Amos 4:10 *ἀπέκτεινα...μετὰ αἰχμαλωσίας ἱππων* *κισσορηγι*...*ἡσπίτην* *ἀκροπολιῶν*
ἐπιπύραγ მოვსრენ... ტყუენვით (pr. და L-1) ცხენები JO L-1] და წარგიქციენ
თქუნ ტყუედ წინაშე ფერჯთა ჰუნეთასა L-p

ამოს. 4:10 მუხლში ღმერთი ისრაელის ძეებს ახსენებს სასჯელებს, რომლებიც მათ მოუვლინა, მაგრამ ისინი, მიუხედავად ამისა, ღმერთისკენ მაინც არ მიბრუნდნენ. ერთ-ერთი ასეთი სასჯელია ცხენების დახოცვა ტყვეობაში. შინაარსი ლექციონარის ტექსტში შეცვლილი და გამძაფრებულია. შექმნილია ებრაისტული, იდიომატური ფრაზა, რომელსაც წყარო ამ ეტაპისთვის არ ეძებნება.

ზმნის დროის ცვლილება:

თვალშისაცემი ცვლილება, რომელიც ლექციონარის ყველიერის საკითხავის ტექსტს ახასიათებს არის ზოგადი აწმყოს ფორმის *იტყვს* (*λέγει*) ზმნის შეცვლა ზმნის წარსული ფორმით *თქუა*, შემდეგ გამოთქმაში (7 შემთხვევა): Amos 4:5 *λέγει* *κύριος* *αυτ* *Σει* იტყვს ოჯვალი JO] თქუა ოჯვალმან L-p

აღწერითი წარმოება შეცვლილია ორგანულით:

Amos 4:4 ἡγομήσατε ἀμάρτυς ἕσται, უმჯულოდ ჰქმენით JO; ურჩულოებდით L-p

დამატება:

Amos 4:4 ἡέγκατε ἀσυνίετ μοილეთ JO] +და შეწირეთ L-p

კლება:

სეგმენტი აკლია ყველა ქართულ წყაროს:

Amos 4:2 ἔμπυροι λοιμοί om. ἔμπυροι λοιμοί C '(87txt)-613 Syhtxt Arm Th. **Om Geo**

ლექსიკური შენაცვლებები:

ეკვივალენტები, რომლებიც აჩვენებენ შიდაქართულ სინონიმურ მონაცვლეობას:

Amos 4:2 εἰς λέβητας ἢ ἡσάν ἡσἰα ἡσἰა JO; ქუაბებსა L-p

Amos 4:4 θυσίας ἡσἰა ἡსἰა JO; ნაზორევი L-p

Amos 4:4 εἰς τὴν τριημέριαν ἡსἰა ἡსἰა JO; ἡსἰა ἡსἰა JO; სამჟამს L-p

Amos 4:5 ἐπεκαλέσαντο ἡსἰა ἡსἰა JO; ხადეს L-p

Amos 4:9 ἐν πυρώσει ἡსἰა ἡსἰა JO; სიციხითა L-p

Amos 4:9 ἀμπελώνας ἡსἰა ἡსἰა JO L-1; საყურძენი L-p

Amos 4:9 ἡ ἀμπε · ἡსἰა ἡსἰა ἡსἰა JO L-1; მგრაგნელმან L-p

Amos 4:10 ἡსἰა ἡსἰა ἡსἰა JO L-1; ჰუნეთასა L-p

Amos 4:6 ἡსἰა ἡსἰა ἡსἰა JO; სიძნელე L-p

ლექსიკური შენაცვლება, რომელიც ბერძნული წყაროდან უნდა მომდინარეობდეს:

Amos 4:3 τὸ [Ῥεμάν] Ῥεμαν 36mg Ωεμάναυ` Arm რემანისასა JO; Ῥεμανά L⁷407 87c-68
Cyr.p Th.

Tht. არამანისათა L-p;

გადაადგილება, რომელიც ბერძნული წყაროდან მომდინარეობს როგორც ლექციონარის ტექსტში, ისე სომხურ თარგმანში:

Amos 4:2 εἰς λέβητας ὑποκαιομένους ἐμβαλοῦσιν სიავებად

ქუეშე(ქუეშჳO)შესაგზებლად დაასხნენ JO] επιβαλ. λεβ. αποκαιομενους 534

არყენს ი სასუ ჳთოიგნაყუ შთაითხინენ ქუაბებსა განჯურვებულსა

გადაადგილება, რომელიც სომხურ თარგმანსაც აქვს ნაწილობრივ :

Amos 4:7 ἀνέσχον ἐξ ἡμῶν τὸν ἕτερον πρὸς τριῶν μηνῶν τοῦ τρυγῆτος დავაყენე თქუენგან

წჳმაჲ უწინარეს (-ჳს O) სამისა თჳსა სდულისაჲსა (err J) სთულისა JO;

არყენს ი ჳენგე კანძრეს სრჳჳ ამსოჳჳ კათაჳჳ ჳან კლიჳჳ დავაყენე წჳმაჲ თქუენგან
სამით თთჳთ წინა სთულებისაჲთ L-p

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ ყველიერის კვირის ჩამოყალიბების პროცესი ლექციონარში. ერთი მხრივ, ლიტურგიკული მონაცემების გათვალისწინებით (განგებების სტრუქტურა) და მეორე მხრივ, ძველი აღთქმის საკითხავების ტექსტის ბიბლიის ოშკური ვერსიისგან განსხვავებულობის მიხედვით, დავადგინეთ, რომ ყველიერის კვირის მასალა კანონში გვიან შევიდა. მცირე წინასწარმეტყველთა სამი საკითხავის ზაქარია 8:14-20a (323), ამოს 4:2-5:3 (301), იოველი 2:15-18 (305) შედარებითი მეთოდის გამოყენებით შესწავლის შედეგად გამოჩნდა, რომ იოველი და ამოსი ლექციონარის პარიზულ ხელნაწერში ბიბლიის

ძველი ქართული ვერსიისგან განსხვავებული თარგმანითაა წარმოდგენილი, ხოლო ზაქარია იგივე თარგმანით, გადამწერისეული და რეცენზიული მცირე ცვლილებებით. პარალელური მონაკვეთების (ყველიერის კვირისა და ლიტანიის იოველი 2:15-18(19), ყველიერის კვირის ამოსი 4:2-5:3-ისა და ფერისცვალების ამოსი 4:12(9b)-13) შედარების შედეგად გაირკვა, რომ მათ ერთმანეთზე გავლენა არ მოუხდენიათ, ლიტანიისა და ფერისცვალების საკითხავები ზედმიწევნით მისდევნენ ოშკური ტიპის ტექსტს.

როგორც ჩანს, პარიზის ლექციონარის ყველიერის კვირის საკითხავები შევსებული ლექციონარის ბერძნული დედნიდან ითარგმნა, რომელის ძველი აღთქმის ტექსტიც უფრო სტილისტურად გამართული, ქრისტიანიზებული და ეგზეგეტირებული იყო.

მარიამ თხინვალი

საწინასწარმეტყველოები

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების მეთოდი

გიორგი ათონელს საგანგებოდ ძველი აღთქმა არ უსწორებია, მაგრამ ძველი აღთქმის წიგნების ტექსტები გაასწორა საწინასწარმეტყველოში. ცნობები ამის შესახებ დასტურდება გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებასა“ და პროფეტოლოგიონის A 192 ხელნაწერის ანდერძში, იგი დასახელებულია კრებულის შემდგენლად და ახალ მთარგმნელად. ამრიგად, პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ტექსტოლოგიური შესწავლა საინტერესოა, ერთი მხრივ, ძველი აღთქმის ტექსტის ისტორიისა და მისი გვიანდელი რეცეფციის, მეორე მხრივ კი, გიორგი ათონელის ფილოლოგიური მეთოდ უკეთ შესწავლის თვალსაზრისით.

საკითხის კვლევას უ. ცინდელიანმა ჩაუყარა საფუძველი. მან შეისწავლა პროფეტოლოგიონში დაცული ძველი აღთქმის, კერძოდ, III და IV მეფეთას, საკითხავები. თავის სტატიაში „საწინასწარმეტყველოს გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის

მიმართებისათვის მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებთან“ იგი წამოჭრის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, მკვლევრის მიზანია, გაარკვიოს პროფეტოლოგიონის ტექსტის მიმართება ბერძნულ წყაროებთან, საწინასწარმეტყველო „ახალ თარგმნილია“ თუ რევიზირებული და რა პრინციპით მუშაობს გიორგი ათონელი ტექსტზე. იგი დაასკვნის, რომ პროფეტოლოგიონი არ არის „ახალ თარგმნილი“, ეყრდნობა ოშკის ბიბლიის ტექსტს და ნასწორებია ბერძნულის მიხედვით (ცინდელიანი, 1978:47-48, 61).

პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ტექსტოლოგიური შესწავლისასაც ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შემდეგ საკითხებში გარკვევა:

1. საწინასწარმეტყველოს ხელნაწერების განსხვავებულ იკითხვისთაგან რომელია გიორგი მთაწმიდლისეული და რომელი – გადამწერისეული, ე.ი. ტრანსმისიის ვარიანტი;
2. რას ნიშნავს გიორგი მცირის მიერ და A 192 ხელნაწერის ანდერძში ნახსენები *საწელიწდო საწინასწარმეტყველოს ახალი თარგმნილი* ტექსტი მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების შემთხვევაში;
3. მცირე წინასწარმეტყველთა რა ტიპის ტექსტი უდევს საფუძვლად გიორგი მთაწმინდელს ტექსტის სწორებისას – ბიბლიისა (თუ ასეა, რომელთან უფრო ახლოა – ოშკურთან თუ იერუსალიმურთან) თუ ლექციონარისა?
4. საწინასწარმეტყველოს მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები არსებული თარგმანის რევიზიას წარმოადგეს (თუ ასეა, რამდენად შორსაა წასული რეცენზირების პროცესი და რა პრინციპით ხორციელდება) თუ – მის ახალ თარგმანს;
5. მიგვანიშნებს თუ არა პროფეტოლოგიონის ხელნაწერების ურთიერთგანსხვავებები გიორგი მთაწმინდელის მუშაობის ეტაპებზე? საწინასწარმეტყველო მხოლოდ ერთხელ არის გასწორებული თუ რამდენჯერმე, მსგავსად სახარებისა და ფსალმუნისა?

დასმული საკითხების გასარკვევად სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მუშაობა შემდეგი მიმართულებით წარიმართა:

1. მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ტექსტი შეუდარდა, ერთი მხრივ, ბერძნულ ხელნაწერებს გეტინგენის მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების კრიტიკული გამოცემის

მიხედვით¹⁸, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა ქართულ ვერსიებს (ბიბლიის ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხასა და ლექციონარებს);

2. ამოიწერა ყველა განსხვავება, ერთი მხრივ, პროფეტოლოგიონებში დაცულ ტექსტსა და ბიბლიის ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებს შორის და, მეორე მხრივ, საწინასწარმეტყველოსა და ლექციონარებს შორის. ამგვარი მუშაობის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა ტიპის ტექსტია დაცული საწინასწარმეტყველოში („ახალ თარგმნილი“ თუ რევიზირებული)

2.1. ამოწერილი მაგალითები გაანალიზდა და დალაგდა ორ ჯგუფად:

ა. ბერძნულიდან მომდინარე ცვლილებები (გიორგი მთაწმინდელსა და მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართველ მთარგმნელებს აქვთ განსხვავებული ბერძნული წყაროები ან ძველი თარგმანი სცილდება ბერძნულ დედანს);

ბ. თარგმანის ტექნიკით განპირობებული სწორები (შიდაქართული ცვლილებები – ერთი და იმავე ბერძნული ერთეულის თარგმანის განსხვავებული შესაძლებლობების არსებობის გამო), მასალის ამგვარმა დალაგებამ წარმოაჩინა გიორგი ათონელის რეცენზიული ცვლილებები;

3. ამოიწერა ყველა მაგალითი იმისა, რომ ა. გიორგი მთაწმინდელი მიჰყვება ძველ ქართულ თარგმანს ბერძნული ტექსტის საწინააღმდეგოდ, ან ბ. არ მიჰყვება ძველ თარგმანს და ასევე განსხვავდება სექტუაგინტასაგან. მასალის ამ კუთხით ანალიზის შედეგად დადგინდა, რამდენად მწყობრია გიორგი ათონელის რეცეზიის პრინციპები;

6. გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილის გამოსაკვეთად გაანალიზდა:

ა. ფსალმუნის გალობათა ნაწილსა და პროფეტოლოგიონებში დაცული ერთი და იგივე მონაკვეთები: იონას გალობა, რომელიც ორივე წყაროაშია წარმოდგენილი;

ბ. სახარებასა და საწინასწარმეტყველოებში დაცული მსგავსი მუხლები (სახარებაში წარმოდგენილია ციტატები მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან).

მასალის ამოწერისა და დაჯგუფებისას გამოყენებულია პირობითი ნიშნები და შემოკლებები:

¹⁸ Ziegler, Joseph. (ed.) (1984). Septuaginta, Vetus Testamentum Graecum, XIII, Duodecim prophetae, 3 Aufl.

წყაროები გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ

გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ ცნობები დასტურდება ხელნაწერებზე დართულ მის თუ გადამწერისეულ ანდერძებში, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულება „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებასა“ და ეფრემ მცირის კოლოფონებში. წყაროების მიხედვით ჩანს გიორგი ათონელის მეთოდი სამუშაო ტექსტებთან მიმართებით: ქართული თარგმანის ბერძნულის მიხედვით გამართვა მისი უმთავრესი პრინციპია, ამას გიორგი მცირეც აღნიშნავს: *„კულად სხუანი, რომელნიმე ბერძნულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა, და სიტყუადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინვა, ვითარცა თვთ თავადი სახარებად და პავლე“* (მეგლები, 1978:304). გიორგი მთაწმინდელი ანდერძებშიც არაერთგზის ახსენებს მისი ხელიდან გამოსული ტექსტების ბერძნულზე დამოკიდებულებას. იგი ძველ თარგმანებს გამოწულილვით უდარებდა ბერძნულს, რასაც სახარებაზე დართული ანდერძიც მოწმობს: *„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთ ესე წმიდად ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია, ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადთა და ბერძნულთა სახარებათადა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა“* (ალექსიძე, 2016:2014). რაც ქართულს აკლდა, ახლად ბერძნულიდან თარგმნიდა, რასაც ადასტურებს მარხვანის ანდერძიც: *„ესე გულსავსებით იცოდეთ, რომელ ყოველი ბერძნულისაგან გვთარგმნია, რომელი ქართული არა არს, ანუ შემიწამებია“* (ჯღამაია, 2007:18).

ასევე მნიშვნელოვანია, რას ამბობს ეფრემ მცირე გიორგი მთაწმინდელის თარგმანებისა და თარგმანის მეთოდის შესახებ. ამ მხრივ, საინტერესოა *„ფსალმუნის განმარტებაზე“* დართული ვრცელი წინასიტყვა, რომელშიც რამდენიმეგზის ახსენებს გიორგი მთაწმინდელს. თარგმანებაზე მუშაობისას ეფრემმა გიორგის ხელიდან გამოსული ფსალმუნით ისარგებლა¹⁹ და ქებით იხსენიებს ნაღვაწსაც და მოღვაწესაც, რომელმაც

¹⁹ „ესე იგი არს, რომელ ვიტყუ, ვითარმედ მუკლი დავითისად მის მიერვე თარგმანებული იგი არ(ს ხ)არსიხ საპფიროვნისა და ჩემ მიერ [მას] ზედა შენებულ თა(რგმა)ნი მუკლისად, ვითარცა ზ[ღ]უდე პილოდს ძუ[ალისაჲ]“ (თვალთვაძე, 2009:174).

კრებული 2-ჯერ შეუდარა ბერძნულს: „[დიდი ღუა]წლი (და შრო)მად [თავს-ედვა] განა(ხ)ლებისა[თვს და უცთომე]ლად თარგმანებისა წიგნისა მის ფსალმუნთადასა] და არა ბოლო ერთგვის, არამედ ორგვისცა ეთარგმნა იგი ბერძნულის(ა)გან“ (თვალთვაძე, 2009:173).

ეფრემ მცირე „გარდამოცემის“ შესავალშიც საუბრობს გიორგი მთაწმინდელის ტექსტზე მუშაობის მეთოდის შესახებ, იგი დაფასებით აღნიშნავს საწინასწარმეტყველოს მთარგმნელის ღვაწლს: „ვაქებ წესსა საწინადაწარმეტყველოთა წიგნთა მთარგმნელისასა, რომელთაგანი მცირედი რაჲ გაიგონების უსწავლელოთა, გინათუ ზოგს-რე სწავლელოთა მიერ, გარნა სიტყუად სიტყვსა ნაცვალი შედარებულია ბერძნულისა“ (თვალთვაძე, 2009:200).

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ათონელი ქართულ ტექსტს გამოწულილვით ადარებს ბერძნულს, ეფრემ მცირე სამოციქულოს თარგმანებზე დართულ კოლოფონში შენიშნავს, რომ იგი ბოლომდე ვერ შორდება ძველ თარგმანს და ზოგჯერ ტექსტში ტოვებს ძველ იკითხვისებს: „წმიდა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რაჲსმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე პავლის წაყოლისაგან დაუტევებია; რამეთუ პირველნი დავითნიცა, რომელ ახლად ეთარგმნეს, მრავალნი სიტყუად ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა. ამის მიზეზითა ვჰგონებ სამოციქულოდაცა ამის წიგნისასა, ვითარმედ რომელი მრავალსა პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისადა მიუყვანებია“ (თვალთვაძე, 2009:206).

ეფრემ მცირე „ფსალმუნის თარგმანებაზე“ დართულ წინასიტყვაში ყურადღებას ამახვილებს გიორგი მთაწმინდელის ბერძნულ წყაროებზე, კერძოდ, თვენზე მუშაობისას იგი იყენებდა არა ერთ, არამედ – რამდენიმე ბერძნულ დედანს და ქმნიდა უნიკალურ ქართულ კრებულს: „რამეთუ მე კუალოთა წმიდისა მის მამისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი მთაწმინდელისათა შეუდეგ, რომლისაჲ-იგი სათუეოდ საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებულ არს და ერთსა წიგნსა შინა ბერძნულად არა რომელსა იპოებისა“ (თვალთვაძე, 2009:178). ამ პრინციპით ადგენს გიორგი მარხვანსაც, რასაც კრებულზე დართული ანდერძიც ამოწმებს: „ვინაჲთგან კულა სახიერებამან ღმრთისამან ღირს-მყო მე გლახაკი გიორგი ხუცესმონაზონი მარხვათა და ზატკთა სრულებით თარგმნად და წიგნი შეჰმზადა განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისაჲ, რომელ ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანადა იპოვების, არცა ქართველთა, მამა

შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულეევანებისა რადსმე დატეობად“ (ხაჩიძე, 1983:266, ხევსურიანი, 2001:77).

ფსალმუნისა თუ თვენის ანდერძებიდან ისიც ცნობილია, რომ ტექსტების სწორების პროცესში გიორგი ათონელი რამდენიმე ბერძნულ დედანს ეყრდნობოდა: *„ვთარგმნე ესე დავითნი ახლად ბერძნულისაგან ქართულად მე, გლახაკმან გიორგი, უღირსმან ხუცეს-მონაზონმა, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა, თვთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძნულთა დედათა და დავითის თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა“* (შანიძე, 1960:27), *„ერთი დედაჲ პეტრეწმიდისაჲ მყვა ანტიოქიით და ერთი სჰმეონწმიდით, ორნივე ბერძნულნი, სახელოანნი და წმიდანი“* (ჯღამაია, 2007:465).

ამრიგად, წყაროთა მონაცემების მიხედვით, ჩანს, როგორ უდგება სათარგმნ ტექსტს გიორგი ათონელი. საინტერესოა რა სურათი გამოვლინდება საწინასწარმეტყველოში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების შესწავლისას.

გიორგი მთაწმინდელის ქართული წყაროები საწინასწარმეტყველოზე მუშაობისას

პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ბერძნულთან და სხვა ქართულ ვერსიებთან – ბიბლიის ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხასა და ლექციონარებთან, შედარებისა და სხვაობების ამოწერა-დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთა ისეთი მაგალითები, როდესაც საწინასწარმეტყველო მიჰყვება ოშკურ-იერუსალიმურ თარგმანს სეპტუაგინტას საპირისპიროდ: ძველი თარგმანისა და გიორგი ათონელის ტექსტში ბერძნულის საწინააღდეგოდ შეცვლილია სეგმენტთა რაოდენობა, რიგი და გრამატიკული ფორმები.

P' = JO ctra LXX

სეგმენტის მატება:

ზაქ. 8:21 πορεύσομαι καὶ γὰρ მოვიდე მეცა JO P'] pr. და სხუამან თქუას JO P' (A 192 non hab)
იონ. 4:10 Καὶ εἶπε Κύριος Σὺ ἐφείσω ὑπέρ τῆς κοιλοκύνθου] და ჰრქუა უფალმან იონას შენ
ერიდები (pr რამეთუ A 192) და სწყალობ აყიროსა (აყიროსა და სწყალობ J) JO k P' (Jer.
118 non hab)

ორივე შემთხვევაში სეგმენტის მატების მიზანია კონტექსტის დაზუსტება და განმარტება.

სეგმენტის კლება:

ზაქ. 8:21 καὶ συνελέουσιν τας κατοικοῦντες πέντε πόλεις εἰς μίαν] და შეკრბენ ერთი-ერთად JO
P'
იონ. 1:6 ὅπως διασώσῃ ὁ θεὸς ἡμᾶς] გვკსნნეს (გვკსნნე Ivir. 35) ხოლოთუ ღმერთმან JO P'
(A 192 non hab)

ზაქ. 8:21 მუხლში ბიბლიის ოშკურ-იერუსალიმურ ვერსიას აკლია სამ-სეგმენტიანი მონაკვეთი, რაც სეპტუაგინტას აპარატში არ დასტურდება. გიორგი ათონელიც ძველი თარგმანის წაყოლით ლემას არ აღადგენს.

იონ. 1:6 მუხლში დაკლებულია პირველი პირის ნაცვალსახელი *ჩვენ*. არც ეს აიხსნება ბერძნულით, ქართულ ზმნაში პირის ნიშნების მეშვეობით მოქმედი და სამოქმედო პირი იგულისხმება, შესაძლოა ამ მიზეზით ნაცვალსახელი გადმოტანილი არ არის.

ტრანსპოზიცია:

ზაქ. 8:15 διανερόμαι ἐν ταῖς ἡμέραις ταύταις τοῦ καλῆς ποιήσαι] ვზრახავ დღეთა მათ (ამათ O P') ყოფად კეთილისა JO P' (A 192 non hab)

ზაქ. 8:17 τοῦ πλησίον αὐτοῦ / μὴ λογιζέσθε] ნუ შეურაცხნ მოყუასსა (ძმასა p) თვისსა JO p P' (A 192 non hab)

რიცხვის ცვლილება:

იოვ. 3:17 ἀλλογενεῖς οὐ διελεύσονται] უცხოთესლი არღარა განვიდეს JO P' (A 192 non hab)

ზაქ. 8:12 δώσει τὰ γενήματα] გამოსცეს თესლი JO P' (A 192 non hab)

დასკვნა:

მაშასადამე, სეპტუაგინტას საპირისპირო ცვლილებები, რომლებსაც ბიბლიის ძველი თარგმანი განაპირობებს, ადასტურებს, რომ გიორგი ათონელი ტექსტს თავიდან არ თარგმნის, იგი მიჰყვება ბიბლიის **ომკურ-იერუსალიმურ ნუსხას** (ზოგჯერ ბერძნულის საწინააღმდეგოდაც კი).

ამრიგად, ეფრემ მცირეს შენიშვნა, რომ გიორგი მთაწმინდელი ბოლომდე ვერ შორდება ძველ თარგმანს, საწინასწარმეტყველოს ტექსტის ტექსტოლოგიურმა კვლევამაც დაადასტურა.

გიორგი მთაწმინდელის წყარო – **ომკური თუ იერუსალიმური ტიპის ხელნაწერი?**

მას შემდეგ, რაც გამოჩნდა, რომ გიორგი მთაწმინდელს პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ახალი თარგმანი არ გაუკეთებია და

ისინი ძველი თარგმანის რევიზიას წარმოადგენს, გასარკვევია, რომელი ტიპის ხელნაწერის, ოშკურისა თუ იერუსალიმურის, მიხედვით მუშაობს იგი. ამის დასადგენად, მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევები, როცა ამ ხელნაწერებში სხვადასხვა იკითხვისებია. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ა. ისეთი ადგილები, რომლებშიც ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერები განსხვავდება ერთმანეთისაგან (არის როგორც შიდაქართული, ისე – ბერძნულიდან მომდინარე კითხვასხვაობები), ან ბ. სეპტუაგინტასგან, გ. რომელიმე ხელნაწერში ლაკუნაა ან დ. შეცდომა.

ა) P' = O = LXX *contra* J

საწინასწარმეტყველო იზიარებს ოშკის ვარიანტს, რომელიც მიჰყვება ბერძნულს, ამ დროს ა. იერუსალიმური ხელნაწერი სცილდება სეპტუაგინტას ან ბ. მისდევს სხვა ბერძნულ წყაროს:

P' = O = LXX *contra* J (J *contra* LXX)

კვანტიტატური ცვლილება:

იონ. 1:8 καὶ ἐκ τοῦ αὐτοῦ λαιὴν ანუ რომლისა ერისაჲ O k P' (A 192 non hab)] > J

იონ. 1:8 მუხლში იერუსალიმურ ხელნაწერს, ბერძნულისაგან საპირისპიროდ, აკლია ლემა. ოშკი და საწინასწარმეტყველოები მიჰყვებიან სეპტუაგინტას იკითხვისს.

ზაქ. 8:9 τῶν ἀκουόντων რომელთა ეგე გესმიან JO P' (A 192 non hab)] + თქუნ J

ზაქ. 8:9 მუხლში იერუსალიმურ ხელნაწერში დამატებულია მეორე პირის ნაცვალსახელი *თქუნ* სეპტუაგინტას საპირისპიროდ. საწინასწარმეტყველო ამ მატებას არ იმეორებს და მიჰყვება ბიბლიის ოშკურ ვერსიას.

ტრანსპოზიცია:

იონ. 3:8 περιεβλόντο σάκκους შეიმოსეს ძამაჲ O P' (Jer. 118 non hab)] tr J

იონ. 3:8 მუხლში იერუსალიმურ ხელნაწერში დასტურდება ტრანსპოზიცია ბერძნულის წინააღმდეგ. ოშკი და პროფეტოლოგიონები მიჰყვება სექტუაგინტას.

$P' = O = LXX/LXX^{var}$ ctra $J = LXX/LXX^{var}$

კვანტიტატური ცვლილება:

იონ. 4:6 ἐχάρη Ἰωάνης ἐπὶ τῇ κολοκύνθῃ χάραν μεγάλην განიხარა იონა აყიროსა მას ზედა სიხარულითა დიდითა JO k P' (Jer. 118 non hab)] + ფრიად J k = + σφοδρα 36-86*-49'

იონ. 4:6 მუხლში ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებს აქვთ სხვადასხვა ბერძნული წყარო. საწინასწარმეტყველო დგას ოშკთან და არ იმეორებს იერუსალიმური ხელნაწერის მატებას.

ტრანსპოზიცია:

იონ. 4:5 ἐποίησεν ἔαυτῷ ἐκεῖ σκηνην იქმნა თავისა თვისისა მუნ კარავი J] იქმნა მუნ თავისა თვისისა კარავი O k P' (Jer. 118 non hab) cf. ἐκεῖ εαυτω σκ. III 239 956;

იონ. 4:5 მუხლში სხვაობას ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებს შორის ისევ განსხვავებული ბერძნული წყაროები განაპირობებს. საწინასწარმეტყველო ათონური ვერსიის იკითხვის იზიარებს.

გრამატიკული ცვლილება:

მალ. 3:2 αὐτὸς εἰσπορεύεται (...) ὡς ποῖα πλυσόντων იგი თავადი შემოვალს (...) ვითარცა მდელითა მრცხელთა J] იგი თავადი შემოვალს (მოვალს Jer. 59; შემოვას A 192) (...) ვითარცა მდელითა მრცხელთასა O P' cf. ποῖα] ποα S^c-V Q-26-106* 710-919 (vid.) L''-49-407'-576-613-764-770 C'-538-68-239 (ποαυ) Rahlfs;

მალ. 3:2 მუხლში განსხვავება ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებს შორის ბერძნული წყაროებიდან მომდინარეა. იცვლება სახელის ბრუნვა: ποῖα – ნომინატივი, ποα – აკუზატივი. ბიბლიის იერუსალიმური ვერსიაში გადმოტანილია სახ. ბრუნვის ფორმით, ხოლო ოშკურ

ვერსიას, რომელიც მიჰყვება სექტუაგინტას ვარიანტს, *πια* აკუზატივი გადმოაქვს მიც. ბრუნვით.

ლექსიკა:

იონ. 1:16 και ἔμισαυ θισίαν τῷ κυρίῳ და შეწირეს მსხუერპლი (მსხუფ- P^{Jer. 130}) უფლისა O P' (A 192 non hab)] და შეწირეს მსხუერპლი ღმრთისა J = τω θεω V III (86*; του θεου 46*)

იონ. 1:16 მუხლში კვლავ განსხვავებული ბერძნული წყაროების გამო ლექსიკის თვალსაზრისით ერთმანეთს შორდება ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერები. პროფეტოლოგიონები მიჰყვება ოშკს.

დასკვნა:

მაშასადამე, მაგალითებით გამოვლინდა, რომ როდესაც იერუსალიმური ხელნაწერი სცილდება ბერძნულ ტექსტს ან მიჰყვება სექტუაგინტას ვარიანტს, საწინასწარმეტყველო ყოველთვის ოშკურ ვერსიასთან ერთადაა.

ბ) O P' ctra J

აქ გაერთიანებული მაგალითები დაყოფილია ორ ჯგუფად:

1. როდესაც ათონისა და იერუსალიმის ბიბლიებს შორის სხვაობა განპირობებულია თარგმანის ტექნიკით: ერთი და იგივე ბერძნული გრამატიკული ერთეული სხვადასხვაგვარადაა გადმოტანილი. ასეთ შემთხვევაში საწინასწარმეტყველო იზიარებს ოშკის იკითხვის ნების ცვლილებებს.
2. ოშკის შეცდომა ან ბერძნულისგან საპირიპირო ცვლილება გამეორებულია პროფეტოლოგიონში. ამ შემთხვევაში საწინასწარმეტყველო იზიარებს ოშკური ვერსიის უნებლიე ცვლილებებს.

ნებისთი განსხვავებები:

იონ. 1:12 Κοπάσει ἢ θάλασσα ἀφ’ ἑμῶν დასცხრეს ზღუად თქუენგან J]; დასცხრეს ზღუად ესე თქუენ ზედა O P’ (A 192 non hab)

იონ. 1:12 მუხლში ἀπὸ წინდებულს ბიბლიის ოშკურ და იერუსალიმურ ვერსიებში სხვადასხვა თანდებული შეესაბამება.

იონ. 3:4 Νινευὴ καταστραφήσεται ნინევი (ნინევი O) დაიქცეს O P’ (Jer. 118 non hab)] ნინევი დაქცევად არს J k

იონ. 3:4 მუხლში ბერძნული მომავალი დროის ზმნა ოშკის ხელნაწერსა და საწინასწარმეტყველოებში გამოხატულია II კავშირებითის ფორმით, ხოლო იერუსალიმურ ბიბლიაში კატეგორიული მყოფადით, ე.წ. „უნდაობითი ფორმით“ (იმნაიშვილი & იმნაიშვილი, 1982:398).

იონ. 1:5 ἐποίησαντο (τῶν σκευῶν) ἐν τῷ πλι(ῶ) γარდაჰყრიდეს ... ნავით J; გარდაჰყრიდეს ... ნავისას O P’ (A 192 non hab)

იონ. 1:5 მუხლში განსხვავდება განაპირობებს ბერძნული კონტექსტის სხვადასხვა გაგება.

იონ. 1:14 μὴ δῶς νῦ γυγέμ J] ნუ მოაწევ O P’ (A 192 non hab)

იონ. 1:14 მუხლში ოშკურ და იერუსალიმურ ვერსიებს შორის ლექსიკური სხვაობაა.

უნებლიე განსხვავებები:

მალ. 3:3 καὶ καθεῖται და დაჯდეს J] დაჯდეს O P’ (Jer. 118 non hab)

იოვ. 2:13 καὶ διαρρήξατε და დაიპენით J] დაიპენით O P’ (A 192 non hab)

მალ. 3:3 და იოვ. 2:13 მუხლებში ბიბლიის ოშკურ ვერსიაში არის ჰაპლოგრაფია, საწინასწარმეტყველოსაც ორივე შემთხვევაში აკლია და კავშირი.

ზაქ. 8:19 νηστεία ἢ τετράς καὶ νηστεία ἢ πέμπτη καὶ νηστεία ἢ ἑβδόμη მარხვად იგი მეოთხე და მარხვად იგი მეხუთე და მარხვად იგი მეშვიდე J] მარხვად იგი მეოთხე (მეოთხე O) და მარხვად იგი მეშვიდე O P'

ზაქ. 8:19 მუხლში ოშკის ხელნაწერს მსგავსი კიდურწერილობის გამო აკლია ლემა. საწინასწარმეტყველოები მიჰყვება ოშკურ ვერსიას და იმეორებს ლემის კლებას.

იოვ. 3:13 παρέστηκεν τρύγητος მოწევნულ არს სასთულელებელი J] მოწევნულ არიან სასთულელებლნი (+თქუენნი Jer. 118) O P' (A 192 non hab)

იოვ. 3:13 მუხლში ოშკურ ვერსიაში ბერძნულისგან საპირისპიროდ იცვლება გრამატიკული რიცხვი. შესაძლოა, ეს განპირობებული იყოს კონტექსტით, რადგან წინამავალ ფრაზაში სახელი და ზმნა მრ. რიცხვშია: **ἐξαποστείλατε δρέπανα** ὅτι παρέστηκεν τρύγητος **განავლინებით მანგალნი**, რამეთუ მოწევნულ არიან სასთულელებლნი O P'.

ზაქ. 9:15 ὑπερασπιεῖ αὐτῶν შეეწიოს მათ J l p k] შეეწიოს მას O P' (A 192 non hab)

ზაქ. 9:15 მუხლში ოშკურ ვერსიასა და საწინასწარმეტყველოში ბერძნულისაგან სხვაობას ისევ გრამატიკული რიცხვი განაპირობებს, თუმცა ამ შემთხვევაში ცვლილება კონტექსტიდან არ მომდინარეობს (შდრ.: κύριος παντοκράτωρ ὑπερασπιεῖ αὐτῶν καὶ καταναλώσῃσιν αὐτοὺς და უფალი ყოვლისა მპყრობელი შეეწიოს მას და განავლინენ იგინი), შესაძლოა პარალელური ადგილის გავლენაა (ფსალ. 40:4 უფალი შეეწიოს მას ცხედარსა ზედა Od').

დასკვნა:

მამასადამე, მაგალითების ანალიზით გამოიკვეთა, რომ საწინასწარმეტყველო მიჰყვება ბიბლიის ოშკურ ვერსიას მაშინაც კი, როდესაც იგი სცილდება სეპტუაგინტას, იერუსალიმურ ხელნაწერში კი ბერძნულის შესატყვისი ვარიანტია.

გ) P' contra J (O non hab)

საინტერესოა რა ვითარებაა საწინასწარმეტყველოებში მაშინ, როცა ოშკურ ვერსიაში გამოტოვებულია სეგმენტი გადამწერის მექანიკური შეცდომისა (მაგ.: მსგავსი კიდურწერილობა) თუ ნაკლული დედნის გამო. ასეთია იონ. 4:6, ზაქ. 11:10-13, იოვ. 3:18 (კლება მსგავსი კიდურწერილობის გამო) მუხლები.

იონ. 4:6 τὸν εἶναι σκιά] რადთა იყოს საგრილად J k; რადთა აგრილობდეს P^{-Jer. 59}; > O Jer. 59

იონ. 4:6 მუხლის მიხედვით ჩანს, რომ გიორგი მთაწმინდელი იერუსალიმურ ვერსიას არ იყენებს და ოშკის ნაკლულ ადგილებს თავიდან თარგმნის, ამ შემთხვევაში იერუსალიმური ხელნაწერისგან განსხვავებით, თარგმანი არაფორმალურია.

ზაქ. 11:11 γνῶσονται οἱ Χανααναῖτοι τὰ πρόβατα τὰ φυλασσόμενα (+ μοι (με 62-86 Th. = M ↓) B-S-V L²⁻⁴⁹-407-770 C¹⁻⁶⁸⁻²³⁹ Sa^{cit} Syh Syp Arab Arm Eus.dem. et ecl. Th. Tht. Hi.: cf. M. იცნენ (იცნეს k) ქანანელთა მათ ცხოვარნი იგი დამარხულნი k P¹; იცნენ ქანანელთა ცხოვარნი რომელნი დამარხულ არიან ჩემდა J

ზაქ. 11:11 მუხლის შემთხვევაშიც გიორგი ათონელი არ მიჰყვება იერუსალიმურ ტექსტს, მისი ვარიანტი ფორმალურად უფრო ზუსტია. აწმყო დროის მიმღეობა (τὰ φυλασσόμενα) საწინასწარმეტყველოში მიმღეობითვეა გადმოტანილი, ხოლო იერუსალიმურ ვერსიაში – დამოკიდებული წინადადებით.

ზაქ. 11:12 τὸν μισθόν Μου სასყიდელი ჩემი k l p P¹ (A 192 non hab)] სასყიდელი ჩემნი J (O sin 37 non hab)

ზაქ. 11:12 მუხლში იერუსალიმურ ვერსიაში შეცვლილია გრამატიკული რიცხვი ბერძნულის საწინააღმდეგოდ, საწინასწარმეტყველო მიჰყვება სეპტუაგინტას.

ზაქ. 11:11 λόγος κυρίου ἐστίν სიტყუად უფლისაჲ არს l sin 37 k P¹ (A 192 non hab)] სიტყუად უფლისა მიერ არს J p;

ზაქ. 11:12 მუხლში იერუსალიმურ ხელნაწერში დამატებულია თანდებული კონტექსტის გაგების მიზნით, ბერძნულში წინდებული არ დასტურდება, საწინასწარმეტყველო არ იმეორებს იერუსალიმური ვერსიის იკითხვის.

ზაქ. 11:12 ἀπίπισθε განმიჩინეთ l p sin 37 k P'] განაწესეთ J

ზაქ. 11:12 მუხლში საწინასწარმეტყველოსა და იერუსალიმურ ხელნაწერს შორის ლექსიკური სხვაობაა.

იოვ. 3:18 ἀποσταλάξει τὰ ὄρη γλυκασμόν καὶ οἱ βουνοὶ ῥήσονται γάλα გამოადინებდენ (გამოავლინებდენ k) მთანი სიტკბოებასა და ბორცვუნი ადინებდენ (> p l k) სძესა J l p]

წთოდის მთათაგან (> Jer. 118) სიტკბოებაჲ და ბორცუნი გამოადინებდენ სძესა P' (A 192 non hab); გამოადინებდენ 1^o12^o O

იოვ. 3:18 მუხლში ზმნისწინის გადმოტანის თვალსაზრისით სხვაობს იერუსალიმური ვერსია და საწინასწარმეტყველო. ἀποσταλάξει τὰ ὄρη – ἀπὸ ზმნისწინი იერუსალიმურ ხელნაწერში გამო ზმნისწინითაა გადმოტანილი (გამოადინებდენ), ხოლო საწინასწარმეტყველოებში გან თანდებულით (წთოდის მთათაგან).

დასკვნა:

ამრიგად, გამოჩნდა, რომ საწინასწარმეტყველოები იერუსალიმური ხელნაწერის იკითხვის არ იზიარებენ ტექსტის იმ მონაკვეთში, სადაც ოშკურ ვერსიას აკლია მცირე ან დიდი სეგმენტი. პროფეტოლოგიონი ბიბლიის იერუსალიმურ ხელნაწერზე დამოკიდებული არ არის. გიორგი ათონელი ასეთ მონაკვეთებს თავიდან თარგმნის.

დ) J P' ctra O

მასალის დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საწინასწარმეტყველოში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები მიჰყვება

იერუსალიმურ იკითხვისებს²⁰. ამ ჯგუფში განხილულია ასეთი მაგალითები და შეძლებისდაგვარად ახსნილია მიზეზები, თუ რა განაპირობებს პროფეტოლოგიონებისა და იერუსალიმური ხელნაწერის საერთო ვარიანტებს.

ზაქ. 8:21 δεψιῖναι τοῦ πρῶτου κυρίου καὶ ἐκζητῆσαι τὸ πρῶτον κυρίου] და ვევედრნეთ პირსა უფლისასა და ვეძიებდეთ პირსა უფლისა J; და ვევედრნეთ პირსა (pr. წინაშე A 192) უფლისასა და გამოვიძიოთ (მოვიძიოთ Jer. 118) პირი უფლისა P'; და ვევედრნეთ პირსა უფლისა O

ზაქ. 8:21 მუხლში ოშკის ხელნაწერში არის კლება მსგავსი კიდურწერილობის გამო. იერუსალიმურ ვერსიასა და პროფეტოლოგიონებში ლემა აღდგენილია სეპტუაგინტას მიხედვით, თუმცა მათ შორის არის სხვაობა შიდაქართულ დონეზე (აორისტის აქტიური დროის ინფინიტივი ἐκζητῆσαι გადმოტანილია ზმნის სხვადასხვა მწკრივით: ვეძიებდეთ J (I კავშირებითი); გამოვიძიოთ P^{Jer. 118} მოვიძიოთ Jer. 118 (II კავშირებითი).

სოფ. 3:13 καὶ οὗ Ποιήσουσιν ἀδικίαν καὶ და არა ქმნენ სიცრუვე (სიცრუე A 192) და J P'] და 102 O

სოფ. 3:13 მუხლშიც ათონის კოდექსში არის კლება მსგავსი კიდურწერილობის გამო, საწინასწარმეტყველო ემთხვევა იერუსალიმურ ვერსიას, რადგან ბერძნულში არის მონოსემანტური ლექსიკა და მარტივი წინადადება.

იონ. 4:8 ὁ θεὸς ἐμერთιμან JO P' (Jer. 118 non hab)] pr უფალმან O = pr. κυριος W'' A-Q*-764 Syp Arab Cyr. Bas.N.); უფალმან k

სოფ. 3:15 λελύτρωται σε გიჰსნა (-ს Jer. 99²) შენ J P' L'] გიჰსნა უფალმან O = + κυριος W V-538 L La^s Arm Th.

იონ. 4:8 და სოფ. 3:15 მუხლებში ოშკურ ვერსიაში არის მატება სეპტუაგინტას იკითხვისის მიხედვით, რაც არ არის იერუსალიმურ ხელნაწერსა და საწინასწარმეტყველოებში.

²⁰ არ არის განხილული მცირე შიდაქართული მსგავსებები, როგორცაა ფონეტიკა, ზმნისწინის კლება-მატება, მესამე ობიექტური პირის ნიშნის გამოხატვა. ასეთს სულ 6 შემთხვევას იზიარებს საწინასწარმეტყველო იერუსალიმურ ხელნაწერთან (P' = J ctra O), რაც დამოკიდებულების მაჩვენებელი ვერ იქნება.

დასკვნა:

ამრიგად, დადგინდა, რომ პროფეტოლოგიონი იზიარებს ბიბლიის იერუსალიმური ვერსიის იკითხვისებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ოშკური ვერსია ეწინააღმდეგება სეპტუაგინტას ან გიორგი მთაწმინდელისა და ოშკის ბიბლიის ბერძნული წყარო განსხვავდება. ასეთ დროს საწინასწარმეტყველოცა და იერუსალიმური ხელნაწერიც სეპტუაგინტას ან მის ვარიანტს მიჰყვებიან, მათი საერთო იკითხვისი არ განაპირობებს საწინასწარმეტყველოს იერუსალიმურ ხელნაწერზე დამოკიდებულებას.

მაგალითების ანალიზის შედეგად, ნათლად ჩანს პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ათონის ბიბლიაზე დამოკიდებულება, იგი ადასტურებს უ. ცინდელიანის დასკვნას, რომელიც საწინასწარმეტყველოში დაცული III და IV მეფეთას საკითხავების ტექსტოლოგიური ანალიზიდან გამომდინარეობს (ცინდელიანი, 1978:51).

რადგან პროფეტოლოგიონი ბიბლიის ათონურ ვერსიაზეა დამოკიდებული, შესაძლოა, განისაზღვროს, სად მუშაობდა გიორგი მთაწმინდელი საწინასწარმეტყველოს ტექსტზე. ათონის ბიბლია უნიკალური ხელნაწერია, სხვადასხვა დედნებიდან გადაწერილი. მისი კითხვასხვაობების გაზიარების გამო სავარაუდებელია, რომ გიორგი მთაწმინდელმა სწორედ ოშკის ბიბლია გამოიყენა საკონტროლო წყაროდ და ეს სამუშაო ათონის მთაზე შეასრულა.

რა ადგილი უჭირავს ლექციონარს საწინასწარმეტყველოს ტექსტის სწორებისას?

პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების ტექსტოლოგიური ანალიზით გამოვლინდა, რომ გიორგი მთაწმინდელი ბიბლიის, კერძოდ, ოშკური ვერსიის რევიზიას აკეთებს. ამასთან ერთად, საჭიროა გაირკვეს, რა ადგილი უჭირავს ლექციონარს საწინასწარმეტყველოების ტექსტის სწორებისას და იყენებს თუ არა მას გიორგი ათონელი: როდესაც პროფეტოლოგიონი სხვაობს ოშკური და იერუსალიმური

ვერსიისაგან, მიზეზი ლექციონარი ხომ არ არის? მეორე მხრივ, როდესაც ლექციონარი სხვობას ოშკურ-იერუსალიმური ტექსტისაგან, სად დგას ამ დროს პროფეტოლოგიონი? ლექციონარის ვრცელი ლემების კლება-მატებას ხომ არ იმეორებს?

ამის დასადგენად კვლევისას ლექციონარების კითხვასხვაობები ყოველთვის ამოწერილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სხვაობა ორთოგრაფიული ან ფონეტიკური ხასიათისაა.

ქვემოთ წარმოდგენილია ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად გამოვლენილი მაგალითები, რომლებიც მოცემულია სამ ჯგუფად:

ა) საწინასწარმეტყველოს კითხვასხვაობები არ მიჰყვება ლექციონარებს:

ზაქ. 9:9 δίκαιος καὶ σῶζων მართალი და მკნელი | p k; მართალი და მაცხოვარი (+ იგი J) P' J (A 192 non hab)] + და მან გიკსნეს შენ თავადი არს J; > O

ზაქ. 9:9 მუხლში ოშკური და იერუსალიმური ვერსიები სცილდება ბერძნულ ტექსტს. ათონის ბიბლიაში არის ლემის კლება, ხოლო იერუსალიმურში – მატება სეპტუაგინტას იკითხვისის საწინააღმდეგოდ. პროფეტოლოგიონებიცა და ლექციონარებიც სეგმენტთა რაოდენობის თვალსაზრისით მიჰყვებიან ბერძნულს, თუმცა მათ შორის არის ლექსიკური სხვაობა:

ზაქ. 9:13 ἔπλησα τὸν Ἐφραϊμ] ვწყალ JO; მოვისრულე | p; მოვისროჯლო k; მოვწყალ P' (A 192 non hab)

ზაქ. 9:13 მუხლში საწინასწარმეტყველოებში ზმნას აქვს ზმნისწინი, ხოლო ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერებში – არა. ლექციონარები ამ დროს ლექსიკურად განსხვავებულ იკითხვისს აჩვენებენ:

მიქ. 5:3 καὶ οἱ ἐπίλοιποι τῶν ἀδελφῶν αὐτῶν ἐπιστρέψουσιν ἐπὶ τοὺς υἱοὺς Ἰσραὴλ]

და ნემტნი იგი ძმათა მისთანნი მიიქცენ **ძეთა** ი[სრა]ჴლისათა JO

ნემტთა ძმათა მისთა მიაქციონ **ძეთა მიმართ** ი[სრა]ჴლისათა I sin 37

და ნემტნი (+ იგი Jer. 99) ძმათა მისთანნი მოიქცენ **ძეთა მიმართ** ი[სრა]ჴლისათა P'

მიქ. 5:3 მუხლში ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებში ბერძნული წინდებული არ არის გადმოტანილი. ლექციონარებსა და პროფეტოლოგიონებში ბერძნულ $\epsilon\pi\iota$ წინდებულს *მიმართ* თანდებული შეესაბამება, თუმცა ისინი ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებულნი, რადგან შემასმენელს თარგმნიან განსხვავებული გრამატიკული ფორმით:

ბ) საწინასწარმეტყველო არ მიჰყვება ლექციონარის კითხვასხვაობებს:

ლექციონარის არცერთ დიდ განსხვავებას (დიდი დამატება ან კლება, ვრცელი სეგმენტების გადაადგილება, ცვლილება ბერძნულის მიხედვით) ოშკურ-იერუსალიმური ხელნაწერისაგან საწინასწარმეტყველო არ იზიარებს. ეს კარგად ჩანს იონ. 1:11, იონ. 1:5, იონ. 1:13 მუხლებში:

იონ. 1:11 $\epsilon\tilde{\nu}\eta\gamma\epsilon\iota\pi\epsilon \mu\tilde{\alpha}\lambda\lambda\omicron\nu \kappa\lambda\tilde{\iota}\delta\alpha\nu\alpha$ აღადგინებდა უფროსდა (უფროდღა) ღელვასა JO P' უფროს აღდგებოდა და აღიმკროდეს ღელვანი k უფროს აღიმკრის ჩუენ ზედა და ღელვანი ესე განრისხდებიან ჩუენ ზედა l უფროს აღიმრლუევის და ღელვანი ესე უფროს განრისხნებიან ჩუენ ზედა p

იონ. 1:5 $\kappa\alpha\iota \epsilon\phi\omicron\beta\eta\theta\eta\sigma\alpha\nu \omicron\iota \nu\alpha\upsilon\tau\iota\kappa\omicron\iota\varsigma$ და შეეშინა მენავეთა მათ JO k P'] და დაეცა შიში დიდი მათ ზედა sin 37; და ზარი განჰჰდა მენავეთა მათ შიშითა დიდითა l p.

იონ. 1:13 $\epsilon\tilde{\nu}\eta\gamma\epsilon\iota\pi\epsilon\tau\omicron \mu\tilde{\alpha}\lambda\lambda\omicron\nu \epsilon\pi'$ $\alpha\upsilon\tau\omicron\upsilon\varsigma$ აღდგებოდა უფროს მათ ზედა JO P'] უფროს აღიმკროდა და ღელვანი მისნი განსასტიკნებოდეს მათ ზედა sin 37 ოკფროისდა აღიმკროდა და განსასტიკნებოდა მათ ზედა l უფროს აღიმრლუეოდა და გან[სა]სტიკ ნებოდა მათ ზედა p

გ) საწინასწარმეტყველო მიჰყვება კალას კითხვასხვაობას:

საყურადღებოა ისეთი მაგალითები, როდესაც პროფეტოლოგიონებსა და ლექციონარებში ოშკურ-იერუსალიმური ვერსიისაგან განსხვავებული ერთი და იგივე იკითხვისია. მასალაში გამოვლინა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ჩანს პარალელი კალის ლექციონარსა და საწინასწარმეტყველოებს შორის. პროფეტოლოგიონებში არის ცვლილება ბერძნულის მიხედვით, რასაც კალას ლექციონარიც ეთანხმება. შესაძლოა, გიორგი

მთაწმინდელი საწინასწარმეტყველოზე მუშაობისას ლექციონარის იკითხვისებსაც გადასინჯავს და იყენებს მაშინ, როცა სექტუაგინტას მიჰყვება, მეორე მხრივ, შეიძლება, უბრალოდ დამთხვევაა, რადგან ცვლილება ბერძნულის მიხედვითაა. ამის საილუსტრაციოდ, საინტერესოა იონ. 1:11 და იონ.: 3:4 მუხლები:

იონ. 1:11 ἢ θάλασσα ἐπορεύετο ზღუაჲ იგი (> Jer. 118) ვიდოდა **k P'** (A 192 non hab);
ზღუაჲ იგი აღდგებოდა JO;

იონ. 3:4 ἐκήρυξε καὶ εἶπεν ქადაგებდა და იტყოდა **k P'** (Jer. 118 non hab)] იწყო ქადაგებად და თქუა (ჰრქუა O) JO Cf. იწყო იონა ქადაგებად sin 37; იწყო ღაღადებად l p

რადგან საწინასწარმეტყველო ოშკის ტექსტს მიჰყვება, ამ შემთხვევაშიც, როგორც იერუსალიმურ ხელნაწერთან შედარებისას, მნიშვნელოვანია მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში იმ მუხლების განხილვა, რომლებიც ათონის ბიბლიას აკლია, ასეთია ზაქ. 11:10-13 (ლექციონარებში შესულია ზაქ. 11:1-13 მუხლები). როგორ იქცევა ამ დროს გიორგი მთაწმინდელი? მთლიან კონტექსტს თავიდან თარგმნის? ლექციონარს ხომ არ მიჰყვება? კონტექსტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა 4 მაგალითი, როდესაც ლექციონარები და პროფეტოლოგიონები ერთად დგას:

ზაქ. 11:12 τὸν μισθὸν Μου სასყიდელი ჩემი **k l p P'** (A 192 non hab)] სასყიდელი ჩემნი J (O sin 37 non hab)

ზაქ. 11:11 λόγος κυρίου ἐστὶν სიტყუაჲ უფლისაჲ არს **l sin 37 k P'** (A 192 non hab)] სიტყუაჲ უფლისა მიერ არს J p ;

ზაქ. 11:12 ἀπίπισθε განმიჩინეთ **l p sin 37 k P'**] განაწესეთ J

ზაქ. 11:11 γινώσκονται οἱ Χαναναῖοι τὰ πρόβατα τὰ φυλασσομένα იცნენ (იცნეს **k**) ქანანელთა მათ ცხოვარნი იგი დამარხულნი **k P'**] + ჩემდა **k P'** = + μοι (με 62-86 Th. = M ↓) B-S-V L²-49²-407-770 C¹-68-239 Sa^{cit} Syh Syp Arab Arm Eus.dem. et ecl. Th. Tht. Hi.: cf. M. cf. იცნენ ქანანელთა ცხოვარნი რომელნი დამარხულ არიან ჩემდა J

იცნეს ქანანელთა მათ ცხოვარნი იგი რომელნი დამარხულ იყვნეს ჩემთანა **l**

იცვნეს ქანანელთა მათ საცხოვარნი მათნი დამარხულნი p

იცვნეს მწყემსთა მათ ქანანელთა ცხოვარნი იგი დამარხულნი ჩემდა sin 37

ისევ შესამჩნევია პარალელი კალას ლექციონართან, თუმცა ამ შემთხვევაშიც ორივე წყარო ბერძნულს მიჰყვება და შესაძლოა, დამთხვევას ეს განაპირობებს.

დასკვნა:

ამრიგად, მაგალითების ამოწერის, დაჯგუფებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საწინასწარმეტყველოში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებზე მუშაობისას გიორგი მთაწმინდელი ლექციონარის ტექსტზე არ არის დამოკიდებული. არ დასტურდება არცერთი ისეთი შემთხვევა, როცა საწინასწარმეტყველო სცილდება ოშკური-იერუსალიმურ ვერსიას ან ბერძნულს და ეს ცვლილება ლექციონარებიდან მომდინარეობს. როდესაც გიორგი მთაწმინდელი ცვლის ძველი თარგმანის იკითხვის, მისი ერთ-ერთი მიზანია ბერძნულ ტექსტთან და არა ლექციონართან დაახლოვება. ყოველთვის, როცა პროფეტოლოგიონები განსხვავდება ბიბლიის ხელნაწერებისაგან და იზიარებს ლექციონარების ვარიანტს, აუცილებლად მიჰყვება ბერძნულსაც. შესაბამისად, გიორგი ათონელი საწინასწარმეტყველოზე მუშაობისას ან იყენებს ლექციონარს არასისტემურად (მხოლოდ მაშინ, როცა ბიბლიის ტექსტი სხვაობს ბერძნულისაგან, ხოლო ლექციონარი – არა), ან არის დამთხვევა.

პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების მიმართება ბერძნულთან

ბერძნულიდან მომდინარე ცვლილებები

გიორგი მთაწმინდელი პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებზე მუშაობისას იყენებს ოშკური ვერსიის ტექსტს და აკეთებს მის რევიზიას, მისი ერთ-ერთი მიზანი საწინასწარმეტყველოს ბერძნულ ტექსტთან დაახლოვებაა. ცვლილებას განაპირობებს ის, რომ ოშკის კოდექსში წარმოდგენილი თარგმანი სცილდება სეპტუაგინტას ან გიორგი ათონელსა და მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართველ მთარგმნელებს აქვთ განსხვავებული ბერძნული დედნები. გიორგი მთაწმინდელი მის ხელთ არსებული

სეპტუაგინტას ბერძნული ხელნაწერის/ხელნაწერების მიხედვით ასწორებს სეგმენტთა რაოდენობას (ამოუკლია ის, რაც არ იყო ბერძნულში, ან დაუმატებია ის, რაც აკლდა ქართულ წყაროს), ადგილს (ტრანსპოზიციული ცვლილებები), გრამატიკასა და ლექსიკას. ბერძნულიდან მომდინარე ცვლილებათა შესწავლის ერთ-ერთი მიზანია, გამოჩინდეს რომელი ტრადიციის ბერძნულ ტექსტზე მუშაობდა გიორგი მთაწმინდელი. ამისათვის, ამოიწერა ყველა შემთხვევა, როდესაც პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები განსხვავდება ოშკისა და იერუსალიმის ტექსტისაგან ან ერთ-ერთისგან მაინც. ცვლილებები მოცემულია ორ ჯგუფად:

4.1.ა) ოშკის კოდექსში წარმოდგენილი თარგმანი სცილდება სეპტუაგინტას – ბერძნული თარგმანის უძველეს ფორმასა და მის ხელნაწერთა უმრავლესობას:

კვანტიტატური ცვლილებები:

მაგალითების ამოწერისა და დაჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ ბერძნულის მიხედვით სწორებათა დიდი ნაწილი კვანტიტატური ხასიათისაა. როგორც ჩანს, გიორგი მთაწმინდელისთვის რეცენზირების ერთ-ერთი პრინციპი სეგმენტთა რაოდენობის დაცვა იყო (რამდენად მწყობრად არის ეს პრინციპი გატარებული იხ. ქვეთავში 2.4.3).

სეგმენტის კლება

იონ.1:3 καὶ ἀπέστη Ἰωανᾶς τοῦ φυγεῖν და აღდგა იონა სივლტოლად P' (A 192 non hab)]

და აღდგა იონა სივლტოლად და წარსლვად J;

და აღდგა იონა და წარვიდა სივლტოლით O k sin37

იონ. 1:9 καὶ τὸν κύριον θεὸν τοῦ ὑπάνου ἐγὼ σέβωμαι და ოვფალსა ღმერთსა ცათასა ვჰმსახურებ მე P' (A 192 non hab)]

და ოვფლისა ღმრთისა ცათაჲსა მე მეშინის და ვჰმსახურებ J Arm NT №478

ღმრთისა ცათაჲსაჲ და მეშინის მე და ვჰმსახურებ მას O

Cf. . σέβωμαι Or. Ir. lat (colo)] φοβουμαι S^c -V C'-239* Clem. Cyr. F: cf. Is. 6614

გიორგი ათონელი გამოტოვებს სეგმენტებს, რომლებიც სეპტუაგინტაში არ არის. იონ. 1:3 მუხლში მიზნის ინფინიტივი *τὸν φυγεῖν* ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებში ორმაგადაა გამოხატული, დუბლეტი დასტურდება იონ. 1:9 მუხლშიც. საწინასწარმეტყველო ორივე შემთხვევაში მიჰყვება ბერძნულს.

იონ. 4:4 Καὶ εἶπε κύριος πρὸς Ἰωνᾶν Εἰ σφὸδρα λελύπησαι σὺ და ჰრქუა უფალმან (+ღმერთმან p) იონას უკუეთუ (> O) ფრიად (ნანდვილ l p) შეწუხებულ ხარი (ხარ O l Ivir. 35; ხარა k p P^{-Ivir. 35}) შენ (> l p) JO L' P' (Jer. 118 non hab)] + და თქუა იონა ფრიად შეწუხებულ ვარ მე ვიდრე სიკუდიდმდე (სიკოჯდილდმდე sin 37) JO k sin 37

იონ. 4:4 მუხლის ბოლოს ძველ თარგმანს ვრცელი ლემა ემატება ბერძნულის წინააღმდეგ, მატება ამავე მუხლიდანაა მომდინარე. საწინასწარმეტყველო არ მიჰყვება ოშკურ-იერუსალიმური ვერსიის ვარიანტს.

იოვ. 2:28 καὶ ἔσται μετὰ ταῦτα და იყოს ამისა (-ისსა Jer. 59) შემდგომად O P' (J non hab)] + იტყვს ოჯგალი ღმერთი O

იოვ. 2:28 მუხლში ოშკურ ვერსიაში აზრობრივი მონაკვეთის დასასრულს დამატებულია ვრცელი ლემა, საწინასწარმეტყველოში გადმოტანილი არ არის, რადგან სეპტუაგინტასა და მის იკითხვისებში არ დასტურდება.

გიორგი მთაწმინდელი ასევე გამოტოვებს ნაცვალსახელებსა და კავშირებს, თუ ისინი მის ბერძნულ წყაროში არ არის:

ნაცვალსახელის კლება:

იონ. 1:10 ἐκ προσηώπου κυρίου ἦν φεύγων] პირისაგან ოჯგლისა ივლტოდა (ივლტის P') (+ იგი JO k sin 37) JO k sin 37 P' (A 192 non hab); cf. პირისაგან უფლისა (ღმრთისა p) ლტოლვილ არს (იყო p) l p

იონ. 1:10 მუხლში ოშკურ-იერუსალიმურ ხელნაწერებში დამატებულია სუბიექტი ბერძნულის წინააღმდეგ, საწინასწარმეტყველო მიჰყვება ბერძნულს.

იონ. 3:8 Καὶ περιεβόλοντο σάκκους οἱ ἄνθρωποι და შეიმოსეს ძაძაჲ (ძაძაჲ შეიმოსეს J) კაცთა J P'(Jer. 118 non hab)] და შეიმოსეს ძაძაჲ ყოველთა კაცთა O

იონ. 3:8 მუხლში ოშკის ხელნაწერში დამატებულია განსაზღვრებითი ნაცვალსახელი *ყოველთა* კონტექსტის დაკონკრეტების მიზნით, საწინასწარმეტყველოში მატება გადატანილი არ არის.

კავშირის კლება:

იონ. 1:14 σὺ, κύριε, ὄν τρόπον ἐβόησας πεποιήκας შენ ვითარცა გინდა ჰყავ (ყავ Jer. 118 Jer. 99) P'(A 192 non hab)] შენ უფალო ვითარცა გინდა და ჰყავ JO

იონ. 1:4 მუხლში ძველ თარგმანში მოქმედების დანაწევრების მიზნით ბერძნულის საწინააღმდეგოდ დამატებულია და კავშირი, პროფეტოლოგიონი მიჰყვება სეპტუაგინტას.

სეგმენტის მატება

გიორგი მთაწმინდელი ბერძნულის მიხედვით საწინასწარმეტყველოში ამატებს ძველ თარგმანში გამოტოვებულ სეგმენტებს.

იონ. 1:8 Ἀπάγγελον ἡμῖν τίνας ἔνεκεν ἢ κακία αὐτῆ ἐστὶν ἐν ἡμῖν. Τίς σου ἡ ἐργασία ἐστὶ რაჲ არს საქმე შენი მითხარ ჩუენ ანუ რად არს ბოროტი ესე ჩუენ ზედა P' (A 192 non hab)] მითხარ ჩუენ (om. მითხარ ჩუენ O) რაჲ არს საქმე შენი JO k = ἡμῖν ¹ B-S-V 711-49 c-239

იონ. 1:8 მუხლში ძველ თარგმანში სეპტუაგინტას იკითხვისის მიხედვით არის კლება (სეპტუაგინტას ხელნაწერების ნაწილში მსგავსი კიდურწერილობის გამო გამოტოვებულია ვრცელი ლემა). გიორგი ათონელის ბერძნულ წყაროში, როგორც ჩანს, ეს ცვლილება არ იყო, ამიტომ პროფეტოლოგიონებში იონ. 1:8 მუხლი სრულადაა წარმოდგენილი, თუმცა არის ტრანსპოზიცია.

შესამჩნევია, რომ გიორგი ათონელი ხშირად აღადგენს გამოტოვებულ წინდებულს. ძველ თარგმანებში ზოგ შემთხვევაში ბერძნული წინდებული ბრუნვით არის გადმოტანილი, საწინასწარმეტყველოში კი – წინდებულითვე:

ზაქ. 14:4 ἐπὶ τὸ ὄριος τῶν ἐλαίων მთასა მას (> Ivir. 35) **ზედა** ზეთისხილთასა P' (Jer. 118 non hab)] მთასა მას ზეთისხილთასა JO

იოვ. 2:28 (ἐκχεῖ ἀπὸ τοῦ πνεύματος μου) ἐπὶ πᾶσαν σάρκα (მივჭვინო (მო-Ivir. 35) სულისაგან ჩემისა) ყოველსა **ზედა** ჯორციელსა p l P' (Ivir. 35 non hab)] (მივჭვინო სულისაგან ჩემისა) ყოველსა ჯორციელსა O (J non hab)

მალ. 4:5 πρὸς τὸν πλησίον მოყუსისა **მიმართ** P'] მოყუსისა JO l p

ასევე აღდგენილია ძველ თარგმანში გამოტოვებული კავშირი, ნაცვალსახელი, შემასმენლი:

კავშირის მატება:

იონ. 4:11 ἐγὼ δὲ ხოლო მე P'] მე JO k cf. მემცა sin 37; და მემცა l; მემცა p

ნაცვალსახელის მატება:

იონ. 1:15 ἐξέβαλον αὐτὸν შთააგდეს **იგი** k P' (A 192 non hab)] შთააგდეს JO

იონ. 1:6 σὺ ῥέγχεις ხურინავ (ჰხურინავ Ivir. 35) **შენ** J P'(A 192 non hab)] ჰხურინავ O

სოფ. 3:17 κύριος ὁ θεός Σου უფალი ღმერთი **შენი** J P ^{-Jer. 118]} უფალი ღმერთი O Jer. 118

შემასმენლის მატება:

იოვ. 3:19 καὶ ἡ Ἰδουμαία εἰς πεδίον ἀφαισιμὸν ἔσται და იდუმიაჲ ველად განრყუნისა **იქმნეს** (იქმნას Jer. 118) P' (A 192 non hab)] და იდუმიაჲ (იუდაჲ k) ველად განრყუნისა JO p k

ტრანსპოზიცია:

ტრანსპოზიციის ისეთი შემთხვევები, როდესაც ოშკურ ვერსიაში სეგმენტთა ადგილი შეცვლილია სეპტუაგინტას საწინააღმდეგოდ და საწინასწარმეტყველოში ეს გადაადგილება გასწორებულია, მხოლოდ ორია:

იონ. 3:5 ἐνεδύσαντο σάκκους შეიმოსეს ძაძაჲ J P' (Jer. 118 non hab)] tr. O

მიქ. 4:7 βασιλεύσει κύριος ἐπ' αὐτοὺς მეუფებდეს მათ ზედა უფალი P' J] მეუფებდეს უფალი მათ ზედა O p

გრამატიკული ცვლილებები:

ქვემოთ მოცემულ ორ შემთხვევაში ოშკური ვერსია სცილდება ბერძნულ ტექსტს, ამიტომ გიორგი ათონელი საწინასწარმეტყველოს ასწორებს სეპტუაგინტას მიხედვით:

ზმნის პირისა და რიცხვის ცვლილება:

ზაქ. 8:14 οὐ μετενόησα არა შევინანე J P' (A 192 non hab)] არა შეინანეს O

ზაქ. 8:14 მუხლში სეპტუაგინტაში ზმნის პირველი პირის მხოლოდითი რიცხვია გამოყენებული (*μετενόησα*). ბიბლიის ოშკურ ვერსიაში დასტურდება მესამე პირის მრავლობითი რიცხვი. გიორგი მთაწმინდელი ცვლის ოშკური ხელნაწერის იკითხვის ბერძნულის მიხედვით.

ბრუნვის ცვლილება:

იონ. 1:14 μὴ δῶδες ἔφ' ἡμᾶς αἴμα δίκαιον ნუ მოაწევ (გუცემ J) ჩუენ ზედა (>Jer. 118) სისხლსა მართალსა J P'] ნუ მოაწევ ჩუენ ზედა სისხლსა მართლისასა O

იონ. 1:14 მუხლში სეპტუაგინტაში არის აკუზატივში დასმული შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული (*αἴμα δίκαιον*), ბიბლიის ოშკურ ვერსიაში იგი გადმოტანილია მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელით, რომელიც ნანათესაობითარ მიც. ბრუნვაშია. გიორგი ათონელი სახელი ბრუნვას ასწორებს ბერძნულის მიხედვით და გადმოაქვს მიც. ბრუნვაში დასმული შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულით.

ლექსიკური ცვლილებები:

გიორგი მთაწმინდელი პროფეტოლოგიონებში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტს ლექსიკური თვალსაზრისითაც გადასინჯავს და ასწორებს, როდესაც ძველი მთარგმნელები სცილდებიან ბერძნულ დედანს:

იონ. 3:10 ὅτι ἀπέστρεψαν ἀπὸ τῶν ὀδῶν αὐτῶν რამეთუ მოაქციეს **გზათაგან** მათთა P' (Jer. 118 non hab)] რამეთუ მოიქცეს **საქმეთა** მათთაგან JO

ზაქ. 8:22 λαοὶ ἐρῶν P'] სხუანი JO

იონ. 3:10 და ზაქ. 8:22 მუხლებში ძველი თარგმანი სცილდება ბერძნულს, გიორგი ათონელს პროფეტოლოგიონში შესწორებული ვარიანტი შეაქვს.

დასკვნა:

ამრიგად, როდესაც ძველი თარგმანი სცილდება ბერძნულ დედანს, გიორგი მთაწმინდელი საწინასწარმეტყველოში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებს ასწორებს რამდენიმე თვალსაზრისით (სეგმენტთა რაოდენობა, გადაადგილება, გრამატიკა, ლექსიკა) და ცვლილებათა დიდი ნაწილი კვანტიტატურია.

4.1.ბ) ოშკის კოდექსსა და საწინასწარმეტყველოებში სხვადასხვა იკითხვისია ცალკეული ბერძნული წყაროების მიხედვით:

კვანტიტატური ცვლილება:

ქვემოთ წარმოდგენილ ყველა მაგალითში ბერძნული წყაროს იკითხვისები, რომლებსაც გიორგი ათონელი მიჰყვება, დასტურდება როგორც **ანტიოქიური** ტრადიციის ტექსტებში (*L*" **46 86...**), ასევე – **ალექსანდრიული** ჯგუფის ხელნაწერებში (407-613 449"....), გარდა იონ. 4:2 მუხლისა, რომელშიც მატება მხოლოდ ლუკიანური, ანტიოქიური, ჯგუფის ხელნაწერებშია:

სეგმენტის მატება:

იონ. 1:8 καὶ Πόθεν ἔρχη და ვინაჲ მოხუალ შენ JO k] გინა სადაჲთ ანუთუ (ანუ Ivir. 35 Jer. 99) სადა წარხუალ (წახუალ Jer. 118) P' (A 192 non hab)შდრ. + (÷ O) **και που πορευη (vel - ευει)** S^c O L"-407-613 C¹⁻⁵³⁸-68-239 106 Ach Sa Syp Aeth Arab Arm Cyr. Tht. Thph. Hi.

ზაქ. 8:8 καὶ εἰσάξω αὐτοὺς და მოვიყვანნე იგინი JO P' (A 192 non hab)] + ქუჭყანასა მათსა P' = + εις την γην αυτων (-του 613) L"-407-613-770 Arab: cf. Exod. 68 Ez. 3413

ზაქ. 11:10 πρὸς πάντας τοὺς λαοὺς ყოველსა მას (> Ivir. 35) ერსა J P' (A 192 non hab)] + ქუჭყანისასა P' = + της γης (+ σου 770^c) L"-407-770^c Th. Tht.: cf. 12₃

ზაქ. 9:14 κύριος ὠζεγαλმან JO l p k P' (A 192 non hab)] + უფალმან J; + ღმერთმან P' = + ο θεος ο (> 36-48-719) L"-233^c-613-764 770^c C-68 Ach Sa Arab Th. Tht. Hi. = M

იონ. 4:2 καὶ μετανοῶν ἐπὶ ταῖς κακίαις და შეინანი (შეინანე k) ბოროტის ყოფაჲ JO k] და შეინანი ბოროტთა ზედა კაცთასა P'(Jer. 118 non hab) = + ανθρωπων III-239^c (თან ანთრ.) Arab Chr. II 289;)

ნაცვალსახელის მატება:

ზაქ. 9:11 ἐν αἴματι διαθήκης სისხლითა აღთქუმისაჲთა (აღთქუმისა P'; აღთქუმისაჲთა l) JO l p k P'] + შენისაჲთა P' (A 912 non hab) = + σου B-S-V L"-449" Ach Sa Syp Arab Arm Th.Tht. = MT

კავშირის მატება:

ზაქ. 14:10 ἕως τῆς πύλης და ვიდრე ბჳედმდე P' (Jer. 118 non hab) = pr. και 36-49'] ბჳედმდე JO

სოფ. 3:10 Αἰθιοπίας ჰინდოეთისაჲთ (ჰინდოეთისა Jer. 59 Jer. 130 Jer. 99 Jer. 118) JO P'] + შევიწყნარნე (შევიწყალე l) განთესულთა შორის ჩემთა JO = + (※ Syh^{mg} Bas.N.^{mg}) προσδεξομαι εν διεσπαρμενοις μου (> C-68 Arm Or.^{lat}) B-S-V C-68-538 Bo Syh^{mg} Arm (sim.) Bas.N.^{mg} Hi. Or.^{lat} VIII 116: cf. M;

+ შვევიწყნარნე (შვევიწყალნე A 192) მვედრებელნი ჩემნი განთესულთა შორის P' = + (※
22-48) προσδεξομαι (δεχομαι II-86^c; -δεχομεθα 86^{*}; > S^{ca}) τους ικετευοντας με (μετα 407 Arab
Th.; + μετα 51^c; + υιοι Tht.p) των διεσπαρμενων (εσπαρ. S^{c a}; εν διεσπαρμενοις pro των διεσπ.
613) S^{ca} L''-407-613 Arab Eus.dem. p. 88 Th. Tht. (non IV 976);

სოფ. 3:10 მუხლში ძველი მთარგმნელებიცა და გიორგი ათონელიც ამატებენ ვრცელ სეგმენტს სხვადასხვა წყაროების მიხედვით:

ტრანსპოზიცია:

იონ. 1:9 Δοῦλος κυρίου ἐγώ εἰμι μοναδ ოფლისა მე ვარი O] მონაჲ (ვარი J) მე ოფლისაჲ
J P' (A 192 non hab) = ἐγώ εἰμι Clem. Or. XII 192 Ir.lat] tr. S^{* et c} -V-68 III-613 106

ზაქ. 14:1 ἡμέραι ἔρχονται τοῦ κυρίου დღენი მოვლენან უფლისანი JO] დღე უფლისაჲ
მოვალს P' (Jer. 118 non hab) = ημερα κυριου ερχεται II-86^{mg} Ach Sa;

ზაქ. 8:9 ἐν ταῖς ἡμέραις ταύταις τοὺς λόγους τούτους] ამათ დღეთა სიტყუანი ესე JO;
სიტყუანი ესე ამათ დღეთა P' (A 192 non hab) = ἐν ταῖς ἡμέραις ταύταις/ τοὺς λόγους
τούτους (τους 62)] tr. S^c 410

პროფეტოლოგიონებში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში დასტურდება სეგმენტთა გადაადგილება ბერძნულის მიხედვით. ამ ტიპის სწორება ბევრი არ არის, აღსანიშნია, რომ ზაქ. 14:1 მუხლში გიორგისეული ცვლილება მხოლოდ ლუკიანური ტრადიციის, ხოლო ზაქ. 8:9 მუხლისა სინაიტკუსის კორექტურასა და ალექსანდრიული ჯგუფის ხელნაწერებშია.

სოფ. 3:19 ἐν τῷ καιρῷ ἐκεῖνο / λέγει κύριος] მას ჟამსა შინა JO L' cf. om. (≠ Syh) λέγει κύρ. C
198 233' Arm Hi. = M; tr. L'' Arab Th. Tht = იტყვს უფალი მას ჟამსა შინა P'

სოფ. 3:19 მუხლში ძველ თარგმანში გამოტოვებულია ლემა, ხოლო გიორგი მთაწმინდელი იკითხვისსაც აღადგენს და ლუკიანური წყაროს მიხედვით სეგმენტებსაც აადგილებს:

გრამატიკული ცვლილებები:

გიორგი მთაწმინდელი ცვლის გრამატიკასაც ბერძნული წყაროს მიხედვით. მაგ.: კუთვნილებითი ნაცვალსახელის პირს ან სახელს ზმნით.

ნაცვალსახელის ცვლილება:

სოფ. 3:19 ποιῶν ἐν σοὶ ἕνεκα σοῦ ვყო შენ შორის შენთვის JO] ვყო შენ შორის ჩემთვის P' =
სინ] εμοῦ V L'(36^{ext})-407 Arab

სოფ. 3:19 მუხლში ბიბლიის ოშკურ-იერუსალიმურ ხელნაწერებში სეპტუაგინტას თანამხად დასტურდება პირის ნაცვალსახელის მეორე პირი, ხოლო საწინასწარმეტყველოებში ანტიოქიური ტრადიციის ხელნაწერების წაყოლით – პირველი პირი.

სახელის ზმნით შეცვლა:

სოფ. 3:15 βασιλεὺς Ἰσραὴλ κύριος მეუფე ისრაელისად (-წლისად J) უფალი JO L'] მეუფედეს (-წბდეს Ivir. 35¹; pr და Jer. 118¹) უფალი P' = βασιλεὺς Ἰσραὴλ] βασιλευσει W" S^c A"-198^c L"
130'-239 La^s Co Aeth Th; βασιλευσει Ἰσραὴλ 49' 456

სოფ. 3:15 მუხლშიც გიორგი მთაწმინდელსა და მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართველ მთარგმნელებს აქვთ სხვადასხვა ბერძნული წყარო, რომლებიც მათ შორის განსხვავებას განაპირობებს.

ლექსიკური ცვლილებები:

ზაქ. 14:10, ზაქ. 9:14, ზაქ. 9:10 მუხლებში გიორგი ბერძნულის წყაროს მიხედვით ცვლის ლექსიკურ ერთეულს. მისი ცვლილება მხოლოდ ანტიოქიური ჯგუფის ხელნაწერებშია:

ზაქ. 14:10 Παμα δὲ ἐπὶ τόποις ხოლო რამად ადგილობანს ეგოს JO] და ამაღლდეს და ადგილობანს ეგოს P' (Jer. 118 non hab) შდრ.: Παμα δὲ] και σψαθησεται και II-86^{ms}: cf. M ↓; cf. ამაღლდეს და მუნთქუევე ადგილი დაიპყრას sin 37

ზაქ. 9:14 καὶ κύριος ἔσται ἐπ’ αὐτοὺς და უფალი იყოს (იყოს უფალი l p k) მათ ზედა (მათა l p) JO l p k] და უფალი გამოჩნდეს მათ ზედა P' შდრ.: επ αυτους οφθισεται L"-86 Arab Th. Tht. = M;

ზაქ. 9:10 ἕως θαλάσσης ვიდრე ზღუადმდე (-ამდე l) JO p k] ზღვთი ზღუადმდე (-ამდე Jer. 99 Jer. 118) P' (A 192 non hab) შდრ.: ἕως θαλάσσης] απο θαλασσης II-46-86;

დასკვნა:

მაშასადამე, მასალის მიხედვით დადგინდა, რომ გიორგი ათონელს, სავარაუდოდ, უნდა გამოეყენებინა ანტიოქიური ტრადიციის ხელნაწერები. ცვლილებები, რომლებსაც ის საწინასწარმეტყველოში შეიტანს, წარმოდგენილია ალექსანდრიული წარმომავლობის ხელნაწერებშიც, მაგრამ, რადგან 6 შემთხვევაში მხოლოდ ლუკიანურ ჯგუფს ეყრდნობა, სავარაუდებელია, რომ გიორგი ათონელი L ტრადიციის ხელნაწერებს იყენებს.

ბერძნულთან მიმართებით არარელევანტური ცვლილებები (შიდაქართული სწორებები)

გიორგი ათონელის რეცენზირების მეთოდის შესასწავლად მნიშვნელოვანია ისეთ სწორებებზე დაკვირვებაც, რომელიც სეპტუაგინტადან არ მომდინარეობს. ერთი და იგივე ბერძნული ერთეული შესაძლოა განსხვავებულად ითარგმნოს, პროფეტოლოგიონებში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში ასეთი მაგალითი ბევრი არ არის, თუმცა მაინც ჩანს სწორებათა ტენდენცია. ერთეული შემთხვევებია თანდებულისა და ზმნისწინის, უფრო ხშირი კი ლექსიკის ცვლილებისა, კერძოდ სინონიმებით ჩანაცვლება.

თანდებული – ცვლილებას განაპირობებს კონტექსტი.

ზაქ. 8:16 λαλειτε ἀλήθειαν ἕκαστος πρὸς τὸν πλησίον იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცადკაცადი მოყუსისა მიმართ JO] იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცადკაცადი მოყუსისათჳს P'; მოყუსისა Jer. 118.

სოფ. 3:12 εὐλαβηθήσονται ἀπὸ τοῦ ὀνόματος κυρίου ეშინოდის სახელისაგან (სახელისაგან Jer. 130) უფლისა P'] ეშინოდის (შეინოდის err J) სახელისათჳს (>O) უფლისა JO

ლექსიკა:

ზაქ. 9:14 βολίς] საისრელი JO; ისარი P'; ისარნი l p k.

იონ. 3:10 τὸν πονηρῶν] ბოროტთა OJ; უკეთურთა P'

იონ. 1:7 ἢ κακία] ბოროტი OJ k; ძვრი P' sin37; > l p

იონ. 4:2 οἰκτίρμων] მწყალობელ OJ; შემწყალებელ k; შემწყნარებელ P'

იონ. 4:10 ἐγενήθη] აღმოცდა OJ k sin 37; აღმოსცენდა P' l p

მაგალითების რაოდენობის მიხედვით, ჩანს, რომ საწინაწარმეტყველოში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში გიორგი მთაწმინდელი შიდაქართულ ცვლილებებს იშვიათად აკეთებს. ორ შემთხვევაში ის ცვლის თანდებულს კონტექსტის მიხედვით. ასევე ანაცვლებს ლექსიკურ ერთეულებს სინონიმებით, რასაც სავარაუდოდ, უნდა განაპირობებდეს ლექსიკის დაზუსტება ან მყარი ლექსიკური ერთეულების ძიება.

სეპტუაგინტასგან განსხვავებული იკითხვისები:

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების მეთოდის დასადგენად, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რას ცვლის იგი ბერძნულის მიხედვით პროფეტოლოგიონებში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში და, მეორე მხრივ, ამას რამდენად სისტემურად აკეთებს. ამისათვის გაანალიზებულ იქნა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საწინასწარმეტყველოში არის სეპტუაგინტასგან განსხვავებული იკითხვისები. გამოყოფილია ორი ჯგუფი: გიორგი ათონელი ძველი თარგმანის წაყოლით სცილდება სეპტუაგინტას (JO P' ctra LXX, P' O ctra LXX), ან პროფეტოლოგიონები სცილდება ბერძნულს, მაშინ როდესაც ომკურ-იერუსალიმური ნუსხაში არ არის ცვლილება (P' ctra LXX (JO = LXX)).

უცვლელად დატოვებული სეპტუაგინტასგან განსხვავებული იკითხვისები

გიორგი მთაწმინდელი რიგ შემთხვევებში მიჰყვება ძველ თარგმანს და საწინასწარმეტყველოში ტოვებს ბერძნულისაგან განსხვავებულ იკითხვისებს. დასტურდება ლემის კლება-მატება, გადაადგილება და გრამატიკული ცვლილებები, ხოლო არასდროს

ტოვებს ლექსიკურად უზუსტო იკითხვისს. ქვემოთ დაჯგუფებულია ცვლილებათა ტიპური შემთხვევები:

კვანტიტატიური ცვლილებები:

სამაგისტრო ნაშრომის 2.4.1 ქვეთავის მიხედვით, პროფეტოლოგიონში გიორგი ათონელს ბერძნულის მიხედვით, სეგმენტთა რაოდენობის თვალსაზრისით, ყველაზე ბევრი ცვლილება შეუტანია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გარკვეული ნაწილი კვანტიტატიური ცვლილებებისა, რომლებიც ძველ თარგმანშია, გაუსწორებლად დაუტოვებია. ძირითადად ეს ეხება მცირე დამატებებსა და კლებებს (კავშირებს, ნაცვალსახელებს, ყოფნა ზმნით გამოხატულ შემასმენელს და მისთ.).

სეგმენტის მატება:

ძველ თარგმანში სეპტუაგინტასგან განსხვავებით ზოგჯერ დამატებულია კავშირი, ნაცვალსახელი (რომელიც ძირითადად სუბიექტს ან ობიექტს გამოხატავს), შემასმენელი. ამის მიზანი უმრავლეს შემთხვევაში აზრის გასაგებად გადმოცემაა. გიორგი მთაწმინდელს მატებათა დიდი ნაწილი პროფეტოლოგიონში გადმოტანილი აქვს. მცირე ცვლილებათა გვერდით, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ზაქ. 8:21 მუხლში, შედარებით დიდი სეგმენტია დამატებული, რაც საწინასწარმეტყველოში გასწორებული არ არის:

ზაქ. 8:21 πορεύομαι καὶ ἔμεγα JO P'] pr. და სხუამან თქუას JO P'

სუბიექტის მატება:

ზაქ. 8:8 καὶ ἔσονται და იყვნენ (იყუნენ J) JO p P'] + იგინი JO p P' (A 192 non hab)

ზაქ. 11:13 ἐδοκίμασθην გამოვიცადე (გამოვიცადები p) J k l p sin 37 P'] pr მე J k l p sin 37 P' (O A 192 non hab)

მალ. 3:3 ἔσονται τῷ κυρίῳ προσάγοντες] იყვნენ იგინი შემწირველ უფლისა JO P' (Jer. 118 non hab)

იონ. 3:6 ἐκάρθισεν ἐπὶ σποδοῦ] დაჯდა იგი ნაცარსა ზედა JO P' (Jer. 118 non hab)

იონ. 4:9 Καὶ εἶπε და თქუა JO P'] + იონა JO P' (Jer. 118 non hab)

ობიექტის მატება:

იონ. 4:10 Καὶ εἶπε Κύριος და ჰრქუა უფალმან JO P'] + იონას JO P' (Jer. 118 non hab)

შემასმენლის მატება:

ზაქ. 8:16 οἱ τοὶ οἱ λόγοι οὗς ποιήσατε] ესე (pr. რამეთუ Ivir. 35) სიტყუანი არიან რომელნი ჰყუნეთ (ჰყვნეთ O; ჰყვენით Jer. 59) JO P' (A 192 non hab)

იოვ. 3:13 διότι πλήρης ἡ ληϊός] რამეთუ სავსე (სავსე P') არს საწნეხელი (საწნეხელნი Jer. 99) JO P' (A 192 non hab)

იონ. 3:3 πορείας სავალი JO P'] + იყო იგი JO P' (A 192 non hab)

კავშირის მატება:

ზაქ. 8:21 πορευθῶμεν δεηθῆναι] მივიდეთ (+ მისვლით P') და ვევედრნეთ JO P'

ზაქ. 9:13 ἔπλησα τὸν Εφραϊμ მოვწყალ (ვწყალ JO; მოვისრულე l p; მოვისროვლო k) ეფრემ JO l p k P'] pr. და JO l p k P' (A 192 non hab)

იოვ. 3:13 ὑπερεκχεῖται τὰ ὑπολήνια გარდაეცემიან ტაგარნი (ტაგანნი l) JO l p k P'] pr. და JO l p k P' (A 192 non hab)

იონ. 1:7 Δεῦτε Βάλωμεν Κλήρους] მოვედით და განვიგდოთ წილი JO P' (A 192 non hab)

სეგმენტის კლება:

გიორგი ათონელს რამდენიმე შემთხვევაში ძველი თარგმანის წაყოლით გამოტოვებული იკითხვისი არ აქვს აღდგენილი. მხოლოდ ერთხელ (ზაქ. 8:21) აკლებს 3-სეგმენტიან მონაკვეთს, დანარჩენ მაგალითებში კი ან ნაცვალსახელს, ან – კავშირს, რითიც ქართულ თარგმანში აზრი გაბუნდოვანებული არ არის.

ზაქ. 8:21 κατοικοῦντες πέντε πόλεις] > JO P'

ნაცვალსახელის კლება:

იონ. 1:6 ὅπως διασώσῃ ὁ θεὸς ἡμᾶς] გვკსნნეს (გვკსნნე Ivir. 35) ხოლოთუ ღმერთმან JO P'
(A 192 non hab)

კავშირის კლება:

იონ. 3:9 Τίς οἶδεν εἰ Μετανοήσει] ვინ უწყის შეინანოს JO P' (Jer. 118 non hab)

იონ. 4:10 καὶ οὐκ ἐξέθρηψα] არცა გაჰზარდე JO P' (Jer. 118 non hab)

დასკვნა:

ამრიგად, გიორგი ათონელი კვანტიტატურ ცვლილებებს შემდეგი მეთოდით უნდა აკეთებდეს: ბერძნულის მიხედვით ასწორებს ყველა ისეთ შემთხვევას, როცა ძველ თარგმანს ვრცელი სეგმენტი აქვს დამატებული ან დაკლებული, ხოლო – სპორადულად ნაცვალსახელებსა და კავშირებს, ამ მხრივ, უმრავლეს შემთხვევაში მიჰყვება ძველ თარგმანს და იმერეობს მის კლება-მატებას.

ტრანსპოზიცია:

სამაგისტრო ნაშრომის 2.4.1 ქვეთავის მიხედვით, ბერძნულის მიხედვით სეგმენტთა გადაადგილების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო დადასტურებული. აღმოჩნდა, რომ გიორგი ათონელი უფრო ხშირად არ აკეთებს ტრანსპოზიციას და მიჰყვება ძველ თარგმანს (ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი):

ზაქ. 8:15 τοῦ καλῆς / ποιῆσαι] ყოფად კეთილისა JO P' (A 192 non hab)

ზაქ. 8:17 τοῦ πλησίον αὐτοῦ / μὴ λογιζέσθε] ნუ შეურაცხნ მოყუასსა (ძმასა p) თჳსსა JO p
P' (A 192 non hab)

იონ. 4:3 τὸ ἀποθανεῖν με სიკუდილი ჩემი J k] ჩემდა (ჩემთვის p) სიკუდილი O P' (Jer. 118 non hab) sin 37 l p;

იონ. 1:12 καὶ εἶπεν Ἰωνᾶς πρὸς αὐτούς] და ჰრქუა მათ იონა JO P' (A 192 non hab)

მალ. 3:3 ἔσονται τῷ κυρίῳ προσάγοντες] იყვნენ იგინი შემწირველ უფლისა JO P' (Jer. 118 non hab)

გრამატიკა:

ბერძნულიდან მიხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, გიორგი მთაწმინდელი ასწორებს მხოლოდ ნაცვალსახელის პირს, ზმნის პირსა და სახელის ბრუნვას. იგი არცერთხელ არ ცვლის სახელის რიცხვსა და ზმნის დროს. ყველა შემთხვევაში, როდესაც ძველი თარგმანი სცილდება სეპტუაგინტას, პროფეტოლოგიონი მიჰყვება მას.

რიცხვის ცვლილება:

იოვ. 3:17 ἀλλογενεῖς οὐ διελεύσονται] უცხოთესლი არღარა განვიდეს JO P' (A 192 non hab)

ზაქ. 14:10 ἕως τῆς πύλης τῶν γαωνῶν] ბჰედმდე (pr. ვიდრე P') საკიდურისა JO P' (Jer. 118 non hab)

ზაქ. 14:10 ἕως τῶν ὑποληνῶν] ვიდრე სასაწნებლედმდე (-ემდე Jer. 130 Jer. 99) JO P' (Jer. 118 non hab)

ზაქ. 8:12 δώσει τὰ γενήματα] გამოსცეს თესლი JO P' (A 192 non hab)

სოფ. 3:10 ἐκ περάτων ποταμῶν] კიდითგან მდინარისა JO P'

იოვ. 3:13 παρέστηκεν τρύγητος მოწევნულ არს სასთულებელი J] მოწევნულ არიან სასთულებელნი (+თქუენნი Jer. 118) O P' (A 192 non hab)

დროის ცვლილება:

სამივე შემთხვევაში ბერძნულში არის მომავალი დრო, ხოლო ძველ თარგმანში – წარსული (წყვეტილის მწკრივი):

მიქ. 4:6 $\sigma\upsilon\alpha\acute{\xi}\omega$] შევკრიბნე JO P'

მიქ. 4:7 $\theta\eta\sigma\iota\mu\alpha\iota$] დავსხნე JO P'

იოვ. 2:20 $\kappa\alpha\iota\ \tau\acute{o}\nu\ \acute{\alpha}\pi\theta\ \beta\iota\sigma\pi\acute{\alpha}\ \acute{\epsilon}\kappa\delta\iota\acute{\omega}\xi\omega$] და ჩრდილოდასანი იგი განვდევენე O P' (J non hab)

დასკვნა:

ამრიგად, დადგინდა, რომ გიორგი ათონელის მიზანი საწინასწარმეტყველოს ტექსტის გრამატიკული და ტრანსპოზიციული თვალსაზრისით სწორება არ არის. ყველაზე ხშირად სექტუაგინტასგან განსხვავებულ სწორედ ამ ტიპის ცვლილებებს არ ასწორებს და მიჰყვება ძველ თარგმანს.

4.3.ბ) ბერძნულის საპირისპირო ცვლილებები მხოლოდ პროფეტოლოგიონში P' ctra LXX (JO = LXX)

მეორე მხრივ, საინტერესოა იმ მაგალითების განხილვა, როცა პროფეტოლოგიონი სხვაობს სექტუაგინტასაგან, მაგრამ ამას ძველი თარგმანი არ განაპირობებს. გიორგი მთაწმინდელის მიზანია, ტექსტი დაუახლოვოს ბერძნულს, მაშინ რიგ შემთხვევებში რატომ ცვლის სექტუაგინტას საპირისპიროდ? არის კი ეს ცვლილებები მისი ხელიდან გამოსული? თავს იჩენს კვანტიტატური, ტრანსპოზიციული და ლექსიკური სწორებები.

კვანტიტატური:

სეგმენტის მატება

გიორგი ათონელი ამატებს სეგმენტებს ბერძნულის საპირისპიროდ, სამჯერ ნაცვალსახელს (ობიექტისა და სუბიექტის ფუნქციით და კუთვნილებით), ერთხელ – შემასმენელსა და თანდებულს (სავარაუდოდ, მიზანია ტექსტი გახადოს მეტად გასაგები). დასტურდება მატებები პარალელური ადგილების გავლენითაც.

ნაცვალსახელის:

ზაქ. 8:8 καὶ κατασκηγῶσα და დავამკვდრნე JO P'] + იგინი P' (A 192 non hab)

ზაქ. 8:8 მუხლში ნაცვალსახელი დამატებულია ობიექტის ფუნქციით.

ზაქ. 8:13 ἔσεσθε იყვენით (იყვნეთ JO) JO P'] + თქუწნ P' (A 192 non hab)

ზაქ. 8:13 მუხლში მეორე პირის ნაცვალსახელი დამატებულია სუბიექტის ფუნქციით.

მალ. 4:6 προστάγματα καὶ δικαιώματα ბრძანებანი და სამართალნი JO P'] + ჩემნი P'

მალ. 4:6 მუხლში დამატებულია პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

შემასმენელი:

იონ. 4:2 οὐχ οὔτοι οἱ λόγοι μου არა ესე სიტყუანი ჩემნი JO] ანუ (> k sin 37) არა ესე სიტყუანი არიან ჩემნი k sin 37 P'

თანდებული:

იონ. 4:8 Καὶ ἐγένετο τῷ ἀνατεῖλαι τὸν ἥλιον და იყო აღმოსლვასა მზისასა JO] და იყო აღმოსლვასა თანა მზისასა P'

სხვა შემთხვევები:

ზაქ. 8:9 ὁ οἶκος κυρίου სახლი (სახელი Jer. 118) ესე (> Jer. 130) უფლისა (უფალი Ivir. 35) JO P'] + ღმრთისა P' (A 192 non hab)

ზაქ. 8:9 მუხლში მატება, სავარაუდოდ, პარალელური ადგილიდან მომდინარეობს (მაგ.: 2 ნემტ. 29:5 აწ განიწმიდენით და განწმიდეთ სახლი უფლისა ღმრთისა; 1 ნემტ. 22:1 ესე არს სახლი უფლისა ღმრთისა).

ზაქ. 8:22 τὸ πρόσωπον κυρίου პირისაგან უფლისა JO P'] + ყოვლისა მპყრობელისა P'

ზაქ. 8:22 მუხლში მატებას, სავარაუდოდ, განაპირობებს პარალელური ადგილი მაგ.: ზაქ. 7:12 და იყო რისხვად დიდი უფლისა ყოვლისა მპყრობელისაჲ; მიქ. 4:4 რამეთუ პირი უფლისა ყოვლისა მპყრობელისაჲ იტყოდა ამას).

ზაქ. 9:11 ἐκ λάκκου მღვმისაგან (ჯურღმულისაგან l p k)]O l p k P'] + ურწყულისა P' (A 192 non hab)

ზაქ. 9:11 მუხლში პარალელური ადგილი ბიბლიაში არ დასტურდება, ამ ეტაპზე გაურკვეველია ლემის მატების მიზეზი.

სეგმენტის კლება:

გიორგი მთაწმინდელი ორ შემთხვევაში აკლებს ლემას სეპტუაგინტას საპირისპიროდ. ორივე შემთხვევა განსხვავებულია: აკლია კავშირი და მიზნის ინფინიტივი. ამით იგი ამარტივებს ტექსტს.

კავშირი:

იოვ. 2:12 ἐν νηστεία καὶ ἐν κλαυθμῷ καὶ ἐν κοπετῷ მარხვითა და ტირილითა და ტყებითა]O Ivir. 35] მარხვითა, ტირილითა და ტყებითა P^{-Ivir. 35} (A 192 non hab)

მიზნის ინფინიტივი:

იონ. 3:10 ἢ ἐλάλησε τοῦ πεινῆσαι αὐτοῦ ρομέლსა იტყოდა ყოფად მათთვის (om. ყოფად მათთვის O)]O] ρოμέლსა იტყოდა მათთვის P' (A 192 non hab)

ტრანსპოზიცია:

დასტურდება ტრანსპოზიციული ცვლილებებიც. ზაქ. 8:11 მუხლში სეგმენტები ტექსტის გაგების მიზნით უნდა იყოს გადაადგილებული. მალ. 3:3 მუხლში კი შესაძლოა შეცდომაა და არა გამიზნული სწორება.

ზაქ. 8:11 οὐ κατὰ τὰς ἡμέρας τὰς ἔμπροσθεν ἐγὼ ποιῶ] არა ვყო მე დღეთა მათებრ პირველთა P' (A 192 non hab); ვყო პირველთა მათებრ დღეთა J; მე ვყო პირველთა მათებრვე დღეთა O

მალ. 3:3 καθάρϊζαν ὡς τὸ ἀργύριον καὶ ὡς τὸ χρυσίον განსწმედდეს ვითარცა ვეცხლსა და ოქროსა JO] განსწმედდეს ვითარცა ოქროსა და ვითარცა (> A 192) ვეცხლსა P' (Jer. 118 non hab)

მიქ. 5:4 ἐν ἰσχύϊ κυρίου ძლიერებით (-ითა sin37) უფალი JO] tr. P' (Ivir. 35 A 192 non hab) (უფალი ძლიერებითა Jer. 59¹)

მიქ. 5:4 οὐκ Μεγαλυνθήσεται აწ განდიდნენ] tr. P'

ლექსიკა:

საწინასწარმეტყველოში მხოლოდ ერთხელაა წარმოდგენილი ლექსიკის ცვლილება ბერძნულის საპირიპიროდ. გიორგი ათონელი ყოველთვის ასწორებს ძველი თარგმანის ლექსიკურად უზუსტო იკითხვისებს. შესაძლოა ეს შემთხვევა გადამწერთა ხელიდანაც მოდიოდეს, რადგან ლექსიკური ერთეულების, *უფლისა* და *ღმრთის*, აღრევა გავრცელებული შეცდომაა.

იონ. 2:1 κύριος ὠζυγᾶλμᾶν JO I] ღმერთმან k sin 37 P' (A 192 non hab); + ღმერთმან p

დასკვნა:

მაშასადამე, გამოჩნდა, რომ როდესაც გიორგი მთაწმინდელი ძველი თარგმანისაგან დამოუკიდებლად ცვლის სექტუაგინტას იკითხვისს, **მიზანი ქართული თარგმანის გამარტივებაა**. ყველა ცვლილება მიზანმიმართული არ უნდა იყოს და, სავარაუდებელია, შეცდომა (მაგ.: ტრანსპოზიცია მალ. 3:3) ან გადამწერთა სწორება (ლექსიკა იონ. 2:1).

ამრიგად, სექტუაგინტასგან განსხვავებულ იკითხვისებზე დაკვირვებამ გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სრული სურათი აჩვენა. კერძოდ, რა ინტერესით მუშაობს

ტექსტზე, რას ცვლის ყოველთვის და რას – სპორადულად ან საერთოდ არა. ყოველივე ზემოგანხილულის საფუძველზე, გიორგი ათონელის რეცენზირების სტილი ასეთია:

1. სეგმენტთა რაოდენობის თვალსაზრისით ბერძნულის მიხედვით ძველ თარგმანში ცვლის ყველა დიდ დამატებასა და კლებას, ხოლო კავშირებსა და ნაცვალსახელებს თითქმის არ ასწორებს, მიჰყვება ბიბლიის ოშკურ ვერსიას, ან მისგან დამოუკიდებლად ამატებს ან აკლებს სეგმენტს;
2. სეგმენტთა ადგილის მიხედვით ასწორებს მხოლოდ დიდ გადაადგილებებს, დიდწილად მიჰყვება ოშკური ვერსიის ბერძნულის საწინააღმდეგო ვარიანტებს;
3. გრამატიკა – პროფეტოლოგიონი ამ მხრივ ნაკლებად არის ნასწორები, გიორგი მთაწმინდელი ცვლის მხოლოდ სახელის ბრუნვას, ზმნის პირსა და ნაცვალსახელის პირს (სამივე ცვლილების მხოლოდ ერთი შემთხვევაა დადასტურებული, რადგან ამ თვალსაზრისით ძველი თარგმანიც არ სცილდება სეპტუაგინტას) ხოლო სახელისა და ზმნის რიცხვსა და ზმნის დრო-კილოს – არა;
4. ლექსიკური თვალსაზრისით ძველი თარგმანის მცდარი ვარიანტები ყოველთვის გასწორებულია ან შეცვლილია მყარი ლექსიკური ეკვივალენტებით.

განსხვავებები საწინასწარმეტყველოს ხელნაწერებს შორის –რეცენზიული თუ ტრანსმისიის ვარიანტები?

საკვლევ მასალად შერჩეულ საწინასწარმეტყველოს 6 ხელნაწერს შორის სხვადასხვა ტიპის არაერთი ცვლილებაა, პროფეტოლოგიონის ექვსივე ხელნაწერის ერთმანეთთან და ბერძნულ წყაროსთან შედარების საფუძველზე ამოიწერა და დაჯგუფდა ყველა განსხვავება. გიორგი მთაწმინდელის ცვლილებათა ტენდენციის გათვალისწინებით, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში განხილული მასალით გამოვლინდა, საწინასწარმეტყველოს ხელნაწერების ურთიერთგანსხვავებული იკითხვისები კვალიფიცირდა რეცენზიულ და ტრანსმისიის (ტექსტის გადაწერის პროცესში დაშვებული მექანიკური შეცდომები (ასოთკლება, მარცვალთკლება, დიტოგრაფია, მეტათეზისი...) ან გადამწერთა მიზანმიმართული ცვლილებები „მცდარი“ იკითხვისის გასასწორებლად) ვარიანტებად.

ერთი მხრივ, ცვლილებათა ტენდენცია და, მეორე მხრივ, ხელნაწერთა სანდოობაა არის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი რეცენზიული ვარიანტების გამოსაყოფად. ტრანსმისიის ვარიანტების სიმრავლით ჩანს რამდენად სანდოა ხელნაწერი.

ქვემოთ წარმოდგენილია საწინასწარმეტყველოს ხელნაწერების მექანიკური შეცდომები, რითიც გამოვლინდა, პროფეტოლოგიონის რომელი ხელნაწერებია უფრო დაკვირვებით გადაწერილი და, შესაბამისად, რეცენზიული და ტრანსმისიული ვარიანტების გამოსაყოფად მეტად სანდო.

ტრანსმისიის ვარიანტები

მექანიკური შეცდომები:

ასოთკლება/მარცვალთკლება:

Ivir. 35

იონ. 2:3 დადადებისა P^{Ivir.35} (A 192 non hab)] ღ[ა]ღ[ა]დ[ე]ბი Ivir. 35

იოვ. 2:28 ამისა შემდგომად Jer. 59 Jer. 99] ამისა შ[ემდგომა]დ Ivir. 35 A 192 Jer. Jer. 118
130

A 192

სოფ. 3:11 ჩემდა მომართ P^{A 192}] ჩემდა მომათ A 192

მალ. 3:2 იგი თავადა შემოვალს (მოვალს Jer. 59) P^{A 192} (Jer. 118 non hab)] იგი თავადი
შემოვ/ას A 192

იოვ. 2:28 ამისა შემდგომად Jer. 59 Jer. 99] ამისა შ[ემდგომა]დ A 192 Ivir. 35 Jer. Jer. 118
130

Jer. 59

მალ. 3:1 მოვიდეს ტაძრად თვისა P^{Jer. 59}] მოვიდეს ტ[ა]ძრად თ[კ]სა ო[კ]ვალ]ი Jer. 59

იონ. 4:2 დიდად მოწყალე (-ღ J) OJ P^{Jer. 59} (Jer. 118 non hab)] დიდმოწყალე Jer. 59

Jer. 99

იოვ. 3:14 ახლოს არს დღე იგი უფლისა P^{Jer. 99} (A 192 non hab)] ახლოს არ დღე/იგი
ო[კ]ვლისა] Jer. 99

Jer. 118

იონ. 4:11 უფროს (> Ivir. 35) უმრავლეს P^{Jer. 118}] უფროს უმრავლე Jer. 118

სოფ. 3:13 ნემტთა P^{Jer. 118}] ნემთა Jer. 118

იოვ. 2:24 გარდაეცემოდინ საწნეხელნი P^{Jer. 118} (A 192 non hab)] გარდაეცემოდია
საწნეხელნი Jer. 118

სოფ. 3:9 მონებად მისსა P^{Jer. 118 Jer. 130}] მონებ[ა]დ მისა Jer. 118 Jer. 130

იოვ. 2:28 ამისა შემდგომად Jer. 59 Jer. 99] ამისა შ[ემდგომა]დ Jer. 118 Jer. 130 A 192 Ivir.
35

ზაქ. 8:23 წარმართთა P^{-Jer. 118}] წამ[ა]რთთა Jer. 118

Jer. 130

სოფ. 3:9 მონებად მისსა P^{-Jer. 118 Jer. 130}] მონებად მისა უღელსა Jer. 130 Jer. 118

იოვ. 2:28 ამისსა შემდგომად Jer. 59 Jer. 99] ამისა შ[ემდგომა]დ Jer. 130 Jer. 118 A 192 Ivir.

35

სეგმენტის კლება მსგავსი კიდურწერილობის გამო:

Jer. 59

იონ. 4:6 τοῦ εἶναι σκιάν ὑπεράνω τῆς κεφαλῆς αὐτοῦ τοῦ σκιάζειν αὐτῷ რაფთა აგრილობდეს თავსა ზედა მისსა რაფთა აგრილობდეს P^{-Jer. 59}; Jer. 118 non hab)] რაფთა აგრილობდეს Jer. 59

Jer. 99

მალ. 3:1 ἐξαποστέλλω τὸν ἄγγελόν μου, καὶ ἐπιβλέψεται ὄδον πρὸ προσώπου μου გამოვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა რომელმან განჰმზადენს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა P^{-Jer. 99}] შენსა 102 Jer. 99

Ivir. 35

ზაქ. 8:13 ἦτε ἐν κατάρῃ ἐν τοῖς ἔθνεσιν οἶκος Ιουδα καὶ οἶκος Ισραηλ οὕτως διασώσω ὑμᾶς καὶ ἔσεσθε ἐν εὐλογίᾳ იყვენით წყევასა (წყვვასა Jer. 99) ქუჭშე (ქუეშე J Jer. 130) წარმართთა შორის სახლი იუდადისი და სახლი ისრაჴლისაჲ ეგრევე (ეგრეთვე Jer. 130 Jer. 118 Jer. 99) განგარინნე თქუჭნ (თქუენ JO Jer. 130) და იყენეთ (იყვენით Jer. 59 Jer. 99 Jer. 118 Jer. 130; + თქუენ Jer. 59 Jer. 99 Jer. 118 Jer. 130) კურთხევასა შინა P' JO] იყვენით 1⁰ი 2⁰Ivir. 35

ასოთმატება:

Ivir. 35

იონ. 2:1 ვეშაპსა მას დიდსა P^{Ivir. 35} (A 192 non hab)] ვეშაპსა მ[ა]ს დიდსა Ivir. 35

Jer. 59

მალ. 3:2 და ვინმე დაუთმოს დღესა მ[ა]ს მოსლვისა მისისასა P^{Jer. 59}] და ვინმე დაუთმოს დღესა მ[ა]ს მოსლვისას მისი/სასა Jer. 59

Jer. 99

სოფ. 3:14 ის[რუსა]ლ[ი]მლისა Jer. 99

იოვ. 2:26¹ ჭამით P' (A 192 non hab)] სჭამით Jer. 99

იოვ. 2:26 არაღარა* > არღარა Jer. 99 (თავდაპირველად ეწერა არაღარა, თუმცა მეორე ა გადაშლილია და დარჩენილია არღარა, კარგად ჩანს ა ხმოვნის ნაკვალევი)

მიქ. 5:2 ისრაჴლისა ზედა > ისრაჴლსა ზედა Jer. 99² (თავდაპირველად ეწერა ისრაჴლისა ზედა, ი ხმოვანი გადაშლილია).

ზაქ. 8:23 ფესუ P^{Jer. 99}]ფესუ Jer. 99

ზაქ. 9:13 აღვადგინენ P^{Jer. 99} (A 192 non hab)] აღვადგინენ Jer. 99

ზაქ. 14:10 ბჰისა P^{Jer. 99}; (Jer. 118 non hab)] ბრჰისა Jer. 99

Jer. 118

მიქ. 5:2 მცირე P^{Jer. 118}]მცირე Jer. 118

სოფ. 3:9 უღელსა ქუეშე ერთსა P^{Jer. 118}] უღელსა ქუეშე ერთასა Jer. 118

დიტოგრაფია:

Jer. 59

მალ. 3:3 და გ[ა]მოადნვნეს იგ[ი]ნი ვ[ითარცა] ვ[ითარცა] ოქროდ და ვეცხლი Jer. 59

Jer. 99

მიქ. 4:7 ნათესავად დი//დიდად Jer. 99

Jer. 118

სოფ. 3:12 ერი მშუდი და და მდაბალი Jer. 118

სოფ. 3:14 εὐφραίνουσιν καὶ κατατέρπουσιν იხარებდ და განსცხრებოდე JO P^{-Jer. 118(I) Jer. 99(II)]}
იხარებდ და განსცხრებდ და განსცხრებოდე Jer. 118¹; იხარებდ Jer. 99²

ასოთშენაცვლება:

იოვ. 2:17 ხარისხსა P^{-Jer. 99} (A 192 non hab)] სარისხსა Jer. 99

ზაქ. 14:10 ათამელისა Jer. 99

იოვ. 2:25 გამოვალლინე A 192 (გამოვავლინე P^{-A 192}).

მეტათეზისი:

Jer. 99

იოვ. 2:15 ნესტუსა P^{-Jer. 99} (A 192 non hab)] ნესტუსა Jer. 99

იონ. 3:6 განიძარცუა P^{-Jer. 99} (Jer. 118 non hab)]გ{ა}ნიძუარცა Jer. 99

Jer. 118

იონ. 2:6 ნაპრალსა P^{-Jer. 118}] ნაპლ{ა}რსა Jer. 118 (არ აქვს ქარაგმის ნიშანი, სავარაუდოდ, გამორჩენილია).

არასწორად ჩაწერა:

სოფ. 3:19 ὀνομαζ σαხელოვნად (-ვანად) JO L' P^{-Ivir. 35; A 192 non hab}] სახარულევანად Ivir. 35

იოვ. 3:19 Ιουδα იუდადსთა] ი{სრა}ჭლისთა Ivir. 35 (cf. ისრაჭლისთა k);

იონ. 2:7 მოქლონნი P^{-Jer. 59}] მოქლულნი Jer. 59

იონ. 2:5 შელამევსძინოა (შელამევსძინო Jer. 130) P^{-Jer. 118} (A 192 non hab)] შელავევსძინოა Jer. 118

ზაქ. 11:11 διασθεδασθήσεται განქარდეს P^{-Jer. 130} (A 192 non hab)] განვარდეს Jer. 130

გამოვლინდა, რომ საწინასწარმეტყველოს სხვა წყაროებთან შედარებით Jer. 99 და Jer. 118 ხელნაწერებში უფრო ბევრი შეცდომაა დაშვებული. ამრიგად, რეცენზიული და

ტრანსმისიული იკითხვისების შესაფასებლად ისინი ნაკლებად სანდო წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული.

ზემოგანხილული მექანიკური შეცდომები ცალსახაა, რომ გადამწერისეული იყო. უფრო საყურადღებოა კვანტიტატური, ტრანსპოზიციული, გრამატიკული და ლექსიკური ცვლილებების კვალიფიცირება ტრანსმისიისა და რეცენზიის ვარიანტებად. საწინასწარმეტყველოს ხელნაწერებს შორის ამ ტიპის განსხვავებები შეიძლება მომდინარეობდეს როგორც გიორგი ათონელისაგან, ასევე – გადამწერისაგან. სწორად კვალიფიცირებისათვის აუცილებელი კრიტერიუმია ხელნაწერთა სანდოობისა და გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილის გათვალისწინება.

კვანტიტატური ცვლილებები:

სეგმენტის კლება:

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, რომლითაც გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი გამოიკვეთა, ჩანს, რომ იგი ვრცელ სეგმენტს არასდროს აკლებს, შესაბამისად, დიდი კონტექსტის კლება ვერცერთ ხელნაწერში ვერ ჩაითვლება რეცენზიულ ვარიანტად (იხ. იოვ. 2:22, იოვ. 2:19).

იოვ. 2:22 ὅτι βεβλάσθηκεν πεδία τῆς ἐρήμου ὅτι ξύλον ἦνεγκεν τὸν καρπὸν αὐτοῦ ἄμπελος καὶ συκῆ და ხემან გამოიღო ნაყოფი თვისი ლელუმან და ვენაჰმან O P^{Jer. 59} (A 192 non hab)]
> Jer. 59

Jer. 59 ხელნაწერში იოვ. 2:22 მუხლის მოცემული მონაკვეთის გამოტოვების მიზეზი, სავარაუდოდ, არის გადამწერის მიერ გვერდის შეცვლა, 53v გვერდი მთავრდება სიტყვებით: *ნუ გ[ე]შინინ საცხ[ო]ვ[ა]რთა ველი/სათა რ[ა]მეთუ მწუანე გ[ა]მოიღეს ველთა უდაბნოდათა,* რომელსაც ახალ გვერდზე უნდა მოსდევდეს გამოტოვებული მონაკვეთი, თუმცა, როგორც ჩანს, გადამწერს გვერდის შეცვლის დროს ხაზი გამორჩა და ვრცელი სეგმენტი გამოტოვა.

იოვ. 2:19 καὶ ἀπεκρίθη κύριος καὶ εἶπεν τῷ λαῷ αὐτοῦ და მიუგო (მოუგო O) უფალმან ერსა თვისსა და ჰრქუა მას O P^{Ivir. 35} (A 192 J non hab) p(a)] > Ivir. 35

იოვ. 2:19 მუხლის დასაწყისში ვრცელი სეგმენტის კლება Ivir. 35 ხელნაწერში გადამწერისგან მომდინარეობს. იოვ. 2:18 მუხლი მთავრდება სიტყვებით *და ჰრი/და ერსა თჯქსსა*, შესაძლოა მსგავსი ლექსიკური ერთეულების გამეორების გამო გადამწერი გამორჩება ლემა.

იოვ. 2:17 ὅπως μὴ εἴπωσιν ἐν τοῖς ἔθνεσιν რაფთა (>Ivir. 35) ნუუკუჭ თქუან წარმართთა შორის P^{-Jer. 59}] რაფთა ნუუკუე თქუან წარმართთა O Jer. 59

იოვ. 2:17 მუხლში თანდებულის კლებას განაპირობებს წინადადების გამარტივება (სუბიექტი არ იცვლება: *ტიროდენ მდდელნი რომელნი ჰმსახურებენ უფალსა და იტყოდენ (იტყვედ Jer. 118) ულხინე უფალო ერსა შენსა და ნუ მისცემ სამკვდრებელსა შენსა (> Jer. 118) საყუედრელად, რაფთა არა ჰმსთავრობდენ წარმართნი, რაფთა (> Ivir. 35) ნუუკუე (ნუუკუჭ Ivir. 35) თქუან წარმართთა შორის (> O Jer. 59) სადა არს ღმერთი იგი მათი P' O)*. გიორგი მთაწმინდელს წინდებულები უმრავლესად გადმოაქვს თანდებულებით, იშვიათად – ბრუნვის ფორმით, ამ შემთხვევაში, რადგან ცალკე დგას მხოლოდ ერთი ხელნაწერი, ცვლილება ტრანსმისიის ვარიანტად იქნა მიჩნეული.

იოვ. 2:19 ἐγὼ ἐξἄπιστέλλα მე გამოგივლინო Jer. 59] მე გამოგივლინო თქუენ O P^{-Jer. 118 Jer. 59}; გამოგივლინო თქუენ Jer. 118 p(a);

გიორგი ათონელი ოშკური ხელნაწერის წაყოლით, ბერძნულის საპირისპიროდ, ხშირად ამატებს ნაცვალსახელებსა და კავშირებს, იოვ. 2:19 მუხლშიც საწინასწარმეტყველოს ხელნაწერების უმრავლესობა იზიარებს ოშკის იკითხვის და ამატებს ობიექტს. ამის საფუძველზე Jer. 59 ხელნაწერის ვარიანტი, რომელშიც *თქუენ* პირის ნაცვალსახელი დაკლებულია, გადამწერისეულად იქნა მიჩნეული. შესაძლოა, გადამწერს გამორჩა სეგმენტი სტრიქონის შეცვლის გამო, რადგან ეს სიტყვები სტრიქონის ბოლოს წერია და შემდეგ მუხლი ახალი ხაზიდან გრძელდება.

ზაქ. 8:22 λαοὶ πολλοὶ καὶ ἔθνη πολλὰ ἐκζητήσονται ერნი მრავალნი და ნათესავნი გამოძიებად P^{-Jer. 99}] ერნი მრავალნი და გამოძიებად Jer. 99

ზაქ. 8:7 ἀνασῶζα τὸν λαόν Μου ἀπὸ γῆς ἀνατολῶν ვიკსნა ერი ჩემი **ქუჭყანით** (ქუეყანით Jer. 130; ქუჭყანასა Jer. 59) მზისა აღმოსავალით P^{-Jer. 118} (A 192 non hab)] ვიკსნა ერი ჩემი მზისა აღმოსავალით **Jer. 118**

ზაქ. 8:22 და ზაქ. 8:8 მუხლებში სეპტუაგინტას საპირისპიროდ სეგმენტები დაკლებულია Jer. 118 და Jer. 99 ხელნაწერებში, რომლებიც მექანიკური შეცდომების სიმრავლის გამო სანდო წყაროები ვერ იქნება, ამრიგად, ეს ვარიანტები გადამწერისეულად კვალიფიცირდა.

სეგმენტის მატება:

ზაქ. 8:20 κατοικοῦντες πόλεις დაემკვდრნენ ქალაქთა JO P^{-Ivir. 35}] + შინა Ivir. 35

ზაქ. 8:21 συνελεύσοντα... πόλιν შეკრბენ ქალაქსა JO P^{-Ivir. 35}] + შინა Ivir. 35

ზაქ. 8:20 და ზაქ. 8:21 მუხლებში მხოლოდ Ivir. 35 ხელნაწერში დამატებულია *შინა* თანდებული ბერძნულის საწინააღმდეგოდ. პროფეტოლოგიონსი დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში გიორგი ათონელი თანდებულს არ ამატებს, თუ ბერძნულ წყაროში წინდებული არ არის. სავარაუდოდ, კონტექსტის დაზუსტების მიზნით ცვლილება გადაწმერისეულია.

იოვ. 2:29 καὶ ἐπὶ τοὺς δούλους და მონათა ჩემთა ზედა O l p P' (Jer. 99 non hab)] + და ჭაბუკთა Jer. 118

იოვ. 3:13 παρέστηκεν τρύγητος მოწევნულ არს სასთულებელი J] მოწევნულ არიან სასთულებელნი O P^{-Jer. 118} (A 192 non hab); მოწევნულ არიან სასთულებელნი **თქუენნი** Jer. 118

იოვ. 2:29 და იოვ. 3:13 მხოლოდ Jer. 118 ხელნაწერში სეგმენტები ემატება სეპტუაგინტას საწინააღმდეგოდ, რის საფუძველზეც ვარიანტები გადამწერისეულად იქნა მიჩნეული.

ტრანსპოზიცია:

ზაქ. 9:13 ἐνέτεινά Σε Ιουδα ἐμαυτῷ τόξον მოგირთხ შენ **იუდა თავისა ჩემისა მშულდად** JO P^{-Ivir. 35}] მოგირთხ შენ **თავისა ჩემისა იუდა მშულდად** Ivir. 35

ზაქ. 8:10 ἐξαποστειλῶ πάντας τοὺς ἀνθρώπους ἕκαστον ἐπὶ τὸν πλησίον αὐτοῦ
გამოუვლინო (მოუვლინო Jer. 118) ყოველი კაცი თითოეული მოყუასსა თჯსსა JO P^{Ivir.}
^{35]} გამოუვლინო ყოველი კაცი მოყუასსა თჯსსა თითოეული Ivir. 35

ზაქ. 9:13 და ზაქ. 8:10 მუხლებში Ivir. 35 ხელნაწერში სეგმენტთა გადაადგილება ტრანსმისიის ვარიანტებად კვალიფიცირდა, რადგან ეწინააღმდეგება ბერძნულს²¹ და მხოლოდ ერთ წყაროში დასტურდება.

გრამატიკული ცვლილება:

იონ. 3:9 οὐ μὴ ἀπολαύμεθα არა წარვწყმდეთ (წარვემდეთ err J) OJ P^{Jer. 99]} არა წარწყმდეთ
Jer. 99

საწინასწარმეტყველოს მიხედვით გიორგი ათონელის რეცენზირების სტილის თანახმად, იგი არ ცვლის ზმნის პირს ბერძნულის საპირიპიროდ, იონ. 3:9 მუხლში Jer. 99 ხელნაწერში იცვლება ზმნის პირველი პირი მეორეთი (სავარაუდოდ, მექანიკური შეცდომაა და თანხმომავანი გამორჩენილია, კონტექსტი არ განაპირობებს ცვლილებას: იონ. 3:8-9 და იტყოდეს: ვინ უწყის შეინანოს ღმერთმან და მოაქციოს რისხვისაგან გულისწყრომისა მისისა და არა წარვწყმდეთ O P^{Jer. 99}). ცვლილება გადამწერისეულია, ამგვარი შენაცვლება არც სხვა ქართული წყაროებში არ დასტურდება.

იონ. 3:9 ἀποστρέψει ἐγὼ ὀργῆς μοαქციოს რისხვისაგან OJ P^{Jer. 59; Jer. 118 non hab]} მოაქციოს
რისხვისა Jer. 59

იონ. 3:9 მუხლში მხოლოდ Jer. 59 ხელნაწერში ბერძნული ἐγὼ წინდებული გადმოტანილია ნათ. ბრუნვის ფორმით, რითიც გამარტივებულია წინადადება. გიორგი მთაწმინდელი საგულდაგულოდ ასწორებს წინდებულებს და ისინი უმრავლეს შემთხვევაში გადმოაქვს თანდებულთ, იშვიათად – ბრუნვის ფორმით. ამის საფუძველზე Jer. 59 ხელნაწერის ვარიანტი გადამწერისეულად იქნა მიჩნეული.

²¹ სეგმენტთა გადაადგილება სეპტუაგინტას საწინააღმდეგოდ დასტურდება, მაგრამ მაშინ საწინასწარმეტყველოს ყველა ხელნაწერი ერთად დგას.

იოვ. 2:15 *κηρσῆατε θεραπειαν* ქადაგებდით მსახურებასა O P^{Ivir. 35} (A 192 non hab)] ქადაგეთ მსახურებაჲ p(a) **Ivir. 35**

იოვ. 2:15 მუხლში Ivir. 35 ხელნაწერში იცვლება ზმნის მწკრივი, კერძოდ, უწყვეტელს (*ქადაგებდით*) შეენაცვლება წყვეტილი (*ქადაგეთ*), რის გამოც სახელის მიც. ბრუნვის ფორმა იცვლება სახელობითით. ამგვარი შენაცვლება დასტურდება პარიზის ლექციონარში, შესაძლოა Ivir. 35 ლექციონარის გავლენას განიცდის. იმის საფუძველზე, რომ საწინასწარმეტყველოში დრო-კილოს გასწორების შემთხვევები არ დასტურდება, ეს რეცენზიულ ვარიანტად არ უნდა იყოს მიჩნეული.

ზაქ. 14:10 *ἀπὸ τῆς πύλης* ბჭითგან JO P^{Jer. 99 Jer. 130}] ბჭითაგან Jer. 130 Jer. 99 (Jer. 118 non hab).

ზაქ. 14:10-ში გრამატიკული რიცხვი იცვლება სეპტუაგინტას საწინააღმდეგოდ. ასეთი ვარიანტები საწინასწარმეტყველოში დასტურდება, მაგრამ მხოლოდ ძველი თარგმანის წყალობით, ამრიგად, ეს ცვლილება ტრანსმისიის შედეგი უნდა იყოს.

ლექსიკა:

მალ. 3:2 *καὶ τίς ὑπομενεῖ ἡμέραν εἰσόδου αὐτοῦ* და ვინმე დაუთმოს დღესა მას მოსლვისა (მოსლვისას Jer. 59) მისისა P'] და ვინმე დაუთმოს დღესა მას **რისხვისა** მისისასა **Jer. 99** cf. სოფ. 2:3 დაიფარნეთ **დღესა მას რისხვისა** უფლისასა OJ.

მალ. 3:2 მუხლში Jer. 99 ხელნაწერში პარალელური ადგილის გავლენით იცვლება ლექსიკა. საწინასწარმეტყველოში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების მიხედვით, გიორგი ათონელი ლექსიკას სეპტუაგინტას საპირისპიროდ არასდროს ცვლის, ამრიგად ეს ტრანსმისიის ვარიანტად კვალიფიცირდა.

რეცენზიის ვარიანტები

კვანტიტატური ცვლილებები:

მიქ. 4:6 τὸν συντετριμμένον შემუსრვილნი (+იგი J) JO P'] + ერისა ჩემისანი O Jer. 59 Jer. 99 Jer. 118 Jer. 130; cf. იერ. 6:14 და (+A არა O) ჰკურნებდეს შემუსრვილებათა ერისა ჩემისათა უკეთურებასა ზედა JO

მიქ. 4:6 მუხლში ბიბლიის ოშკური ვერსიაში დასტურდება სეგმენტის მატება პარალელური ადგილის (იერ. 6:14) გავლენით. საწინასწარმეტყველოს ხელნაწერების ნაწილი (Jer. 59 Jer. 99 Jer. 118 Jer. 130) მიჰყვება ოშკურ ხელნაწერს და ასევე ამატებს სეგმენტს ბერძნულის საწინააღმდეგოდ. მხოლოდ **Ivir. 35 და A 192** ხელნაწერები მიჰყვებიან ბერძნულს. შესაძლოა, ორივე ვარიანტი გიორგი ათონელისეულია და მუშაობის ორ ეტაპზე მიუთითებს, ძველი თარგმანის წაყოლით მატება თავდაპირველი ვარიანტი უნდა იყოს (ზაქ. 8:21 მუხლში ოშკურ-იერუსალიმურ ხელნაწერებში დასტურდება სეპტუაგინტას საწინააღმდეგოდ ვრცელი ლემის მატების ერთი შემთხვევა, რომელიც გაუსწორებლად არის დატოვებული საწინასწარმეტყველოში, შესაძლოა ამ შემთხვევაშიც პროფეტოლოგიონის ხელნაწერების ნაწილში ძველი თარგმანის წაყოლით არის ოშკურ-იერუსალიმური ნუსხების იკითხვისი, რომელიც შემდეგ ეტაპზე გასწორდა), ხოლო ბერძნულის მიხედვით სწორება – მეორეული.

ტრანსპოზიცია:

იონ. 1:2 ὅτι ἀνέβη ἢ κραυγὴ τῆς κακίας რამეთუ აღმაღლდა (ამაღლდა P ^{-Ivir. 35 A 192}; + და მოიწევს J) დაღაღებაჲ (ქადაგებაი err Jer. 118) უკეთურებისა J P ^{-Ivir. 35 A 192} რამეთუ აღმაღლდა (ამაღლდა Ivir. 35 A 192; + და მოიწევს O) უკეთურებაჲ დაღაღებისა O **Ivir. 35 A 192** = κακια της κραυγης III;

იონ. 1:2 მუხლში სეგმენტთა ადგილებს შორის განსხვავებას განაპირობებს ბერძნული წყაროები. გიორგი ათონელი საწინასწარმეტყველოს სწორებისას ლუკიანური ჯგუფის ხელნაწერებს მიჰყვება ხოლმე, ამის მიხედვით **Ivir. 35 და A 192** ხელნაწერების ვარიანტი რეცენზიული ხასიათისა უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ ოშკურ-იერუსალიმურ ვერსიაში დადასტურებული ბერძნულის საწინააღმდეგო მატება (და მოიწევს) საწინასწარმეტყველოს არცერთ ხელნაწერში არ არის. თუ პროფეტოლოგიონზე მუშაობის ორი ეტაპი სარწმუნოდ იქნება მიჩნეული, შესაძლოა, პირველ ეტაპზე ამ შემთხვევაში გიორგი ათონელმა მხოლოდ

კვანტიტატური ცვლილება გაასწორა, ხოლო შემდგომ სეგმენტთა ადგილები ლუკიანური ტრადიციის ხელნაწერების მიხედვით.

ზაქ. 8:10 ὁ μισθὸς τῶν ἀμπεράπων οὐκ ἔσται εἰς ὄνησιν **სასყიდელი** (+იგი J) კაცთაჲ არა იყოს (იყო Jer. 99 Jer. 118 Jer. 130) **სარგებელად** JO Jer. 99 Jer. 118 Jer. 130] არა იყოს (იყო Ivir. 35) **სასყიდელად** (**სარგებელად** Ivir. 35) კაცთაჲ Jer. 59 Ivir. 35 tr. ὁ μισθὸς τῶν ἀμπεράπων/ οὐκ ἔσται] tr. V

ზაქ. 8:10 მუხლის ცვლილებების მიხედვით, გიორგი მთაწმიდლისეული ვარიანტი Jer. 130 Jer. 118 და Jer. 99 ხელნაწერებში უნდა იყოს დაცული (მიჰყვებიან ოშკურ-იერუსალიმურ თარგმანს). Ivir. 35 და Jer. 59 ხელნაწერებში რთული იკითხვისია გამარტივებული (Ivir. 35-ში შეცდომით), მსგავსი ვარიანტი ვენეტუსის ხელნაწერშიც დასტურდება, მაგრამ იგი გიორგის წყარო არ არის, შესაბამისად, ცვლილების მიზეზი სეპტუაგინტას ვარიანტული იკითხვისი ვერ იქნება.

გრამატიკა:

იოვ. 2:25 καὶ ἀνταποδῶσα ἡμῖν და მოგაგო თქუჴნ p k **Ivir. 35 A 192]** და მოგაგოს თქუენ (თქუჴნ P^{-Jer. 130}) O I P^{-Ivir. 35 A 192} cf. ανταποδῶσει B

საწინასწარმეტყველოში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში გიორგი ათონელი ასწორებს ზმნის პირს ბერძნულის მიხედვით, იოვ. 2:25 მუხლშიც ამ ტიპის ცვლილებაა, რომელსაც მხარს უჭერს პროფეტოლოგიონის **Ivir. 35 და A 192** ხელნაწერები. ამის საფუძველზე მიჩნეულ უნდა იყოს რეცენზიულ ვარიანტად.

ლექსიკა:

გიორგი ათონელი პროფეტოლოგიონებში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში საგულდაგულოდ ასწორებს ლექსიკას. არცერთი შემთხვევა არ არის, როდესაც დამოუკიდებლად ან ძველი თარგმანის წაყოლით ტოვებს სეპტუაგინტას საპირისპირო ვარიანტს.

იოვ. 3:20 εἰς γενηᾶς γενηᾶν] თესლითი თესლადმდე (-ამდე Jer. 118) Jer. 130 Jer. 118 = JO;
ნათესავითი ნათესავადმდე Jer. 59 Ivir. 35 (A 192 non hab)

იოვ. 3:20 მუხლში იმის დასადგენად, რომელი იყო გიორგი მთაწმიდლისეული ვარიანტი, სახარების ათონურ ვერსიაში დაიძებნა *γενηᾶ*-ს შესატყვისები (მაგ.: მათ. 1:17, მათ. 12:41, ლუკ. 1:50, ლუკ. 11:31-32, ლუკ. 11:50,52, ლუკ. 17:25) . აღმოჩნდა, რომ *γενηᾶ*-ს შეესაბამება *ნათესავი*, ხოლო თესლის ეკვივალენტია *σπέρμα*. შესაძლოა, აქაც ჩანდეს სწორების ეტაპები, პირველ ჯერზე დატოვა ოშკურ-იერუსალიმური ვერსიის ვარიანტი, ხოლო ლექსიკური ეკვივალენტების შემუშავების შემდეგ შეცვალა.

მიქ. 5:2 ἀπ' ἀρχῆς ἕξ ἡμερῶν დასაბამითგან დღეთაგან Ivir. 35] დასაბამით (დაბამით err Jer. 118²) დღეთაგან (დღჭთაგან O) O P^{-Ivir. 35}; დასაბამითგან დღეთა J; დღეთაგან L'

მიქ. 5:2 მუხლში ცვლილების ტიპის დასადგენად, საწინაწარმეტყველოში ინახა, როგორ არის გადმოტანილი *ἀπιο* წინდებული. ერთი შემთხვევის გარდა (ზაქ. 8:7 - გადმოტანილია მოქმ. ბრუნვის ფორმით), მას შეესაბამება *-გან* თანდებული. ამის საფუძველზე, სავარაუდოდ, გიორგი ათონელის ხელიდან გამოსული ვარიანტი, რომელიც ბერძნულის შესატყვისი ლექციო დიფიკილიორია, Ivir. 35 ხელნაწერს დაუცავს. სავარაუდოდ, ორი ერთნაირი თანდებული შემდგომ გამარტივდა გადამწერების მიერ.

ყოველთვის ვერ ხერხდება იმის განსაზღვრა, ცვლილება ტრანსმისიის შედეგია თუ რეცენზიული ხასიათის. მაგ.: იონ 1:10 მუხლში ძველი თარგმანში არის დუბლეტი. საწინასწარმეტყველოებში ეს შემთხვევა შესაძლოა გიორგი მთაწმინდელმა გაასწორა ბერძნულის მიხედვით სეგმენტთა რაოდენობის თვალსაზრისით, ან შეიძლება გადამწერსაც გამორჩა ლემა. მცირე კლება-მატებებს გიორგი ათონელი იშვიათად ასწორებს. ცვლილების რეცენზიული ხასიათი უფრო სარწმუნო იქნებოდა, რამდენიმე წყაროში რომ იყოს წარმოდგენილი.

იონ. 1:10 φόνον μέγαν შიშითა დიდითა Ivir. 35 L^k] შიშითა დიდითა ფრიად OJ k P^{-Ivir. 35}
cf. φόνον μέγαν] σφιδρα 62

იონ. 4:7 Καὶ προσέταξεν ὁ θεὸς და უბრძანა ღმერთმან J k p **Ivir. 35 A 192**] და უბრძანა უფალმან ღმერთმან O Jer. 59 Jer. 130 Jer. 99 sin 37 (Jer. 118 non hab) = ὁ θεός W 956] pr. κυριος A'-Q'-49'-198-233'-407'-456-534' 36-II Bo Bas.N.;) OJ k P'

იონ. 4:7 მუხლშიც შეიძლება იყოს როგორც რეცენზიული, ასევე – ტრანსმისიის ვარიანტი, რადგან უფალი და ღმერთი ისეთი ლექსიკური ერთეულებია, რომლებსაც გადამწერები წყაროსგან დამოუკიდებლად ზოგჯერ შეცდომით ამატებენ ან აკლებენ.

იონ. 1:3 ἐνέβη εἰς αὐτὸ τοῦ πλεῦσαι μετ' αὐτῶν შევიდა იგი (+ მას J) **წარსვლად მათ თანა** OJ k P ^{-Ivir.35]} შევიდა იგი **მათ თანა წარსვლად** Ivir. 35

ბერძნულის საწინააღმდეგო ტრანსპოზიციული ვარიანტებიც საწინასწარმეტყველოს მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში სპორადულად არის ნასწორები, ამიტომ როდესაც მხოლოდ ერთ ხელნაწერშია ცვლილება, ნაკლებ სარწმუნოა, იყოს რეცენზიული.

დასკვნა:

ამრიგად, ხელნაწერების სანდოობისა და ცვლილებათა ტენდენციების გათვალისწინებით, გამოვლინდა ტრანსმისიული და რეცენზიული ვარიანტები. გამოჩნდა, რომ **A 192** და **Ivir. 35** ხელნაწერები ხშირად დგას ერთად და ინახავს რეცენზიულ ვარიანტს. შესაძლებელია ვარაუდი, რომ საწინასწარმეტყველო ორჯერ იყოს გასწორებული, მეორეული ვარიანტები კი სწორედ ამ წყაროებში იყოს დაცული. რადგან საწინასწარმეტყველოს წყაროები კრებულის შექმნის დროს 1-2 საუკუნით მაინც სცდილდება, შესაძლოა, პირველი და მეორე სწორების ვარიანტების აღრევაც, ამიტომ შეცვლილი იკითხვისები ზოგჯერ თავს იჩენს ისეთ ხელნაწერებშიც, რომლებშიც, სავარაუდოდ, პირველად გასწორებული ტექსტია დაცული (მაგ.: Jer. 59, რომელიც ხშირად არ მიჰყვება **A 192** და **Ivir. 35** ხელნაწერებში დაცულ რეცენზიულ იკითხვისს). თუმცა ამ ეტაპზე, ეს მხოლოდ ვარაუდია, რომლის განსამტკიცებლად საჭიროა დამატებითი ტექსტოლოგიური კვლევები.

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი ფსალმუნის გალობასა და საწინასწარმეტყველოში (შეპირისპირებითი დახასიათება)

იონას გალობა თორმეტ მცირე წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთის, იონას, წინასწარმეტყველების მეორე თავშია წარმოდგენილი. იგივე ტექსტი ჩართულია ფსალმუნთა კანონში მეექვსე გალობის სახით. ბიბლიის ხელნაწერებისა და საწინასწარმეტყველოების გარდა, იონას გალობის ქართული თარგმანი დაცულია ფსალმუნის პრეათონურ და ათონურ ვერსიებში, ეგზეგეტიკურ (ფსალმუნის კომენტირებული წიგნები) და ლიტურგიკულ (ლექციონარები) კრებულებში. შესაბამისად, გიორგი მთაწმინდელს იონას გალობის ტექსტზე უმუშავია არა მხოლოდ საწინასწარმეტყველოს შედგენისას, არამედ – ფსალმუნის თარგმნა-რედაქტირების დროსაც. ამასთან ერთად, ფსალმუნთა კომენტირებულ კრებულებში, K-29 და Q-37 ხელნაწერებში, იონას გალობის ათონური ვერსიის ტექსტია შესული. მათში წარმოდგენილია ტექსტური კატენი: „ტექსტურია კატენები, სადაც ბიბლიის ტექსტიცა და კატენებიც ერთ, ფართო კოლონას ქმნის და გვერდს ავსებს (ხარანაული, 2011:787).

K-29 ხელნაწერი XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება (ნიკოლაძე, 1953:119, გლოველი, 2015:96). იგი შეიცავს ფსალმუნთა „გამოკრებულ თარგმანებას“. ნ. დობორჯგინიძის აზრით, უცნობ ქართველ ავტორს XII საუკუნეში სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეუდგენია ამ ტიპის კრებული, რომლის მთავარი წყარო ეფრემ მცირის ფსალმუნის თარგმანებაა (დობორჯგინიძე, 1996:2).

Q-37 ხელნაწერი შეიცავს ეფრემ მცირის მიერ შედგენილ ფსალმუნთა განმარტებას (თვალთვაძე, 2009:103). ხელნაწერს ახლავს ვრცელი წინასიტყვა, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ გიორგი მთაწმინდელის ფსალმუნით უსარგებლია და არაფერი შეუცვლია: „ესე იგი არს, რომელ ვიტყვ, ვითარმედ მუკლი დავითისაჲ მის მიერვე თარგმანებული იგი არ(ს) ხ)არსიხ საპვიროვნისა და ჩემ მიერ [მას] ზედა შენებულ თა(რგმა)ნი მუკლისაჲ, ვითარცა ზ[ღ]უდეჲ პილოძს ძუ[ალისაჲ]“ (თვალთვაძე, 2009:174). წინასიტყვაში ასევე მოცემულია ცნობები ფსალმუნის ტექსტის ქართული თარგმანის შესახებ (შანიძე, 1968:99).

მაშასადამე, იონას გალობის გიორგი ათონელისეულ ვერსიას შეიცავს სამი წყარო: ფსალმუნი, საწინასწარმეტყველო და ფსალმუნის კომენტირებული კრებულები. წინამდებარე თავის მიზანია, მოცემული ტექსტების ბერძნულ დედანთან და ურთიერთშედარების საფუძველზე, შემდეგ საკითხებში გარკვევა:

- ა) გიორგისეულია თუ გადამწერისეული ფსალმუნსა და პროფეტოლოგიონის ხელნაწერებს შორის არსებული განსხვავებები?
- ბ) ჩანს თუ არა გიორგი მთაწმინდელის მუშაობის ეტაპები? ჯერ ფსალმუნი ასწორა თუ საწინასწარმეტყველო?
- გ) დასტურდება თუ არა საწინასწარმეტყველოსა და ფსალმუნში გიორგი ათონელისეული ერთი და იგივე სწორებები?
- დ) რა ტიპის სხვაობებია ფსალმუნსა და პროფეტოლოგიონებს შორის და რა არის ამის მიზეზი – ბერძნული წყარო თუ თარგმანის ტექნიკა?

საკითხის კვლევის პირველ ეტაპზე ამოიწერა და დაჯგუფდა ყველა განსხვავება, ერთი მხრივ, იონას გალობის გიორგისეული ვერსიის შემცველ ტექსტებს შორის და, მეორე მხრივ, ამ სამივე წყაროსი სხვა ქართულ ვერსიებთან. შემდგომ კი გაიმიჯნა და გაანალიზდა, როგორც ბერძნული წყაროებიდან და თარგმანის ტექნიკით განპირობებული სწორებები, ასევე გადამწერისეული ცვლილებები.

ამოწერილი მასალა განაწილებულია ორ ჯგუფში, შეძლებისგადვარად ახსნილია წყაროთა შორის ცვლილებათა მიზეზები:

- ა) გიორგი მთაწმინდლისეული ვერსიის შემცველი წყაროები ერთად დგას:

Od' C' P' ctra JO Od'

კვანტიტატური ცვლილება:

იონ. 2:5 ἔξ ὀφθαλμῶν თუალთაგან P' Jer 133 C'; თუალთა Jer 161] პირისაგან თუალთა OJ L' cf. προσωπου (20) Ach Sa; pr. εναντιας 943 Ach Sa.

იონ. 2:5 მუხლში ბერძნულიდან მომდინარე კვანტიტატური ცვლილებაა. ომკურ-იერუსალიმური ბიბლიისა და ლექციონარების ხელნაწერებში დასტურდება დუბლეტი.

იონ. 2:5 მუხლში ბერძნული ერთეული $\acute{\epsilon}\xi \acute{\sigma}\phi\theta\alpha\lambda\mu\acute{\nu}$ გადმოტანილია, როგორც *პირისაგან თუალთა* (ორი ლექსიკური ერთეულით, ნაცვლად ერთისა). სეპტუაგინტას აქმიმურ და საჰიდურ თარგმანებში წარმოდგენილია იკითხვისი *προσωπου* (20) Ach Sa, სავარაუდოდ იგი იმ ბერძნულ წყაროშიც/წყაროებშიც იქნებოდა, რომლითაც ქართველ მთარგმნელებს უსარგებლიათ. გიორგისეული ვერსიის ხელნაწერებში დუბლეტი არ არის და ლემის $\acute{\epsilon}\xi \acute{\sigma}\phi\theta\alpha\lambda\mu\acute{\nu}$ თარგმანია *თუალთაგან* (*თუალთა* Jer. 161).

ლექსიკური ცვლილება:

იონ. 2:6 $\acute{\epsilon}\sigma\chi\acute{\alpha}\tau\eta$] დასასრულისამან J; აღსასრულისათა O; უკუანამსკნელმან P' Od' C' ; > L' Od'

იონ. 2:6 მუხლში გიორგი მთაწმიდლისეული ვერსიის ხელნაწერები იონას გალობის სხვა ქართულ წყაროთაგან განსხვავდებიან ლექსიკურად. იმისათვის რომ დადგენილიყო, რა მიზნით ცვლის გიორგი მთაწმინდელი ლექსიკას, დაიძებნა როგორ არის გადმოტანილი $\acute{\epsilon}\sigma\chi\acute{\alpha}\tau\eta$ სახარებაში (მაგ.: მათ. 5:26, 12:45, მათ. 19:30, მათ. 20:8, მათ. 20:12, მათ. 20:16, მათ. 27:64). ამ ეტაპზე ინახა მხოლოდ მათეს სახარების მიხედვით და გამოვლინდა, რომ $\acute{\epsilon}\sigma\chi\acute{\alpha}\tau\eta$ ყოველთვის გადმოტანილია როგორც *უკუანამსკნელი*. მაშასადამე, გიორგი ათონელი ძველი თარგმანის იკითხვისს ცვლის, რათა გამოიყენოს მყარი ლექსიკური ეკვივალენტი.

Od' C' P' = O ctra J Od'

ლექსიკური ცვლილება:

იონ. 2:7 $\acute{\alpha}\nu\alpha\beta\eta\tau\alpha$ გამოვედინ J; აღმოვედინ O P^A 192 Od'C' A 38 sin 37; აღმოვედინ A 192 Gr. Sin 42 l; გამოვედინ p;

დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა გიორგისეული ვერსიის ხელნაწერები იზიარებს ოშკის ბიბლიის წაკითხვებს და ეწინააღმდეგება ყველა ან რამდენიმე სხვა ქართულ წყაროს. იონ. 2:7 მუხლში ბერძნულ ზმნას $\acute{\alpha}\nu\alpha\beta\eta\tau\alpha$ იერუსალიმურ ბიბლიაში შეესაბამება *გამოვედინ*, ხოლო ოშკსა და გიორგისეულ წყაროებში *აღმოვედინ*. ცვლილებას განაპირობებს ზმნისწინი. საწინასწარმეტყველოს A 192 ხელნაწერში ზმნას აკლია პირველი

სუბიექტივიზირის ნიშანი ვ-, რაც, სავარაუდოდ, ტექსტის ტრანსმისიის პროცესში დაიკარგა.

იონ. 2:7 $\phi\theta\iota\rho\alpha$] განწყუნისაგან J; განჯრწნისაგან O k Od' განხრწნისაგან P' Od' C' sin 37 l p.

ასევე იონ. 2:7 მუხლში თავს იჩენს ლექსიკური ცვლილება. იონას გალობის გიორგისეული ვერსიის შემცველი ხელნაწერები ერთად დგანან, ოშკისგან მათ მხოლოდ ორთოგრაფია (ხ/ჯ-ს დაწერილობა) განასხვავებთ. ბერძნული ლექსიკური ერთეული $\phi\theta\iota\rho\alpha$ იერუსალიმურ ბიბლიაში გადმოტანილია, როგორც *განწყუნისაგან*, ხოლო სხვა ქართულ ვერსიებში *განხრწნისაგან/განჯრწნისაგან*.

Od' C' P' = J = LXX ctra O Od'

გრამატიკული ცვლილება:

იონ. 2:6 $\acute{\alpha}\phi\iota\sigma\sigma\iota\varsigma \ \acute{\epsilon}\kappa\alpha\kappa\lambda\alpha\sigma\acute{\epsilon}$ უფსკრულმან მომიცვა J P' Od' C'] უფსკრულთა (ოჯბსკროვლთა l) მომიცვეს (გარემომიცვეს p) O Od' L'.

იონ. 2:6 მუხლში იონას გალობის შემცველი გიორგისეული ვერსიის ხელნაწერები იზიარებს იერუსალიმური ბიბლიის იკითხვის და უპირისპირდება სხვა ქართულ წყაროებს. მოცემულ მაგალითში არის ბერძნულიდან მომდინარე გრამატიკული სწორება, კერძოდ, რიცხვის ცვლილება. იერუსალიმურ ბიბლიასა და გიორგისეულ ხელნაწერებში ბერძნულის მსგავსად არის სახელისა და ზმნის მხოლობითი რიცხვი, ხოლო დანარჩენ წყაროებში – მრავლობითი.

ბ) გიორგი მთაწმიდლისეული ვერსიის შემცველი წყაროები ერთად არ დგას:

P' ctra JO Od' C'

ლექსიკური ცვლილება:

იონ. 2:10 ἐξιμοιογήσεωσ] აღსარებისადთა JO k Od' Jer. 161 C' აღსარებისადთა P' sin 37 l
cf. აღს[არ]ე[ბი]ს[ა]თა Jer. 133

ცვლილება შიდაქართულია და ვარიანტულობას განაპირობებს დაქარაგმებული სიტყვა.

Ivir. 35 A 192 = Od' C' ctra JO P-Ivir. 35 A 192

იონ. 2:9 Φυλασσομένοι Μάταια και ψευδη]

მცველთა მათ უშჯულოებისათა და სიცრუისათა J;

რომელთა დაიცვეს ამაოებაჲ სიცრუვისაჲ O P-Ivir. 35 A 192

მცველთა (pr.რამეთოჳ k) მ[ა]თ ამ[ა]ოთა და ცრუთა (+მათ k l Sin 37) **Ivir. 35 A192 Od'**
C' k l Sin 37

რამეთუ მცველნი იგი სიცრუვისანი p.

იონ. 2:9 მუხლში არის შიდაქართული ცვლილება, კერძოდ, მიმღეობა განსხვავებულადაა გადმოტანილი. ფსალმუნის, ფსალმუნის კომენტირებული კრებულისა და საწინასწარმეტყველოს Ivir. 35 და A 192 ხელნაწერებში აწმყო დროის სამუალო გვარის მიმღეობა გადმოტანილია მიმღეობითვე ბერძნულის მიხედვით, რომელსაც სუბიექტის ფუნქცია აქვს, ხოლო ოშკის ბიბლიასა და საწინასწარმეტყველოს დანარჩენ წყაროებში – დამოკიდებული წინადადებით. სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაშიც საწინასწარმეტყველოს ხელნაწერებში გიორგი ათონელის მუშაობის ეტაპები იყოს ასახული.

ტრანსპოზიცია:

იონ. 2:9 ἔλεος αὐτῶν ἐγκατέλιπον წყალობაჲ მათი დაუტევეს J k A192 Ivir.35 Od' C' 1 p]

მათ წყალობაჲ შენი დაუტევეს O P-Ivir. 35 A 192

ოშკსა და პროფეტოლოგიონის ხელნაწერებში (გარდა Ivir. 35-სა და A 192-ისა) არის ტრანსპოზიცია ბერძნულის საპირისპიროდ და ასევე იცვლება კუთვნილებითი ნაცვალსახელის პირი.

Ivir. 35 = Od' C' ctra JO P-Ivir. 35

ლექსიკური ცვლილება:

იონ. 2:10 ἡσῆαμῶν] აღვთქუ J k l Od' K29 აღთქუმაჲ O P-Ivir. 35 ვილოცე Ivir.35 Od' Q 37;
აღვითქოჳ sin 37

იონ. 2:10 მაგალითში საწინასწარმეტყველოს ხელნაწერებს შორის სხვაობა ლექსიკურ-გრამატიკულია. მოიძებნა როგორ გადმოაქვს გიორგი მთაწმინდელს *εὐξομαι* სხვა შემთხვევებში. საწინასწარმეტყველოსა და სახარებაში ეს ზმნა მეტჯერ არ დასტურდება. ინახა კონტექსტები სამოციქულოში, ამ ლექსიკური ერთეულის გამოყენების 5 შემთხვევაა (საქ. 26:29, 27:29, რომ. 9:3, 2კორ. 13:7, 13:9) და ყოველთვის *ლოცვა* ფორმითაა გადმოტანილი. შესაძლოა, პირველ ეტაპზე გიორგი ათონელი ტოვებს ომკური ვერიის იკითხვისს, ხოლო შემდგომ ასწორებს ფსალმუნის მიხედვით.

კვანტიტატური ცვლილება:

იონ. 2:7 καὶ და J Ivir. 35 Od' C'] > O P-Ivir. 35 L' Od'

საწინასწარმეტყველოს ხელნაწერების ნაწილში ახალი აზრობრივი მონაკვეთის დასაწყისში დაკლებულია და კავშირი.

დასკვნა:

ამრიგად, ფსალმუნის გალობისა და საწინასწარმეტყველოს წყაროების შეპირისპირებითა ანალიზმა გამოავლინა, რომ იონას გალობის გიორგი მთაწმინდლისეული ვერსიის შემცველი საწინასწარმეტყველოს, ფსალმუნისა და ფსალმუნის კომენტირებული კრებულების ხელნაწერები უმრავლეს შემთხვევაში დგას ერთად, ე.ი გიორგი მთაწმინდელი საწინასწარმეტყველოსა და ფსალმუნში ცვლის ერთსა და იმავეს. როდესაც პროფეტოლოგიონის ხელნაწერებს შორის არის განსხვავებები, გიორგი ათონელისეულ ფსალმუნს მიჰყვება Ivir. 35 და A 192 ხელნაწერები, ხოლო დანარჩენი წყაროები დგას ბიბლიის ომკურ ვერსიასთან ერთად. ამრიგად, იმ მოსაზრებას, რომ საწინასწარმეტყველო ორჯერ იყოს გასწორებული, ამ თავში გამოვლენილი მასალაც

ეთანხმება. სავარაუდებელია, Ivir. 35 და A 192 ხელნაწერებში იყოს მეორედ ნასწორები ტექსტის ის ვარიანტები, რომლებიც გიორგი მთაწმინდელმა იონას გალობის ნაწილში თავის ფსალმუნს დაუახლოვა.

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი სახარებასა და საწინასწარმეტყველოში (შეპირისპირებითი დახასიათება)

გიორგი ათონელს მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტებზე ოთხთავის თარგმნარედაქტირების დროსაც უმუშავია, კერძოდ, სახარებებში დასტურდება ციტატები²² ძველი აღთქმიდან. წინამდებარე თავში გარკვეულია, ახდენს თუ არა გავლენას საწინასწარმეტყველოსა და სახარებებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები ერთმანეთზე. კერძოდ, მიჰყვებიან ისინი თავიანთ ბერძნულ წყაროს თუ გიორგი მთაწმინდელი ცვლის იკითხვისს ოთხთავის ან საწინასწარმეტყველოს მიხედვით.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სახარებაში ზუსტად (მაგ.: იონ. 2:1 ციტირებულია მათ. 12:40 მუხლში) ან ნაწილობრივ ზუსტად (როდესაც განსხვავდება რამდენიმე ლექსიკური ერთეულით, მაგ.: მალ. 3:1 ციტირებულია ლუკ. 7:27, მარკ. 1:2, მათ. 12:10 მუხლებში, მიქ. 5:2 – მათ. 2:6-ში) ციტირებული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები²³. როდესაც მხოლოდ შინაარსობლივი თანხვედრა, ან ალუზია და ადაპტაციაა, ასეთი მაგალითები წარმოდგენილი არ არის, რადგან კვლევისათვის არარელევანტურია.

ა) ზუსტი ციტირება:

John. 2:1 καὶ ἦν Ἰωανῆς ἐν τῇ κοιλίᾳ τοῦ κήτους τρεῖς ἡμέρας καὶ τρεῖς νύκτας LXX

²² ციტაცია/ციტირება – სიტყვიერად ზუსტად გადმოღებული ციტატა, რომელიც შეიძლება დამოწმებული იყოს სრულად (თუ მოკლეა), ან მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ გრძელი კონტექსტია). ის აღებულია ან უშუალოდ ტექსტიდან, ან – მეხსიერებიდან (Osburn, 2005:318).

²³ მცირე წინასწარმეტყველთა ციტატები სახარებაში ოთხთავის პრეათონური თარგმანის მიხედვით განიხილა ბ. შენგელიამ საბაკალავრო ნაშრომში „მცირე წინასწარმეტყველთა ციტატები სახარებაში (ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით)“, (ხელმძღვანელი ა. ხარანაული). მან ამოიწერა და დააჯგუფა სახარებაში მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების ციტირების ყველა შემთხვევა. სამაგისტრო ნაშრომში მის მიერ მოძიებული პარალელები გამოვიყენეთ და ჩვენთვის საინტერესო მაგალითები შევუდარეთ გიორგი მთაწმინდელის რევიზირებულ ოთხთავს.

BYZ Matt. 12:40 καὶ ἦν Ἰωάννης ἐν τῇ κοιλίᾳ τοῦ κήτους τρεῖς ἡμέρας καὶ τρεῖς νύκτας

იონ. 2:1 და იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე JO

იონ. 2:1 და იყო იონა მუცელსა (+ შინა Ivir. 35; + მას Jer. 99) ვეშაპისასა სან დღე და სამ ღამე P' (A 192 non hab)

მათ. 12:40 იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე HIK

იონ. 2:1 მუხლი ზუსტადაა ციტირებული მათ. 12:40-ში, რადგან სახარებისა და იონას წინასწარმეტყველების ბერძნული ტექსტები ერთნაირია და, შესაბამისად, არც ქართულ წყაროებს შორის არის სხვაობა, მაგალითი ურთიერთგავლენის დასანახად ინფორმაციულად არასაკმარისია²⁴.

ბ) ნაწილობრივ ზუსტი ციტირება:

ნაწილობრივ ზუსტი ციტაციის ნიმუშია მალ. 3:1 მუხლი, რომელიც დასტურდება მარკოზის (მარკ. 1:2), ლუკასა (ლუკ. 7:27) და მათეს (მათ. 11:10) სახარებებში. ქვემოთ იგი წარმოდგენილია ოშკურ-იერუსალიმური თარგმანის, პროფეტოლოგიონებისა და ოთხთავის შესაბამისი ადგილების მიხედვით.

Mal. 3:1 ἰδοὺ ἐγὼ ἐξαποστέλλω τὸν ἄγγελόν μου, καὶ ἐπιβλέψεται ὀδὸν πρὸ προσώπου μου
LXX

BYZ Lk. 7:27 Ἰδοὺ, ἐγὼ ἀποστέλλω τὸν ἄγγελόν μου πρὸ προσώπου σου, ὃς κατασκευάσει τὴν ὀδὸν σου ἔμπροσθέν σου

BYZ Mark 1:2 Ἰδοὺ, ἐγὼ ἀποστέλλω τὸν ἄγγελόν μου πρὸ προσώπου σου, ὃς κατασκευάσει τὴν ὀδὸν σου ἔμπροσθέν σου.

²⁴ სახარების გიორგი ათონელისეული ტექსტისათვის ამ და სხვა მაგალითებში გამოყენებულია ივ. იმნაიშვილის გამოცემა „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“, ტექსტი დადგენილია 3 ხელნაწერის მიხედვით: ვანის (H), ეჩმიაძინის (I), გელათის (K) ოთხთავები.

BYZ Matt. 11:10 Ἴδού, ἐγὼ ἀποστέλλω τὸν ἄγγελόν μου πρὸ προσώπου σου, ὃς κατασκευάσει τὴν ὁδὸν σου ἔμπροσθέν σου.

მალ. 3:1 აჰა ესერა გამოვავლინო ანგელოზი ჩემი და მოიხილოს გზაჲ წინაშე პირსა (პირსა წინაშე O) ჩემსა JO

მალ. 3:1 აჰა ესერა მე გამოვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა (შენსა ἰο² Jer. 99) რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა P'

მარკ. 1:2 აჰა, ესერა, მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა HIK

ლუკ. 7:27 აჰა, ესერა, მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა HIK

მათ. 11:10 აჰა, ესერა, წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა HIK

რამდენიმე შემთხვევაში გიორგი ათონელი სცილდება ბიბლიის ომკურ-იერუსალიმურ ვერსიასაც და სეპტუაგინტასაც.

იგი ამატებს იკითხვის სახარების მიხედვით:

მალ. 3:1 τὸν ἄγγελόν μου ანგელოზი ჩემი OJ p (a) l P'] + წინაშე პირსა შენსა P' = HIK; πρὸ προσώπου σου (Lk. 7:27, Mark. 1:2, Matt. 11:10);

ცვლის ლექსიკას:

მალ. 3:1 καὶ ἐπιβλέψεται და მოიხილოს OJ p(a) l] რომელმან განჰმზადნეს P' = HIK; ὃς κατασκευάσει (Lk. 7:27, Mark. 1:2, Matt. 11:10);

სახელის რიცხვს:

მალ. 3:1 ὁδὸν გზაჲ OJ p(a) l] გზანი შენნი P' = HIK

ნაცვალსახელის პირს:

მალ. 3:1 πρὸ προσώπου (პირსა წინაშე O) μου წინაშე პირსა ჩემსა OJ p(a) I] წინაშე პირსა შენსა P' = HIK; ἔμπροσθέν σου (Lk. 7:27, Mark. 1:2, Matt. 11:10).

ეს ცვლილებები არ დასტურდება სეპტუაგინტასა და მის ვარიანტებში. გიორგი ათონელი საწინასწარმეტყველოს ტექსტს ცვლის ბერძნულისა და ბიბლიის ომკურ-იერუსალიმური თარგმანის საწინააღმდეგოდ სახარებისეული იკითხვისგან. ამრიგად, ამ მუხლის მიხედვით, იგი განიცდის სახარების გავლენას.

მეორე ნაწილობრივ ზუსტი ციტირების შემთხვევაა მიქ. 5:2 > მათ. 2:6:

Mic. 5:2 Καὶ σὺ, Βηθλεεμ οἶκος τοῦ Εφραθα, ὀλιγοστὸς εἶ τοῦ εἶναι ἐν χιλιάσιν Ἰουδα· ἐκ σοῦ μοι ἐξελεύσεται τοῦ εἶναι εἰς ἄρχοντα ἐν τῷ Ἰσραὴλ **LXX**

^{BYZ} **Matt. 2:6** Καὶ σὺ Βηθλεέμ, γῆ Ἰουδα, οὐδαμῶς ἐλαχίστη εἶ ἐν τοῖς ἡγεμόσιν Ἰουδα· ἐκ σοῦ γὰρ ἐξελεύσεται ἡγούμενος, ὅστις ποιμανεῖ τὸν λαὸν μου τὸν Ἰσραὴλ.

მიქ. 5:2 და შენ ბეთლემ სახლი ეგე **ევფრათაისი** (ევფრ- O) მცირედ (**ნუ მცირე** O) ხარ **ათასეულთა შორის** იუდაისთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდა მთავარი ისრაჴლსა ზედა (+რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჴლი J) **JO**

მიქ. 5:2 და შენ ბეთლემ სახლი ეგე **ევფრათაისი** (ევფრ- A 192 Jer. 118) **ნუ მცირე** (err **ნუ** მცირე Jer. 118) ხარ (ხარა Jer. 59² Jer. 99² Jer. 130²) **ათასეულთა შორის** იუდაისთა (იუდაისთა Jer. 118), რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდა მთავარი ისრაჴლსა ზედა **P'**

მათ. 2:6 და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე **იუდაისი**, არასადა **უმრწემეს** ხარ **მთავართა შორის** იუდაისთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჴლი **HIK**

ზუსტი ციტირების ამ მაგალითში სახარების შემთხვევაში გიორგი ათონელი მიჰყვება თავის ბერძნულ დედანს, ხოლო პროფეტოლოგიონში – ომკს. ოთხთავის არცერთ ლექსიკურ თუ კვანტიტატურ ცვლილებას იგი არ იმეორებს. ეს ტექსტები ერთმანეთზე დამოკიდებულნი

არ არიან. შესამჩნევია, რომ სახარების გავლენას განიცდის ბიბლიის იერუსალიმური ტექსტი, კერძოდ, დამატებულია ლემა.

პროფეტოლოგიონში შესული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების ზუსტი ან ნაწილობრივ ზუსტი ციტირების მეტი შემთხვევა არ დასტურდება.

თავს იჩენს ოთხთავის გავლენის სხვა შემთხვევაც, მაგრამ ეს არ არის ზუსტი ან ნაწილობრივ ზუსტი ციტირება:

იონ. 1:7 καὶ ἔβηλον κλήρου] და განაგდეს წილი J; და განიგდეს წილი O k P' (A 192 non hab) cf. მათ. 27:35 და ვითარცა ჯუარს აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი და განიგდეს წილი HIK (Matt. 27:35 Σταυρώσαντες δὲ αὐτόν, διμερίσαντο τὰ ἱμάτια αὐτοῦ, βάλλοντες κλήρον).

იონ. 1:7 მუხლში გიორგი ათონელი ომკურ ვერსიაზეა დამოკიდებული, საწინასწარმეტყველოში თავად არ ცვლის სახარების მიხედვით იკითხვისს, არამედ ტოვებს ომკური ხელნაწერის ვარიანტს.

დასკვნა:

სახარებაში პროფეტოლოგიონში შესული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების ნაწილობრივ ზუსტი ციტირების ორი მაგალითია და აქედან მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მიქ. 5:2 მუხლში, პროფეტოლოგიონში ასახულია განსხვავებები მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტებსა და სახარების ციტატებს შორის, გიორგი ათონელი განიცდის ოთხთავის გავლენას, ხოლო მეორე შემთხვევაში, იონ. 1:7 მუხლში, სხვა სურათია – საწინასწარმეტყველო და სახარება მიჰყვება თავიანთ ბერძნულ დედანს და არ დასტურდება გავლენა.

ამ ორი მაგალითის საფუძველზე ტენდენცია ვერ გამოიკვეთება. ტექსტების ურთიერთგავლენის დასადგენად მაგალითები არასაკმარისია.

მცირე წინასწარმეტყველთა გამეორებული საკითხავები პროფეტოლოგიონში

ლიტურგიკულ კრებულებში, ლექციონარებსა და საწინასწარმეტყველოში, ბიბლიის ზოგიერთი წიგნიდან რამდენიმე საკითხავი შედის. შესაბამისად, ზოგჯერ, საკითხავთა მუხლები გამეორებულია. პროფეტოლოგიონში ასეთი სამი შემთხვევაა, კერძოდ, საწინასწარმეტყველოში სოფონიას 2 საკითხავიდან (სოფ. 3:8-15 და სოფ. 3:14:19) გამეორებულია სოფ. 3:14-15 მუხლები, მიქეადან (2 საკითხავი – მიქ. 4:6-7, 5:2-4 და მიქ. 5:2-4) ემთხვევა მიქ. 5:2-4 მუხლები, ხოლო იოველის სამი საკითხავიდან (იოვ. 2:12-27, იოვ. 2:23-32, იოვ. 3:12-21) – იოვ. 2:23-27 მუხლები.

საწინასწარმეტყველოში გამეორებული ადგილები ზოგიერთ შემთხვევაში ზუსტად არ მისდევს ერთმანეთს, თავს იჩენს კვანტიტატური, ტრანსპოზიციული თუ გრამატიკული განსხვავებები. საყურადღებოა, ის, რომ საკითხავებს შორის ცვლილება ზოგჯერ საწინასწარმეტყველოს ყველა ხელნაწერშია, ხან კი მხოლოდ რამდენიმეში.

წინამდებარე თავის მიზანია, დადგინდეს ცვლილებათა გამომწვევი მიზეზი, ა. რა განაპირობებს სხვაობას საკითხავებში ჩართულ ერთსა და იმავე მუხლებს შორის? ბ. არის ეს რეცენზიული ხასიათისა თუ ტრანსმისიის ვარიანტია? გ. ამის საფუძველზე, ხომ არ არის შესაძლებელი განისაზღვროს საწინასწარმეტყველო ერთხელ არის ნასწორები, თუ რამდენჯერმე? დ. გიორგი მთაწმინდელი ითვალისწინებს თუ არა უკვე გასწორებულ ტექსტს თუ თავიდან ასწორებს გამეორებულ საკითხავებს?

მაგალითები წარმოდგენილია ორ ჯგუფად, პირველში მოცემულია საკითხავებს შორის სხვაობები საწინასწარმეტყველოს ერთი, ხოლო მეორე ჯგუფში ყველა ხელნაწერის მიხედვით.

საკითხავებს შორის სხვაობები ერთი ხელნაწერის ფარგლებში

Jer. 118

შეცდომა:

მიქ. 5:2 ἐκ σοῦ (μοι) ἐγγελεύσεται μοι] შენგან გამოვიდეს ჩემდა მთავარი JO P^{-Jer. 118(II)} (Ivir. 35² A 192² non hab); შენ გამოვიდეს ჩემდა მთავარი Jer. 118²

მიქ. 5:2 მუხლში Jer. 118 ხელნაწერში ნაცვალსახელს აკლია თანდებული, ვინაიდან ამის გამო იკარგება აზრი, ეს უნდა იყოს წერის პროცესში დაშვებული მექანიკური შეცდომა.

ლემის მატება (დიტოგრაფია)

სოფ. 3:14 εὐφραίνου καὶ κατατέρου იხარებდ და განსცხრებოდე JO P^{-Jer. 118(I) Jer. 99(II)]} იხარებდ და განსცხრებდ და განსცხრებოდე Jer. 118¹; იხარებდ Jer. 99²

სოფ. 3:14 მუხლში Jer. 118 ხელნაწერში ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული ორჯერაა დაწერილი (და განსცხრებდ და განსცხრებოდე). სავარაუდოდ, ამის მიზეზია გადაწერის პროცესში ხაზის შეცვლა. წინა სტრიქონი მთავრდება ამგვარად *განსცხრე*, ახალ ხაზზე გადმოტანილია მხოლოდ *ბდ* თანხმოვნები. შესაძლოა, გადამწერს ეს თანხმოვნები წინამავალი *იხარებდ* სიტყვის ნაწილი ეგონა, რის გამოც სიტყვა კიდევ ერთხელ დაწერა.

Jer. 99

შეცდომა – დიტოგრაფია:

მიქ. 5:4 ἐν τῇ δόξῃ τοῦ ὀνόματος κυρίου τοῦ θεοῦ αὐτῶν დიდებითა (დიდებისა A 192) სახელისა (სახელითა Jer. 118) უფლისა ღმრთისა მათისაჲთა (მათისაჲ Ivir. 35) O Ivir. 35 Jer. 59 Jer. 130 Jer. 99²] დიდებითა უფლისა ღმრთისა სახელისა უფლისა ღმრთისა მათისაჲთა - Jer. 99¹

Jer. 99 ხელნაწერში დამატებულია ორი სეგმენტი, რაც, სავარაუდოდ, კონტექსტიდან მომდინარეობს. მატება არ დასტურდება სეკტუაგინტასა და მის ვარიანტებში.

ლემის კლება:

სოფ. 3:14 εὐφραίνου καὶ κατατέρουσ იხარებდ და განსცხრებოდე JO P^{-Jer. 118(I) Jer. 99(II)]}
იხარებდ და განსცხრებდ და განსცხრებოდე Jer. 118¹; იხარებდ Jer. 99²

სოფ. 3:14 მუხლში Jer. 99 ხელნაწერს აკლია ლემა, რომელიც სავარაუდოდ, გადამწერს გამორჩა, კლება არ დასტურდება არც სოფონიას წინასწარმეტყველების სხვა ქართულ წყაროებში და არც სეპტუაგინტასა და მის ვარიანტებში.

Jer. 59

ტრანსპოზიცია:

იოვ. 2:26 φάγεσθε ἐσθίουτεç შჭამდეთ (ჭამდეთ Jer. 118¹; სჭამდეთ Jer. 130 Jer. 118² Jer. 99)
ჭამით (სჭამით Jer. 99) O P^{-Jer. 59 (I)]} tr. Jer. 59 (I); შჭამოთ k; > p

Jer. 59 ხელნაწერის პირველ საკითხავში სეგმენტთა ადგილები შეცვლილია სეპტუაგინტას საწინააღმდეგოდ. ბერძნულის საპირისპირო ტრანსპოზიციული ცვლილებები პროფეტოლოგიონში კი დასტურდება, მაგრამ მიზანი ქართული თარგმანის გამარტივება და აზრის გასაგებად გადმოცემაა, ეტიმოლოგიური ფიგურების ადგილი კი შესაძლებელია ტრანსმისიის დროსაც შეიცვალოს. შესაბამისად ცვლილება გადამწერისეულია და არა – რეცენზიული.

თანდებულის ცვლილება:

იოვ. 2:23 εὐφραίνεσθε ἐπὶ τῷ κυρίῳ] მხიარულ იყვენით უფლისა მიმართ O p P^{-Jer. 99 Jer. 59 (I)]}
მხიარულ იყვენით უფლისა მიერ l k Jer. 99 Jer. 59¹

იოვ. 2:23 მუხლში შეცვლილია თანდებული, კერძოდ, პირველ საკითხავში არის მიმართ, ხოლო მეორეში – მიერ. საწინასწარმეტყველოს დანარჩენ ხელნაწერებში, ორივე საკითხავში მიმართ. გიორგი მთაწმინდელს პროფეტოლოგიონებში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში ἐπὶ წინდებული გადმოაქვს უმრავლეს შემთხვევაში ზედა თანდებულით, კონტექსტის მიხედვით 2-ჯერ ბრუნვის ფორმით (მიცემითი და ვითარებითი), ამ

მაგალითის ჩათვლით 2-ჯერ მიმართ თანდებულებით (იხ. მიქ. 5:3). მიერ თანდებული არ დასტურდება. ამის საფუძველზე, სავარაუდოდ, გადამწერის ამოკითხვის შეცდომა უნდა იყოს (მიმართ ქარაგმდება მ[იმა]რთ).

კვანტიტატიური ცვლილება:

იოვ. 2:23 ὁψιμον καὶ τὸς ἔμπροσθεν მცხუედი (-უჭდი P^{Jer. 130}) ვითარცა იგი პირველ O p k l P^{Jer. 59(II)}] მცხუჭდი იგი პირველ Jer. 59²

საწინასწარმეტყველოში დაცულ მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების მიხედვით, გიორგი მთაწმინდელი სეპტუაგინტას საპირისპიროდ ლემას აკლებს, თუ მიჰყვება ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხას ან ამარტივებს თარგმანს. ამ შემთხვევაში კავშირის დაკლებით იცვლება შინაარსიც, ამიტომ ტრანსმისიის ვარიანტად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამრიგად, განხილული მაგალითებით ჩანს, რომ Jer. 59 ხელნაწერში საკითხავებს შორის განსხვავებას ტრანსმისიის ვარიანტები განაპირობებს.

Ivir. 35

ლემის მატება:

იოვ. 2:24 πλησθήσονται αἱ ἄλλαι αὐτῶν კალონი O p k l P'] + თქუენნი p k Ivir. 35¹

იოვ. 2:24 ὑπερεκχυσθήσονται αἱ ληοὶ გარდაეცემოდინ (გარდამოეცემოდინ k; გარდაეცემოდია err Jer. 118) საწნებელნი O p l k P'] + თქუენნი p l Ivir. 35¹

იოვ. 2:24 მუხლში Ivir. 35 ხელნაწერში ორივეჯერ ლემა დამატებულია ბერძნულის საპირისპიროდ კონტექსტის დაზუსტების მიზნით. გიორგი მთაწმინდელი სეპტუაგინტას საწინააღმდეგოდ სხვა შემთხვევებშიც, ძველი თარგმანისგან დამოუკიდებლად, ამატებს ლემას, ნაცვალსახელთაგან ორჯერ პირისას და ერთხელ – კუთვნილებითს (იხ. 2.4 ქვეთავი). ვინაიდან მატება მხოლოდ ერთ საკითხავშია და სხვა ხელნაწერში არ მეორდება, სავარაუდებელია, რომ ტრანსმისიის ვარიანტია.

ტრანსპოზიცია:

იოვ. 2:24 οἶνον καὶ ἐλάϊον ღვინთა და ზეთითა O p l k P^{-Ivir. 35 (I)}] ზეთითა და ღვინთა Ivir. 35¹

სოფ. 3:15 κύριος ἐν μέσῳ σου უფალი შორის შენსა J Ivir. 35²] უფალი შენ შორის O P^{-Ivir. 35 (II)}

იოვ. 2:24 მუხლში სეგმენტთა ადგილები შეცვლილია ბერძნულის საპირისპიროდ (სავარაუდოდ, გადამწერი არასწორი დამახსოვრების გამო ცვლის სეგმენტებს), ხოლო სოფ. 3:15-ში – სეპტუაგინტას მიხედვით. ამ შემთხვევაში ბერძნულის მიხედვით ცვლილება რთულია რეცენზიულ ვარიანტად ჩაითვალოს, რადგან გიორგი მთაწმინდელი ტრანსპოზიციული თვალსაზრისით ტექსტს მსუბუქად გადასინჯავს, უფრო ბევრ შემთხვევას გაუსწორებელს ტოვებს, ვიდრე – ცვლის (იხ. თავი 2.4). სოფ. 3:15 მუხლში ცვლილება გადამწერისგან უნდა მომდინარეობდეს და, სავარაუდოდ, დამახსოვრების შეცდომაა.

რიცხვის ცვლილება:

სოფ. 3:15 ἐκ χειρὸς ჰელისაგან Ivir. 35¹ Jer. 99¹] -თაგან JO L' P^{-Ivir. 35(I) Jer. 99(I)}

როგორც სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავის მიხედვით გამოჩნდა, როდესაც ოშკურ-იერუსალიმური თარგმანი გრამატიკული რიცხვის მიხედვით განსხვავდება ბერძნულისაგან, გიორგი მთაწმინდელს საწინასწარმეტყველოში ცვლილება არ შეაქვს. ამის საფუძველზე, სავარაუდებელია, რომ Ivir. 35 ხელნაწერში ისევ გადამწერის სწორებაა და არა – რეცენზიული.

ამრიგად, როდესაც გამეორებულ საკითხავებს შორის ცვლილება მხოლოდ Ivir. 35 ხელნაწერშია, გადამწერის ხელიდან მომდინარეა.

დასკვნა:

მაშასადამე, ყოველივე ზემოგანხილული მაგალითების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საწინასწარმეტყველოს შემცველ წყაროთაგან გამეორებულ საკითხავებს შორის

ყველაზე ბევრი სხვაობა არის Jer. 118 და Jer. 99 ხელნაწერებში. განსხვავებების მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში არის შეცდომა (ასოთკლება, ასოთმატება, ლემის კლება-მატება, დიტოგრაფია), ეს არის ტრანსმისიის და არა რეცენზიის ვარიანტები. იმ ტიპის სწორებები, რომლებიც გიორგი მთაწმინდელის ცვლილებათა ტენდენციაზე მიანიშნებს, თუ სხვა წყაროში არ დასტურდება, დადგინდა, რომ დამთხვევაა და არა რეცენზიული ვარიანტი.

6.2 სხვაობა ყველა ხელნაწერშია

რამდენიმე შემთხვევაში გამეორებულ საკითხავებს შორის სხვაობა არის საწინასწარმეტყველოს ყველა ხელნაწერში. ეს ერთ-ერთი კრიტერიუმია იმისა, რომ ცვლილება შესაძლოა გიორგი მთაწმინდელის ხელიდან მომდინარეობს.

რიცხვის ცვლილება:

იოვ. 2:23 ἔδωκεν ἑμῖν τὰ βράματα მოგცნა თქვენ საზრდელნი P(II)'] მოგცა თქვენ საზრდელი O p l k P (I)' (J non hab)

სამაგისტრო ნაშრომის 2.4 თავში განხილული მაგალითებით დადგინდა, რომ გიორგი ათონელი გრამატიკული რიცხვის თვალსაზრისით საწინასწარმეტყველოს არ ასწორებს, იგი მიჰყვება და არ ცვლის ძველი თარგმანის სეპტუაგინტას საწინააღდეგო იკითხვისებს, ამ შემთხვევაში, სავარაუდებელია, რომ გიორგისეული ვარიანტი იყოს იოველის პირველ საკითხავში (დგას ოშკურ ვერსიასთან ერთად), ხოლო სახელის რიცხვის გასწორება ტრანსმისიის შედეგი.

კვანტიტატური ცვლილება:

იოვ. 2:26 οὐ μὴ καταίσχυσῃ ὁ λαός Μου არა ჰრცხუენეს (-უწნეს P^{-Jer. 130}) ერსა ჩემსა O P (I)'] არღარა (არღა Jer. 118²) ჰრცხუწნეს (-უენეს P^{-Jer. 130 A 192}) მერმე ერსა ჩემსა P (II)'

იოვ. 2:26 მუხლში საწინასწარმეტყველოს მეორე საკითხავში სეგმენტი, სავარაუდოდ, ემატება კონტექსტის დაზუსტების მიზნით.

იოვ. 2:27 τοῦ Ἰσραήλ ἐγὼ εἶμι καὶ ἐγὼ κύριος ὁ θεὸς ὑμῶν ἰσραήლსა შორის მე ვარ და მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი O P (II)'] ἰσραήლსა შორის მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი I p P (I)'

იოვ. 2:27 მუხლში კლებას საწინასწარმეტყველოს პირველ საკითხავში განაპირობებს მსგავსი კიდურწერილობა.

იოვ. 2:27 οὐκ ἔστιν ἔτι πλὴν ἐμοῦ არავინ (არადვინ A 192 Jer. 99 (II)) არს სხუაჲ ჩემსა გარემჴ O P (II)'] არავინ არს ჩემსა გარემჴ p I P (I)' (Ivir. 35 non hab).

სეგმენტთა რაოდენობის თვალსაზრისით, გიორგი მთაწმინდელი ყოველთვის არ მიჰყვება ბერძნულს, ძველი თარგმანის დამოუკიდებლადც ამატებს ან აკლებს იკითხვისს. ამ შემთხვევებში ერთადერთი კრიტერიუმი იმის დასადგენას ვარიანტი ტრანსმისიის შედეგია თუ რეცენზიული, არის მისი გავრცელებულობა. რადგან სწორება საწინასწარმეტყველოს ყველა ხელნაწერშია, სავარაუდებელია, რომ გიორგი ათონელისეული ვარიანტი იყოს.

ბრუნვის ნიშანი:

იოვ. 2:26 ἃ ἐποίησεν μεθ' ὑμῶν εἰς θάνατον რომელი (რომელ P (I)') ყო თქუენ თანა საკვრველი (საკვრველი თქუენ თანა Jer. 99) O P (I)'] რომელმან (+ იგი I) ყო თქუენ თანა საკვრველი p I k P (II)'

საკითხავებს შორის ცვლილება შიდაქართულია. პირველ შემთხვევაში მოთხრობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარის ფუნქციით გამოყენებული წევრ-კავშირი ბრუნვის ნიშნის გარეშეა, ხოლო მეორე საკითხავში – ნიშნით. პროფეტოლოგიონის მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში ქვემდებარის ფუნქციით ამ წევრ-კავშირის გამოყენების სხვა შემთხვევებიც მოძიებულ იქნა და ყველგან არის ბრუნვის ნიშნით (სოფ. 3:18, მალ. 3:1, მალ. 4:5, იოვ. 2:32, იონ. 1:9). ამის საფუძველზე, მეორე საკითხავში გიორგი მთაწმინდელის ვარიანტი უნდა იყოს. რაც შეეხება პირველ საკითხავს, შესაძლოა, გადამწერისეული ვარიანტია, რომელიც შემდგომ საწინასწარმეტყველოს წყაროებში გავრცელდა.

დასკვნა:

ამრიგად, პროფეტოლოგიონებში მცირე წინასწარმეტყველთა გამეორებულ საკითხებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ერთი ხელნაწერის ფარგლებში საკითხავებს შორის არსებული ყველა ცვლილება არის გადამწერისეული (მათი უმრავლესობა არის ტექსტის ტრანსმისიის შედეგად დაშვებული მექანიკური შეცდომა), ხოლო თუ სწორება საწინასწარმეტყველოს ყველა წყაროშია, არის როგორც რეცენზიული, ისე – ტრანსმისიის ვარიანტები (მექანიკური შეცდომები და გადამწერთა მიზანმიმართული ცვლილებები). გიორგი ათონელისეული იკითხვისები დადგინდა პროფეტოლოგიონის მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავებში მისი რეცენზიის პრინციპისა და ვარიანტის გავრცელებულობის მიხედვით. გამეორებულ საკითხავებში რეცენზიულ ვარიანტად მიჩნეულ იქნა კვანტიტატური და გრამატიკული, კერძოდ, ბრუნვის ნიშნის, ცვლილება. რეცენზიული ვარიანტების მიხედვით ჩანს, რომ გიორგი მთაწმინდელი არ ითვალისწინებს უკვე გასწორებულ ტექსტს და გამეორებულ საკითხავს თავიდან ასწორებს.

რაც შეეხება საწინასწარმეტყველოს სწორების ეტაპებს, გამეორებულ საკითხავების საფუძველზე ამის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

დასკვნები

პროფეტოლოგიონში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ

1. საწინასწარმეტყველო არ არის „ახალი თარგმნილი“, იგი წარმოადგენს ძველი თარგმანის რევიზიას.
2. ტექსტის რევიზიისას გიორგი ათონელი ეყრდნობა ბიბლიის, კერძოდ, ოშკური ტიპის ტექსტს (სავარაუდოდ, მუშაობს ათონის მთაზე და შესაძლოა, საწინასწარმეტყველოს სწორედ ოშკის ბიბლიის მიხედვით ასწორებს);
3. იგი არ იყენებს იერუსალიმურ ბიბლიასა და ლექციონარებს (მათთან მსგავსი იკითხვისები საერთო ბერძნული წყაროთი იხსნება);
4. გიორგი ათონელი საწინასწარმეტყველოს ტექსტს, ერთი მხრივ, ასწორებს ბერძნულის, კერძოდ, ლუკიანური ჯგუფის ხელნაწერების მიხედვით.
5. ბერძნულის მიხედვით ასწორებს შემდეგ კომპონენტებს, რევიზირების პრინციპები შემდეგია:
 - ა) კვანტიტატური ცვლილებები – ძველ თარგმანში ბერძნულის მიხედვით ცვლის სეგმენტთა რაოდენობას, მაგრამ უმრავლესად არ ასწორებს კავშირებისა და ნაცვალსახელების კლება-მატებას.
 - ბ) ტრანსპოზიცია – ასწორებს მხოლოდ სეგმენტთა დიდ გადაადგილებებს, იშვითად – ორსეგმენტიანს. ამ დროს მიჰყვება ოშკურ ვერსიას, რომელიც ბერძნულის საწინააღდეგო იკითხვისს აჩვენებს;
 - გ) გრამატიკა – საწინასწარმეტყველო ამ თვალსაზრისით ნაკლებად არის ნასწორები, გიორგი ათონელი ცვლის მხოლოდ ზმნის პირსა და ბრუნვას, ხოლო სახელისა და ზმნის რიცხვსა და ზმნის დრო-კილოს – არა;
 - დ) ლექსიკური თვალსაზრისით ყოველთვის ასწორებს ოშკური ვერსიის მცდარ ვარიანტებს ან ცვლის მყარი ლექსიკური ეკვივალენტებით.
6. მეორე მხრივ, გიორგი ათონელი ამარტივებს ქართულ თარგმანს სტილისტური თვალსაზრისით.

7. საწინასწარმეტყველოს ხელნაწერების ურთიერთშედარება გვაკარაუდებინებს, რომ გიორგი მთაწმინდელმა პროფეტოლოგიონი ორჯერ გაასწორა, სავარაუდოდ, მეორე სწორების ვარიანტები დაცული უნდა იყოს Ivir. 35 და A 192 ხელნაწერებში, სპორადულად – Jer. 59-ში.

გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები: თარგმანი თუ რეცენზია? (რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე)

გელათის ბიბლია ჩვენამდე დეფექტური სახითაა მოღწეული, რაც თვალსაჩინოდ ჩანს მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებშიც. რიგი ტექსტებისა საერთოდ არ შემონახულა: მაგალითად, მალაქიას წინასწარმეტყველება სრულად დაკარგულია. ანგიას წინასწარმეტყველების შემთხვევაში კი შემონახულია მხოლოდ შესავალი ნაწილი, ე.წ. *თავნი*, მაშინ როცა თავად წინასწარმეტყველების ტექსტი ჩვენამდე აღარ არის მოღწეული. სხვა წიგნებიც არათანაბარი სისრულითაა წარმოდგენილი და ხშირად აკლია როგორც ტექსტის ცალკეული მონაკვეთები, ისე შესავლის (*მიზეზი*, *თავნი*) ან ბოლოსიტყვაობის (*ითარგმანების*) ნაწილები.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფონიას წინასწარმეტყველება, რომელიც ერთადერთი ტექსტია გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ნაწილში, რომელმაც ჩვენამდე სრულად მოაღწია იმ კომპოზიციური ერთიანობით, როგორც იგი რედაქტორს ჰქონდა ჩაფიქრებული. სოფონიას წიგნში დაცულია როგორც შესავალი ნაწილი და ბოლოსიტყვაობა (*მიზეზი*, *თავნი*, *ითარგმანების*), ისე თავად ბიბლიური ტექსტი. სწორედ ამიტომ სოფონიას წინასწარმეტყველება წარმოადგენს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან წყაროს გელათის ბიბლიის რედაქციული პრინციპებისა და მთარგმნელობითი სტრატეგიის შესასწავლად, ვინაიდან ის გვამღვებს საშუალებას, ერთიან კონტექსტში დავაკვირდეთ ტექსტის სტრუქტურულ, ლინგვისტურ და ტექსტოლოგიურ თავისებურებებს.

ყოველთვის, როდესაც ერთი და იმავე ტექსტის ორი ან მეტი განსხვავებული ქართული ვერსია არსებობს, ბუნებრივად იკვეთება ძირითადი ტექსტოლოგიური პრობლემა: საქმე გვაქვს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შესრულებულ თარგმანებთან, თუ ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი ტექსტი ეფუძნება ადრინდელს და წარმოადგენს მის რედაქციულ გადამუშავებას.

ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ზედაპირული მსგავსების საფუძველზე შეუძლებელია. აუცილებელია ტექსტების მრავალმხრივი შედარება, რომელიც მოიცავს როგორც ლექსიკურ, ისე მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევებს, როდესაც ორი ვერსია ერთმანეთთან ავლენს არა მხოლოდ ზოგად მსგავსებას, არამედ კონკრეტული ფორმულირებების, მყარი გამოთქმებისა და სტრუქტურული ერთეულების დამთხვევას. ასეთი თანხვედრები ხშირად მიუთითებს ტექსტთა შორის გენეტიკურ კავშირზე და ამცირებს დამოუკიდებელი თარგმანის ალბათობას.

ამავე დროს, განსხვავებების ხასიათიც გადაწყვეტია. თუ ცვლილებები უმეტესად ეხება გრამატიკულ დაზუსტებას, ლექსიკური ერთეულების შერჩევას ან ბერძნულ დედანთან უფრო ახლოს მდგომი ფორმების შემოტანას, მაშინ უფრო საფუძველიანად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გვიანდელი ტექსტი წარმოადგენს ადრეული თარგმანის რევიზიას. საპირისპიროდ, თუ განსხვავებები სისტემურია და მოიცავს ტექსტის მთელ სტრუქტურას, ლექსიკასა და სინტაქსს, უფრო დასაშვებია დამოუკიდებელი თარგმანის არსებობა.

ამგვარად, ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ქართული ვერსიების ურთიერთმიმართების დადგენა ეფუძნება არა მხოლოდ მსგავსების ან განსხვავების რაოდენობრივ შეფასებას, არამედ მათი ხარისხობრივი ანალიზის ერთობლიობას, რაც საბოლოოდ საშუალებას იძლევა განისაზღვროს, საქმე გვაქვს დამოუკიდებელ თარგმანებთან თუ რედაქციულად გადამუშავებულ ტექსტთან.

გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტის შედარება ძველ ქართულ თარგმანთან აჩვენებს, რომ გელათური რედაქცია აშკარად ეყრდნობა ძველ თარგმანს. თუმცა საქმე არ გვაქვს ტექსტის ბრმა გამეორებასთან ან მხოლოდ კოსმეტიკურ ცვლილებებთან.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ძველი თარგმანი სისტემურად არის შეჯერებული ბერძნულ ტექსტთან და შესწორებულია ის ადგილები, სადაც ბერძნული ორიგინალის უფრო ზუსტი გადმოცემა შესაძლებელი იყო.

ეს ცვლილებები სხვადასხვა ენობრივ დონეზე ვლინდება: ხდება ბრუნვისა და რიცხვის დაზუსტება, ზმნის მწკრივისა და დროის კორექტირება, ლექსიკური ერთეულების გადარჩევა, აგრეთვე საკუთარი სახელებისა და სხვა უთარგმნელად დატოვებული სიტყვების გადმოცემა მათი ბიზანტიური გამოთქმის შესაბამისად. ამგვარი შესწორებები მიუთითებს, რომ გელათის ტექსტი წარმოადგენს არა დამოუკიდებელ თარგმანს, არამედ ძველი ქართული თარგმანის საფუძველზე განხორციელებულ რეცენზიას, რომელიც მიზნად ისახავდა ტექსტის მაქსიმალურ დაახლოებას ბერძნულ წყაროსთან.

მსგავსების გამოთვლის მეთოდოლოგია²⁵ (similarity metrics)

იმისათვის, რომ მიღებული დასკვნა სანდო და გადამოწმებადი იყოს, ცხადია, საჭიროა ვენდობოდეთ მეთოდოლოგიას. ტექსტზე მუშაობისას გამოვიყენეთ მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი გელათურ ტექსტსა და ძველ თარგმანს შორის.

მსგავსების პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ სიტყვათა მექანიკურ დათვლას, არამედ ითვალისწინებს ტექსტის სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურას. ანალიზის ძირითად ერთეულად აღებულია არა იზოლირებული სიტყვა, არამედ, თუ საჭიროა, სინტაგმა – ანუ სემანტიკურად და გრამატიკულად შეკრული ერთეული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც გელათის ტექსტი ძველ თარგმანს იმეორებს არა ფორმალურად, არამედ ფუნქციურად, მაგალითად, როცა ვრცელი კონსტრუქცია შეკუმშულია ერთ სიტყვამდე ან პირიქით. ასეთ ვითარებაში შესაბამისობა არ შეიძლება ჩაითვალოს არც სრულ დამთხვევად და არც სრულ განსხვავებად, არამედ განისაზღვრება როგორც ნაწილობრივი დამთხვევა.

²⁵ ქვემოთ აღწერილი მეთოდის გამოყენება შესაძლებელი გახდა ბიბლიურ წიგნთა სინოპტიკურმა ცხრილებმა, რომლებიც ბიბლიის ფილოლოგიის ჯგუფის წევრების მიერაა შედგენილი პროფ. ანა ხარანაულის ხელმძღვანელობით.

შედარების პროცესში თითოეული ერთეული შეფასდა სამდონიანი სისტემის მიხედვით. სრული დამთხვევა (1 ქულა) აღინიშნება მაშინ, როდესაც სიტყვა ან სინტაგმა უცვლელადაა გადმოტანილი, ან განსხვავება მხოლოდ ორთოგრაფიულია და მნიშვნელობას არ ცვლის (მაგალითად, *ქუეყანა* და *ქუზყანა*), ნაწილობრივი დამთხვევად (0.5 ქულა) შეფასდა ის შემთხვევები, როცა ერთეულები სემანტიკურად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა განსხვავდება ფორმით, მოცულობით ან გრამატიკული კატეგორიებით (მაგალითად, შეკუმშული ან გაფართოებული ფრაზა, ზმნის დროის ან რიცხვის ცვლილება, მაგ.: *კაცნი* და *კაცთა*, *ბჭეთაგან* და *ბჭისაგან*). ხოლო ნულოვანი დამთხვევა (0 ქულა) ენიჭება იმ შემთხვევებს, როცა ადგილი აქვს ლექსიკურ ჩანაცვლებას ან ისეთი ტიპის სინტაქსურ გარდაქმნას, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ტექსტის ფორმულირებას (მაგ.: *ყვილებამ* და *ვალალაებამ*, *სანთლითა* და *ბაზამაკითა*).

მიღებული მონაცემების საფუძველზე თითოეული მუხლისთვის გამოვთვალეთ მსგავსების პროცენტი შემდეგი ფორმულით: სრული დამთხვევების რაოდენობა ემატება ნაწილობრივი დამთხვევების ნახევარს²⁶ და მიღებული ჯამი იყოფა ერთეულთა სრულ რაოდენობაზე, რის შემდეგაც შედეგი გარდაიქმნება პროცენტულ მაჩვენებლად. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა, შეფასდეს არა მხოლოდ ფორმალური თანხვედრა, არამედ ტექსტების ფუნქციური და სემანტიკური სიახლოვე. ამრიგად, მსგავსების პროცენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{მსგავსების საშუალო პროცენტი} = (\text{სრული} + 0.5 \times \text{ნაწილობრივი}) / \text{ჯამური რაოდენობა}$$

(სრული დამთხვევების რაოდენობას ემატება ნაწილობრივი დამთხვევების ნახევარი, ხოლო მიღებული ჯამი იყოფა ერთეულთა საერთო რაოდენობაზე)

ერთეულთა გამოყოფისას გავითვალისწინეთ ტექსტის შიდა სტრუქტურა: დამოუკიდებელ ერთეულებად გამოიყოფა ცალკეული სიტყვები ან მჭიდროდ დაკავშირებული სინტაგმები (მაგალითად, ზმნა და მისი ობიექტი, წინდებულისანი

²⁶ ფორმულაში ნაწილობრივი დამთხვევების ნახევარი იმიტომ შედის, რომ თითოეული ასეთი ერთეული ერთდროულად შეიცავს „დამთხვევისა“ და „განსხვავების“ კომპონენტს, და 0.5 არის მათი ბალანსირებული რიცხვითი გამოხატულება.

ჯგუფები და სხვ.). ამასთან, ისეთი ელემენტები, როგორცაა კავშირები ან ნაწილაკები („და“, „რამეთუ“ და მისთანანი), ცალკე ერთეულებად არ ჩაგვითვლია, თუ ისინი არ ახდენს გავლენას სინტაქსურ სტრუქტურაზე. ასევე, განმეორებადი ფორმულები, რომლებიც ტექსტში სტაბილურად მეორდება, ერთ ერთეულად განიხილება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული პროცენტული მაჩვენებლები წარმოდგენილია გარკვეული დიაპაზონის ფარგლებში ($\pm 2-3\%$), რაც განპირობებულია როგორც ტექსტის სპეციფიკით, ასევე იმით, რომ სინტაგმების საზღვრები ზოგ შემთხვევაში ინტერპრეტაციულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს საკმარისად სანდო და რეპრეზენტატიულ სურათს ტექსტებს შორის დამოკიდებულების შესაფასებლად.

ამგვარად, გამოყენებული მიდგომა მიზნად ისახავს არა სიტყვათა რაოდენობრივი თანხვედრის მექანიკურ დაფიქსირებას, არამედ ტექსტების ფუნქციურ-სემანტიკური შესაბამისობის გამოვლენას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევების ანალიზისას, როდესაც ერთი ტექსტი წარმოადგენს მეორის რედაქციულ გადამუშავებას.

ვუჩვენებთ მსგავსების პროცენტული მაჩვენებლის დადგენის რამდენიმე ნიმუშს:

1) სოფ. 1:2

OJ: მოკლებით მოაკლდინ პირისაგან ქუეყანისა – იტყვს უფალი.

G: მოკლებით მოაკლდინ პირისაგან ქუჭყანისა – იტყვს უფალი.

თითოეული ერთეულის შეფასება:

ერთეული	OJ	G	შეფასება
1	მოკლებით	=	1
2	მოაკლდინ ²⁷	=	1
3	პირისაგან	=	1

²⁷ მოაკლდინ 1⁰ნ 1:3 O (homoiot.).

4	ქუეყანისა	ქუჭყანისა	1 (ორთოგრაფიული სხვაობა)
5	იტყვს უფალი	=	1

ფორმულა: $(5+0 \times 0,5) \div 5 \times 100 = 100\%$

როგორც დავინახეთ, სოფ. 1:2-ში გელათის ტექსტი სრულად იმეორებს ძველ თარგმანს. ტექსტის სინტაგმურ ერთეულებად დაყოფისა და მათი შეფასების შედეგად მიღებულია სრული დამთხვევა ყველა ერთეულში, რაც 100%-იან დამთხვევას იძლევა. განსხვავება მხოლოდ ორთოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ტექსტის სემანტიკასა და სტრუქტურაზე გავლენას არ ახდენს. ძველი თარგმანისა და გელათური ტექსტის იდენტურობა ამ მუხლში ყოველგვარი ფორმულის გარეშე ისედაც თვალსაჩინოდ ჩანს, მაგრამ ასეთი სურათი აღარ გვაქვს სხვა, უფრო რთულ მუხლებში, სადაც მხოლოდ “ერთი შეხედვით” შეფასებას ვერ ვენდობით და დაგვჭირდება დამთხვევის გამოთვლის ფორმულა.

2) სოფ. 1:10.

OJ: და იყოს მას დღესა შინა – იტყვს უფალი – ჳმაღ ღაღადებისაჲ ბჳეთაგან განგუმერილთაჲსა (განგუმერილრაჲსა O) და ყივილებაჲ მეორისაგან და შემუსრვაჲ დიდი ბორცუთაგან.

G: და იყოს მას დღესა შინა – იტყვს უფალი – ჳმაღ ღაღადებისაჲ ბჳისაგან მწრეტელთაჲსა და ვალალებისაჲ მეორისაგან და შემუსრვაჲ დიდი ბორცუთაგან.

ერთეული	OJ	G	შეფასება
1	და იყოს მას დღესა შინა	=	1
2	იტყვს უფალი	=	1
3	ჳმაღ ღაღადებისაჲ	=	1
4	ბჳეთაგან	ბჳისაგან	0.5

5	განგუმერილთადასა	მწრეტელთადასა	0
6	და ყივილებად	ვალალებისად	0
7	მეორისაგან	=	1
8	და შემუსრვად დიდი ბორცუთაგან	=	1

შემაჯამებელი მონაცემები: სრული: **5**, ნაწილობრივი: **1**, განსხვავება: **2**, სულ ერთეული: **8**.

ფორმულა: $(5+1 \times 0,5) \div 8 \times 100 = 68.75\%$

სოფ. 1:10-ში გელათის ტექსტი მნიშვნელოვანწილად იმეორებს ძველ თარგმანს, თუმცა შეიცავს ლექსიკურ და მორფოლოგიურ კორექციებს. ტექსტის სინტაგმურ ერთეულებად დაყოფისა და მათი შეფასების შედეგად მიღებული მსგავსება შეადგენს დაახლოებით 69%-ს. ეს მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ გელათური რედაქცია ინარჩუნებს ძველი თარგმანის სტრუქტურულ საფუძველს, თუმცა ამავე დროს მიზანმიმართულად ასწორებს მას.

3) სოფ. 1:12.

OJ: და იყოს მას დღესა (დღჳსა O) შინა, გამოვიხილო იერუსალჳში სანთლითა და შური ვიძიო კაცთად მათ, რომელთა შეურაცხ-უყოფიან საცონი მათნი, რომელნი იტყჳან გულთა შინა (შიდა J) მათთა: არცა კეთილი ქმნეს უფალმან, არცა ბოროტი.

G: და იყოს მას დღესა შინა გამოვიძიო იწრუსალიმი ბაზმაკითა და შურ-ვიგო მამაკაცთა ზედა შეურაცხის-მყოფელთა ნამარხევთა ზედა მათთა, რომელნი იტყჳან გულთა შინა მათთა: არა კეთილი უყოს უფალმან, არცა უბოროტოს.

ერთეული	OJ	G	შეფასება
1	და იყოს მას დღესა შინა	=	1
2	გამოვიხილო	გამოვიძიო	0
3	იერუსალჳში	იწრუსალიმი	1
4	სანთლითა	ბაზმაკითა	0

5	და შური ვიძიო	და შურ-ვიგო	0,5
6	კაცთაჲ მათ	მამაკაცთა ზედა	0,5
7	რომელთა შეურაცხ- უყოფიან	შეურაცხის- მყოფელთა	0
8	საცონი მათნი	ნამარხევთა ზედა მათთა	0
9	რომელნი იტყვან	=	1
10	გულთა შინა მათთა	=	1
11	არცა კეთილი ქმნეს	არა კეთილი უყოს	0,5
12	უფალმან	=	1
13	არცა ბოროტი	არცა უბოროტოს	0,5

შემაჯამებელი მონაცემები: სრული: **6**, ნაწილობრივი: **4**, განსხვავება: **3**, სულ ერთეული: **13**
ფორმულა: $(6+4 \times 0,5) \div 13 \times 100 = 61,5\%$

განსხვავებული ტიპის მაგალითს წარმოადგენს სოფ. 1:12, სადაც გელათის ტექსტი მნიშვნელოვნად გადამუშავებულია. სინტაგმურ ერთეულებად დაყოფისა და მათი შეფასების შედეგად მიღებული მსგავსება შეადგენს დაახლოებით 62%-ს. მიუხედავად მნიშვნელოვანი ლექსიკური ჩანაცვლებებისა და სტრუქტურული ცვლილებებისა, ტექსტის საფუძველი მაინც ძველი თარგმანია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს გელათური რედაქციის დამოკიდებულებაზე ადრინდელ ქართულ ვერსიაზე.

სოფონიას წინასწარმეტყველება

მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია გადავიდეთ უშუალოდ სოფონიას წინასწარმეტყველების ტექსტის ანალიზზე. როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის მიზანია დადგინდეს გელათის ბიბლიის ტექსტის დამოკიდებულება ძველ ქართულ თარგმანზე და განისაზღვროს, წარმოადგენს თუ არა იგი დამოუკიდებელ

თარგმანს, თუ საქმე გვაქვს ადრინდელი რედაქციის გადამუშავებულ რეცენზიასთან. ამ მიზნით ტექსტი განიხილება მუხლობრივად, ხოლო მიღებული მონაცემები – რაოდენობრივად და ხარისხობრივად.

ანალიზის სისტემურობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სოფონიას წიგნი განვიხილოთ თავების მიხედვით. თითოეულ თავში წარმოდგენილი მუხლები შეფასდება ზემოთ აღწერილი მეთოდით, რის შედეგადაც დადგინდება მათი შორის არსებული მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მუხლების დაჯგუფება სამ ძირითად კატეგორიად: „ძალიან ახლოს მდგომი“, „საშუალო განსხვავების“ და „ყველაზე განსხვავებული“ ტექსტები. აღნიშნული დაჯგუფება გვაძლევს საშუალებას არა მხოლოდ განვსაზღვროთ მსგავსების ზოგადი დონე, არამედ გამოვავლინოთ რედაქციული ჩარევის ინტენსივობა ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში.

ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის აერთიანებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს: ერთი მხრივ, გვაძლევს კონკრეტულ პროცენტულ მაჩვენებლებს, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა დავახასიათოთ ცვლილებების ტიპი და ფუნქცია. შედეგად, თითოეული თავის განხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ მუშაობს გელათური რედაქცია ძველ ქართულ თარგმანთან – სად ინარჩუნებს მას უცვლელად, სად ახდენს ზომიერ კორექციას და სად მიმართავს უფრო აქტიურ გადამუშავებას.

ქვემოთ, შესაბამისად, ცალ-ცალკე იქნება განხილული სოფონიას წინასწარმეტყველების პირველი, მეორე და მესამე თავები, თითოეულში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.

I თავი

ძალიან ახლოს	1:1, 2, 3	85+ % მსგავსება
საშუალო განსხვავება	1:4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 16, 17	70–84 % მსგავსება
ყველაზე განსხვავებული	1:12, 15, 18	60–69 % მსგავსება

სოფონიას წინასწარმეტყველების პირველ თავში მიღებული მონაცემები ($\approx 79\%$) მიუთითებს მაღალი ხარისხის ტექსტურ დამოკიდებულებაზე. განსხვავებები უმეტეს შემთხვევაში ეხება ლექსიკურ გადარჩევას, გრამატიკულ დაზუსტებასა და ბერძნულ ტექსტთან დაახლოებულ რედაქციულ შესწორებებს, რაც ცხადყოფს, რომ გელათის ბიბლია წარმოადგენს ძველი ქართული თარგმანის რევიზიას, და არა დამოუკიდებელ თარგმანს, ყველაზე განსხვავებულ მუხლებშიც კი OJ და G შორის საშუალო მსგავსება $\approx 65-70\%$.

II თავი

ძალიან ახლოს	2: 6, 8, 10, 12	85+ % მსგავსება
საშუალო განსხვავება	2: 1, 3, 4, 5, 7, 11, 13, 14	70–84 % მსგავსება
ყველაზე განსხვავებული	2: 2, 9	60–69 % მსგავსება

მეორე თავიც არსებითად იმავე სურათს გვიჩვენებს: არის რამდენიმე მუხლი, სადაც ტექსტი ძალიან ახლოს დგას OJ-სთან, მაგრამ არის ადგილებიც – (სოფ. **2:2** და **2:9**) – სადაც გელათური ტექსტი ბევრად უფრო აქტიურად ამუშავებს ძველ თარგმანს.

სოფონიას მეორე თავში გელათის ტექსტი ძველ ქართულ თარგმანთან საშუალოდ დაახლოებით 75%-იან მსგავსებას ავლენს, რაც კვლავ ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს ძველი თარგმანის რევიზირებასთან და არა სრულიად დამოუკიდებელ თარგმანთან.

III თავი

ძალიან ახლოს	-	85+ % მსგავსება
საშუალო განსხვავება	3: 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20	70–84 % მსგავსება
ყველაზე განსხვავებული	3: 7, 9, 19	60–69 % მსგავსება

ვითარება ოდნავ იცვლება მესამე თავში – კერძოდ, აქ არ გვაქვს არცერთი მუხლი ძველ თარგმანთან >85%-იანი მსგავსებით, თუმცა არსებითად ეს სურათს არ ცვლის, რადგან თუ ცხრილს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მუხლების უმეტესობა მსგავსების პროცენტით საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის დიაპაზონში ექცევა.

საბოლოოდ, სოფონიას წინასწარმეტყველების სამივე თავში გელათის ტექსტი ძველ ქართულ თარგმანთან საშუალოდ 75-80%-იან თანხვედრას ავლენს. განსხვავებები უმთავრესად ლექსიკურ და გრამატიკულ კორექციებს უკავშირდება და მიზნად ისახავს ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებას. ამასთან, მესამე თავში მაღალი (>85%) მსგავსების მუხლების არარსებობა შესაძლოა მიუთითებდეს რედაქციული მუშაობის ინტენსივობის ზრდაზე.

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ გელათის ბიბლიაში წარმოდგენილი სოფონიას წინასწარმეტყველების ტექსტი არ წარმოადგენს დამოუკიდებლად შესრულებულ თარგმანს, არამედ ეფუძნება უკვე არსებულ ქართულ თარგმანს – ოშკურ-იერუსალიმურ რედაქციას – და მისი რეცენზიის შედეგს წარმოადგენს. ამასთან, რეცენზირების პროცესი შემთხვევითი ან მხოლოდ სტილისტური ხასიათის არ არის; იგი გამჭვირვალე და თანმიმდევრულ მიზანს ემსახურება – ბერძნული დედნის უფრო ადეკვატურ და ზუსტ გადმოცემას.

ამ მიზნის მიღწევა ხორციელდება ტექსტში განხორციელებული მრავალფეროვანი ცვლილებების საშუალებით, რომლებიც მოიცავს როგორც ლექსიკურ გადარჩევას, ისე მორფოლოგიურ და სინტაქსურ დაზუსტებებს. სწორედ ეს რედაქციული ჩარევები ქმნის იმ ენობრივ და ფორმალურ თავისებურებებს, რომლებიც გელათურ სტილად შეიძლება განისაზღვროს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ცვლილებები არ ფარავს ტექსტის საფუძველს: საბაზისო შრე მკაფიოდ იკითხება, და მასში შესაძლებელია ძველი ქართული თარგმანის – განსაკუთრებით იერუსალიმური რედაქციის – კვალის ამოცნობა.

ამრიგად, გელათის ტექსტი უნდა განვიხილოთ როგორც მიზანმიმართული რეცენზია, რომელიც ერთდროულად ინარჩუნებს ადრინდელი თარგმანის სტრუქტურულ საფუძველს და ამავე დროს სისტემურად ასწორებს მას ბერძნულთან მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევის მიზნით.

ოსიას წინასწარმეტყველება

არსებული მცირე მასალის მიუხედავად (ოსიას წიგნი გელათის ბიბლიაში ნაკლულია, წარმოდგენილია მხოლოდ 14:6-9), შესაძლებელი გახდა ყველა მოღწეული მუხლის სრული ანალიზი, რაც იძლევა შედარებით ზუსტ სურათს ტექსტის რედაქციული ხასიათის შესახებ.

ძალიან ახლოს	-	85+ % მსგავსება
საშუალო განსხვავება	14: 7, 8	70–84 % მსგავსება
ყველაზე განსხვავებული	14: 6, 9, 10	58–69 % მსგავსება

ოსიას წინასწარმეტყველების შემონახული მონაკვეთის ანალიზი აჩვენებს, რომ გელათის ტექსტი აქ ნაკლებად სტაბილურ მსგავსებას ავლენს ძველ ქართულ თარგმანთან (საშუალოდ $\approx 72\%$), ვიდრე სოფონიაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა 14:9 მუხლი, სადაც ადგილი აქვს არა მხოლოდ ლექსიკურ, არამედ სტრუქტურულ გადამუშავებას.

ოსიას 14:6-10-ის შემონახულ მონაკვეთში გელათის ტექსტი ძველ ქართულ თარგმანთან საშუალოდ დაახლოებით 72%-იან მსგავსებას ავლენს. ეს მაჩვენებელი სოფონიასთან შედარებით ($\approx 75\text{--}80\%$) ოდნავ დაბალია, რაც მიანიშნებს, რომ გელათის ბიბლიაში რედაქციული მიდგომა ერთგვაროვანი არ არის და ტექსტის გადამუშავების ინტენსივობა სხვადასხვა წიგნში განსხვავდება. ამრიგად, ოსიაში რედაქციული გადამუშავება უფრო ინტენსიური და ნაკლებად ერთგვაროვანია, თუმცა აქაც ძველი ქართული თარგმანის საფუძველი აშკარად იკითხება.

იონას წინასწარმეტყველება

ოსიას მსგავსად, გელათის ბიბლიის იონას წინასწარმეტყველებაც ნაკლული სახითაა მოღწეული - აკლია მონაკვეთი 2.1 იონა-დან – 4.8 სიკ(უ)დილი-მდე.

ძალიან ახლოს	1: 6, 7, 12, 15,16	85+ % მსგავსება
საშუალო განსხვავება	1: 1, 2, 3, 4, 5, 8, 9, 10, 11, 13, 14	75–84 % მსგავსება

	2: 1 ²⁸	
ყველაზე განსხვავებული	4: 9, 10, 11	<74% მსგავსება

იონას წინასწარმეტყველების ტექსტის რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ გელათის ბიბლიაში მისი საშუალო მსგავსება ძველ ქართულ თარგმანთან შეადგენს დაახლოებით 78–80%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი მიღებულია როგორც მაღალი მსგავსების მქონე (იონა 1), ისე მნიშვნელოვნად გადამუშავებული მუხლების (იონა 4:9–11) გათვალისწინებით და ასახავს ტექსტის შიგნით არსებულ რედაქციულ არათანაბრობას.

მუხლობრივი დაკვირვება ცხადყოფს, რომ ტექსტში ერთდროულად გვხვდება როგორც ძველ თარგმანთან ძალიან ახლოს მდგომი ადგილები, ისე საშუალო და მნიშვნელოვნად განსხვავებული მონაკვეთები. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ იონას წიგნის სხვადასხვა თავში რედაქციული ჩარევის ინტენსივობა განსხვავებულია: პირველ თავში ტექსტი უმეტესად ინარჩუნებს სტაბილურობას და ძველ თარგმანთან მიმართებით მცირე ფორმოზრივი კორექციებით შემოიფარგლება, მაშინ როცა მეოთხე თავში (4:9–11 მუხლებში)²⁹ შეინიშნება უფრო აქტიური ლექსიკურ-სინტაქსური გადამუშავება, რაც ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად ამცირებს ტექსტთა შორის მსგავსების მაჩვენებელს (≈55–60%).

გელათური რედაქციის ხასიათი იონას წიგნში შეიძლება განისაზღვროს, როგორც **სელექციური და არათანაბარი რეცენზია**: ტექსტის ძირითადი შინაარსი და კომპოზიციური ჩარჩო, ცხადია, უცვლელადაა შენარჩუნებული, თუმცა ცალკეულ ადგილებში ხორციელდება ფორმოზრივი დაზუსტება, ლექსიკური ჩანაცვლება და სინტაქსური გარდაქმნა.

ამრიგად, იონას წინასწარმეტყველების გელათური ტექსტი ვერ ჩაითვლება ვერც სრულად დამოუკიდებელ თარგმანად და ვერც მხოლოდ ძველი თარგმანის მექანიკურ გამეორებად. იგი წარმოადგენს ადრინდელი ქართული რედაქციის საფუძველზე

²⁸ იონ. 2:1 გელათის ბიბლიაში სანახევროდაა წარმოდგენილი, შემდეგ ტექსტი წყდება და დიდი ლაკუნაა იონ. 4:8-მდე.

²⁹ სამუწხაროა, რომ გელათის ბიბლიის იონას წინასწარმეტყველების წიგნს მთლიანად აკლია მესამე თავი და მეოთხე თავის მხოლოდ უკანასკნელი 3 მუხლია სრულად წარმოდგენილი.

შესრულებულ რეცენზიას, რომელიც ხასიათდება განსხვავებული ინტენსივობის რედაქციული დამუშავებით ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში.

დასკვნა

წარმოდგენილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გელათის ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები არ წარმოადგენს დამოუკიდებლად შესრულებულ თარგმანებს, არამედ ეფუძნება უკვე არსებულ ქართულ ტრადიციას – ოშკურ-იერუსალიმურ რედაქციას – და მისი მიზანმიმართული რეცენზიის შედეგს წარმოადგენს.³⁰

სოფონიას, ოსიასა და იონას ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ გელათური რედაქცია ინარჩუნებს ძველი თარგმანის სტრუქტურულ საფუძველს, თუმცა სხვადასხვა ინტენსივობით ახორციელებს მის გადამუშავებას. მსგავსების საშუალო მაჩვენებლები (სოფონია $\approx 75-80\%$, იონა $\approx 78-80\%$, ოსია $\approx 72\%$) მიუთითებს მაღალი ხარისხის ტექსტურ დამოკიდებულებაზე, რაც გამორიცხავს დამოუკიდებელი თარგმანის ჰიპოთეზას.

ამასთან, მონაცემები ცხადყოფს, რომ რედაქციული მუშაობა ერთგვაროვანი არ არის: სოფონიაში იგი შედარებით სტაბილურ და თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს, ოსიაში უფრო ინტენსიური და ნაკლებად ერთგვაროვანია, ხოლო იონაში მკვეთრად არათანაბარია და სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებული სტრატეგიებით ვლინდება.

გელათური რედაქციის მთავარი მიზანი, როგორც ჩანს, არის ტექსტის ბერძნულ დედანთან მაქსიმალური დაახლოება, რაც მიიღწევა ლექსიკური გადარჩევით, მორფოლოგიური და სინტაქსური დაზუსტებებით, აგრეთვე ფორმულირების გადამუშავებით. ამ პროცესში ყალიბდება გელათისთვის დამახასიათებელი ენობრივი და სტილისტური თავისებურებები, თუმცა საბაზისო ტექსტური შრე მკაფიოდ ინარჩუნებს ძველი ქართული თარგმანის კვალს.

ამრიგად, გელათის ბიბლიის ტექსტი უნდა განვიხილოთ, როგორც რეცენზირებული თარგმანი, რომელიც ერთდროულად აგრძელებს ქართულ თარგმანთა ტრადიციას და ამავე

³⁰ ამ დაკვანის გასამყარებლად, ცხადია, აქ წარმოდგენილი მეთოდოლოგიით უნდა ჩატარდეს კვლევა გელათის ბიბლიის დანარჩენ მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტებზეც.

დროს წარმოადგენს მის კრიტიკულ გადამუშავებას ბერძნულ წყაროსთან მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევის მიზნით.

ხელნაწერთა პირობითი აღნიშვნები:

O – Ath. 1;

J – Jer. 7/11;

L-1 – ლატალის ლექციონარი;

L-k-კალას ლექციონარი

L-p (a,b) – პარიზის ლექციონარი ;

P' – პროფეტოლოგიონის ყველა ხელნაწერი (Ivir. 35 A 192 Jer. 59 Jer. 99 Jer. 118 Jer. 130);

პირობითი ნიშნების ნუსხა:

] – ლემის ნიშანი;

+ – მატება ლემის შემდეგ;

pr. - მატება ლემის წინ;

> – ლემის კლება;

om – აკლია ვრცელი ლემის სეგმენტი;

tr - სიტყვათა გადაადგილება.

err- შეცდომა

ბიბლიოგრაფია:

- **ალექსიძე 2016:** ალექსიძე ზ. 2016, გიორგი მთაწმიდლის ქართული ოთხთავის ანდერძები, *ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, №3, თბილისი.
- **დობორჯგინიძე 1996:** დობორჯგინიძე ნ. 1996, *სიტყუანი ფსალმუნთანი შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებილნი მრავალთა წიგნთაგან, ნაწილი I*, უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, თბილისი.
- **თვალთვაძე 2009:** თვალთვაძე დ. 2009, *ეგრემ მცირის კოლოფონები*, გამომცემლობა ნეკერი, თბილისი.
- **იმნაიშვილი 1957:** იმნაიშვილი ი. 1957, *სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში*, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- **იმნაიშვილი 1982ა:** იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ. 1982, *ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი I*, მაინის ფრანკფურტი.
- **იმნაიშვილი 1982ბ:** იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ. 1982, *ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი II*, მაინის ფრანკფურტი.
- **იმნაიშვილი 1982გ:** იმნაიშვილი ი. 1982, *ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I*, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით, ნაწილი II, ენის მიმოხილვა და ტაბულები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- **კეკელიძე 1942:** კეკელიძე კ. 1942, წინაშე, თანა და ზედა თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. III, N3, თბილისი.
- **კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ. 1980, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I*, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.
- **მაგრაქველიძე 2023:** მაგრაქველიძე თ. 2023, მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები ლიტურგიკულ კრებულებში, *II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“*, თბილისი.

- **მაგრაქველიძე 2024:** მაგრაქველიძე თ. 2024, ქართული ლექციონარის მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების საძიებელი, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, X*, თბილისი.
- **მაგრაქველიძე 2025:** მაგრაქველიძე თ. 2025, მცირე წინასწარმეტყველთა გამეორებული საკითხავები ლექციონარში, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის პირველი დარგთაშორისი ახალგაზრდული კონფერენცია (ფუტკრები)*, თბილისი.
- **მაისურაძე 1999:** მაისურაძე მ., მამულაშვილი მ., ღამბაშიძე ა., ჩხენკელი მ. 1999, *ათონის მრავალთავი*, თბილისი.
- **მახარაძე 2004:** მახარაძე ნ. 2004, *ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები*, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.
- **მელიქიშვილი 1994:** მელიქიშვილი ნ. 1994, *ხუთწიგნეული ძველი ქართული ლექციონარების მიხედვით (ტექსტი და გამოკვლევა)*, თბილისი.
- **მიროტაძე ხელნაწერი:** მიროტაძე ნ., *პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავების ტექსტოლოგიური დახასიათება*, ხელნაწერი (Draft).
- **სარჯველაძე 2004:** სარჯველაძე ზ. 2004, *ძველი ქართული ენა, ტექსტებითა და ლექსიკონითურთ*, გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბილისი.
- **შანიძე 1923-24:** შანიძე ა. 1923-24, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, *ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I-II*, ტფილისი.
- **შანიძე 1954:** შანიძე ა. 1954, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9*, თბილისი.
- **შანიძე 1968:** შანიძე მ. 1968, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები), *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11*, საიუბილეო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
- **შანიძე 1976:** შანიძე ა. 1976, *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 18, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- **ჩიქობავა 1942ა:** ჩიქობავა ა. 1942ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია*, თბილისი.

- **ჩიქობავა 1942ბ:** ჩიქობავა ა. 1942ბ, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. III, N3, თბილისი.
- **ცინდელიანია 1978:** ცინდელიანია უ. 1978, ახალი მასალები გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, თბილისი.
- **ხარანაული 2011:** ხარანაული ა. 2011, გელათის კატენებიანი ბიბლია და მისი ბერძნული პროტოტიპები, *ბიზანტინოლოგია საქართველოში 3; ტ. 2*, თბილისი.
- **ხაჩიძე 1983:** ხაჩიძე ლ. 1983, გიორგი მთაწმინდლის რედაქციის პარიზული ნუსხა, *ივირონი - 1000*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983.
- **ხევსურიანი 2001:** ხევსურიანი ლ. 2001, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის, *ლიტერატურული ძიებანი*, 22, თბილისი.

გამოცემები:

- **დანელია 1987:** დანელია კ., ჩხენკელი სტ., შავიშვილი ბ. 1987, *ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი*, ტ. 1, ნაწ. 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- **დანელია 1997:** დანელია კ., ჩხენკელი სტ., შავიშვილი ბ. 1997, *ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი*, ტ. 1, ნაწ. 2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- **ძეგლები 1978:** ლოლაშვილი ივ. (გამომც.) 1978, *ძველი ქართული ლიტერატური ძეგლები*, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.
- **იმნაიშვილი 1979:** იმნაიშვილი ი. 1979, *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- **ჯღამაია 2007:** ჯღამაია ლ. 2007, *გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი)*, გამომცემლობა ნათლისმცემელი, თბილისი.
- **მეტრეველი 1980:** მეთრეველი ელ., ჭანკიევი ც., ხევსურიანი ლ. 1980, *უძველესი იადგარი*, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.
- **მგალობლიშვილი 1991:** მგალობლიშვილი თ. 1991, *კლარჯული მრავალთავი*, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

- **შანიძე 1959:** შანიძე ა. 1959, *სინური მრავალთავი 864 წლისა*, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 5, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- **შანიძე 1960:** შანიძე მ. 1960, *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I*, ძველი ქართული ენის ძეგლები 11, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- **Tarkhishvili 1959:** Tarkhishvili M. 1959, *Le Grand Lectionnaire de l'Église de Jérusalem (Ve – VIIIe s.), I*, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol.188, Scriptorum Iberici. Louvain.
- **Tarkhishvili 1959:** Tarkhishvili M. 1959, *Le Grand Lectionnaire de l'Église de Jérusalem (Ve – VIIIe s.), II*, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol.189, Scriptorum Iberici. Louvain.
- **Ziegler, Joseph. (ed.) (1984).** Septuaginta, Vetus Testamentum Graecum, XIII, Duodecim prophetae, 3 Aufl.

ხელნაწერთა აღწერილობები:

- **აბულაძე 1951:** აბულაძე ი. 1951, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი II*, ილია აბულაძის რედაქციით, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი
- **გლოველი 2015:** გლოველი შ. 2015, *საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები*, კატალოგი, შემდგენლები: გრ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე, შ. გლოველის საერთო რედაქციით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი

- **კეკელიძე 1948:** კეკელიძე კ. 1948, *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი III*, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტიანე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი
- **მეტრეველი 1976:** მეტრეველი ელ. 1976, *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი 12*, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი
- **ნიკოლაძე 1953:** ნიკოლაძე ე. 1953, *ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I*, (შემდგენელი ე. ნიკოლაძე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი
- **ჩხიკვაძე 2018:** ჩხიკვაძე ნ. 2018, *ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ*, შეადგინეს მ. კარანაძემ, ვ. კეკელიამ, ლ. შათირიშვილმა და ნ. ჩხიკვაძემ, ნ ჩხიკვაძის რედაქციით, თბილისი
- **Blake 1924:** Blake R. P. 1924, *Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem*. Paris: A. Picard.
- **Gippert 2022:** Gippert J., Oultier, B., Kim, S. et al (2022), *Catalogue of the Georgian Manuscripts of the Iviron Monastery*, Mount Athos.

კომპიუტერული პროგრამები და ინტერნეტ-რესურსები:

- <https://www.loc.gov> - კონგრესის ბიბლიოთეკა
- <https://www.loc.gov/collections/greek-and-armenian-patriarchates-of-jerusalem> - იერუსალიმის საპატრიარქოს ქართული და სომხური ხელნაწერების კოლექცია
- <https://bible.ge/Manuscript/2win.htm>
- <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giornt/giorn.htm> - სახარების გიორგი ათონელისეული ვერსია

- <https://ogg.tsu.ge/> - ქართული ოთხთავის აკადემიური ტექსტის ელექტრონული ვერსია
- პროგრამა BibleWorks 10